

652  
1966/2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აკადემია

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აკადემია

19566



ლიტერატურულ-მხატვრული-და  
საზოგადოებრივ - კოლმეცნიერი

ჟურნალი

საქართველოს მფარველთა  
კავშირის აჭარის  
განყოფილების ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

- უკვლავი სიმღერა . . . . . 4
- პ. ლორია — აღსრულება ანდერძისა  
(მოთხრობა) . . . . . 7
- მ. ვარშანიძე — მესხეთი (ლექსი) . . . 20
- ფრ. ხალვაში — გადარჩენილი უკვდავება  
(დრამატული პოემა) . . . . . 22
- დ. ნაცვალაძე — პეტრას სტუმარი  
(მოთხრობა) . . . . . 35
- პ. ჯაფარიძე — გეგებებიან ნათესავნი,  
თორი თუ ჭაყი (ლექსი) . . . . . 46
- ზ. გორგილაძე — „ნახეს უცხო მოყვ  
ფინმე“... (ლექსი) . . . . . 48

რ უ ს თ ა ვ ე ლ ს

1966

საქმეგბერი  
ოქმომგბერი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა



|                                              |    |
|----------------------------------------------|----|
| მ. მელია — მე მდიდარი ვარ... (ლექსი)         | 50 |
| ნ. მიძაძე — ლეგენდა რუსთაველზე<br>(მოთხრობა) | 51 |
| რ. ართილაძე — შოთა რუსთაველს<br>(ლექსი)      | 61 |

პრიტიკა და კუბლიცისტობა



|                                                                            |    |
|----------------------------------------------------------------------------|----|
| შ. შურიძე — ერის სულიერი საუნჯე                                            | 63 |
| პ. ჯორბენაძე — „ვეფხისტყაოსნის“<br>უანოზბრივი თავისებურებანი               | 72 |
| შ. ჩიჭავაძე — „ვეფხისტყაოსნის“<br>ორი სიტყვის განმარტებისათვის             | 80 |
| პ. პიპნაძე — რუსთაველი და<br>„მესამე ლექსი...“                             | 82 |
| ალ. ჩავლეიშვილი — რუსთაველის<br>აფორიზმები აკაკი წერეთლის<br>შემოქმედებაში | 88 |
| პ. ჯავახიშვილი — ბათუმში გამოცემუ-<br>ლი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ          | 90 |

წიგნის თარო

|                                                |    |
|------------------------------------------------|----|
| პ. ხმაღაძე — დავით კასრაძის<br>დრამატული პოემა | 93 |
|------------------------------------------------|----|

რედაქტორი შოთა ქურიძე  
სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),  
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.



„ამ დღეებში ქართული სალსი, ჩვენი ქვეყნის ყველა სალსი, მთელი შრატგარეული ვაღთბრითმა ზეიმობენ საქართველოს დიდი შვილის, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შთოთ რუსთაფლის დამადგენის 800 წლისთავს. გონებისა და გრძნობის განთავისუფლებისათვის მგზნებარე მუბრძოლმა — შთოთ რუსთაფალმა შეასაუკუნედის ბნელეთში აღმართა ჰუმანიზმისა და ვაღთმაცარობის დროშა. პატრიოტიზმისა და სალსთა მშობის წმიდთა წმიდა იდეალები, სიყვარულისა და მუგობრობის მაღალი გრძნობა, გმირობა და მამაცობა, სიღოცსლის დამამუვიდრებელი თუციმიზმი — ეს არის მსოფლიოთ პოეფური ეპოსის შედგარის — „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსაცვარული სიმიდირე“

„პრავდა“.







## უკვდავი სიმღერა

თითქმის რვა საუკუნეა საქართველოს მთა-ბარში გაისმის შოთა რუსთაველის უკვდავი სიმღერა, ამაღლებული სიყვარულისა და ვაჟკაცური მეგობრობის სადიდებელი ჰიმნი. თითქმის რვა საუკუნეა, რაც ხალხი გატაცებით კითხულობს „ვეფხისტყაოსანს“, მასში ეძებს და პოულობს შთაგონებასა და აღმაფრენას. ჭირია თუ ლხინი, შოთას ბრძნული სიტყვა ყველგანაა, ყველას ესაღბუნება და გულს უტოკებს, მხნეობას მატებს და ბოროტზე კეთილის გარდუვალი გამარჯვების რწმენას განუმატიცებს. „დრომან, შემეუსვრის მან მოყვარემან, ვერა შემეუსრა მის თხზულებანი; ღამესა ბნელსა, ვით მთოვარემან, ბრწყინვით განაღო საუკუნენი“, წერდა გრიგოლ ორბელიანი და ასეც არის. „ვეფხისტყაოსანს“ დრომ ვერაფერი დააკლო, პირიქით, ცხადყო მისი სიდიადე და უკვდავება. რუსთაველის გენიალური პოემა ასობით წლის მანძილზე იყო ხალხის მასწავლებელი და აღმზრდელი, იგი ადამიანებს უნერგავდა პატიოსნების, გულმართლობის, ერთგულების სულისკვეთებას, სიკეთის უანგარო სამსახურის სულიანკვეთებას. იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალა „ვეფხისტყაოსანს“ არც ჩვენს ეპოქაში დაუკარგავს. ხმა, რომელიც საუკუნეთა სიღრმიდან მოდის, დღესაც ატკბობს ჩვენს სმენას, რადგან იგი უგალობს იდეალებს, რომლებსაც პატივს სცემს ყველა კეთილი ნების ადამიანი.

„ვეფხისტყაოსანი“ უკვდავი გახადა პოეტის გენიამ, რომელიც ისე ღრმად ჩასწვდა ხალხის ცხოვრებას და ეროვნულ თავისებურებებს, ისე ბრწყინვალედ გამოხატა მისი ყველაზე სანუკვარი მისწრაფებანი, მისი ყველაზე ამაღლებული იდეალები, რომ მას ბადალი არ მოეპოვება მთელ მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში. „როგორც ფუტკარი თავის სამზადისს ნაწილ-ნაწილად აგროვებს თავისივე ქვეყნის ყვავილებიდან, ასე იმანაც, ესე იგზ რუსთველმაც, — წერდა აკაკი წერეთელი, — თავისი გრძნობა-გონების მასალა იპოვა ქართველებშივე, აქა-იქ გაბნეული მოაგ-

როგა და გააერთიანა.“ თავის მხრივ, რუსთაველმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის მთელ ცხოვრებაზე, მისი ეროვნული საუკეთესო თვისებების ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომ რუსთაველი ეს იგივე საქართველოა.

დიახ, საქართველო რუსთაველია და რუსთაველი საქართველო, მაგრამ დღეს „ვეფხისტყაოსანი“ აღარ ეკუთვნის მარტო ერთ — ქართველ ხალხს, იგი მთელი კულტურული კაცობრიობის კუთვნილება გახდა, ხოლო მისმა ავტორმა სამართლიანად დაიკავა ადგილი დანტეს, გოეთეს, შილერის, შექსპირის, პუშკინისა და მსოფლიო პოეზიის სხვა კოლოსებს შორის. რუსთაველის დაბადების რვაასი წლის ზეიმი, რომელიც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხის ღღესასწაული გახდა, ის ყურადღება, რასაც დედამიწის ყველა კუთხეში იჩენენ ქართველი პოეტისადმი რუსთაველის მსოფლიო აღიარების ნათელი და მკაფიო დემონსტრაციაა.

რუსთაველის უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე ის არის, რომ რელიგიური ფანატიზმის ეპოქაში მან გაბედულად აღმართა ჰუმანიზმის, სიყვარულისა და მეგობრობის აღამი და მართლაც „ბრწყინვითი განაღო საუკუნენი“. მან მთელი საუკუნით დაასწრო დიდ იტალიელ პოეტს ალიგიერი დანტეს და იქადაგა იდეები, რომლებიც შემდგომ ევროპული რენესანსის საფუძველი გახდა. სამყაროს ცენტრში მან დააყენა ადამიანი და განადიდა იგი, მიანიჭა მას შემოქმედის ძალა. რუსთაველმა უმღერა ადამიანს — მებრძოლს, ვინც აქტიურად იღვწის და თვითონ ქმნის თავის ბედნიერებას, ვინც არავითარ გაჭირვებას არ უფრთხის და მზად არის სიცოცხლეც კი ღათმოს ამაღლებული იდეალის სახელით. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ — ასეთია რუსთაველის გმირთა დევიზი, სახელმძღვანელო პრინციპი.

ჰუმანიზმის იდეებთან ერთად „ვეფხისტყაოსანი“ გამსჭვალულია მგზნებარე პატრიოტიზმისა და ხალხთა ძმობა-მეგობრობის დიადი იდეით. ეს გენიალური პოეტის კიდევ ერთი უდიდესი დამსახურებაა. იმ დროს, როცა „ვეფხისტყაოსანი“ იწერებოდა, მხოლოდ გენიოსს, მხოლოდ ხალხის ღვიძლ შვილს შეეძლო ექადაგა სხვადასხვა ტომის ადამიანთა და ხალხთა მეგობრობის იდეა, ცხადეყო ამ იდეის მომხიბვლელობა და შთამაგონებელი შემოქმედებითი ძალა. სამმა მეგობარმა — ინდოელმა ტარიელმა, არაბმა ავთანდილმა და მულღაზანხარელმა ფრიდონმა შეერთებული ძალით შემუსრეს ბოროტება და ამით ნათულებეს, რომ ხალხთა მეგობრობა დიდი სიკეთეა, დიდი ბედნიერება.

ბევრმა პოეტმა უმღერა სიყვარულსა და მეგობრობას, მაგრამ რუსთაველის ხმა მათგან მაინც გამოირჩევა. გენიალური ქართველი მგოსანი მიჯნურობის უმაღლეს იდეალს ზედაეს ხორციელისა და სულიერის ორგანულ ბინთეზში. სიყვარული ძლიერია იმით, რომ აკეთილშობილებს და ამაღლებს ადამიანს, შთააგონებს მას საგმირო საქმეებისათვის: „იგია საქმე სა-



ზეო, მომცემი აღმაფრენათა.“ ასეთივე ამამაღლებელი და გამაყვანებელი გრძნობაა მეგობრობა. იგი აკავშირებს ადამიანებს ყოველგვარ ბოროტების, უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში და „ვინ მეგობარსა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. რუსთაველის გმირების მეგობრობა სამაგალითოა არა მარტო ძმადნაფიცთა ერთგულებით, არამედ ამაღლებული იდეალებითაც. ჩვენ გვხიბლავს ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მეგობრობა, მაგრამ კიდევ უფრო განსაცვიფრებელია ასმათისა და ტარიელის წმინდა და უანგარო მეგობრობა, რომელსაც ბადალი არაჰყავს მთელ მსოფლიო პოეზიაში.

რუსთაველი დიდია არა მარტო იდეების პროგრესულობითა და სიმდიდრით. იგი ქართული სიტყვის ნამდვილი ჯადოქარია. მან გააერთიანა სიტყვა და სიბრძნე, ამავე დროს მისი სიტყვა უაღრესად მუსიკალური და ხატოვანია. ეს კი მხოლოდ გენიოსთა ხვედრია. არავის ჩვენს მრავალსაუკუნოვან პოეზიაში ასე არ აუყვებია ქართული სიტყვა. ასეთი ძალით არ გამოუმჯდამებია ქართული ენის სიმდიდრე და ამოუწურავი შესაძლებლობანი. სავსებით მართალი იყო ვახტანგ მეექვსე, როცა რუსთაველის გენიით მოხიბლული წერდა: „რუსთაველის ლექსი მეფეა, ტახტზედ გვირგვინით მკდომელი“.

თავისი პროგრესულ-ჰუმანისტური იდეებით რუსთაველი მუდამ იყო ქართველი ხალხის თანამედროვე და იგი ჩვენთან არის დღესაც, ჩვენთან ერთად მონაწილეობს კაცობრიობის საუკეთესო და ყველაზე მაღალი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ჩვენ გვაფრთოვანებს რუსთაველის სიტყვა და სიბრძნე, მისი გმირები, რომლებმაც დათრგუნეს ბოროტი და გზა გაუხსნეს კეთილს.

რუსთაველი დიდხანს იდგა ჩრდილში ქართული ენის გავრცელების მცირე ასპარეზის გამო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მხოლოდ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით გახდა შესაძლებელი რუსთაველს კუთვნილი ადგილი დაეკავებინა მსოფლიო პოეზიაში. ქართველი ხალხი კანონიერად ამაყობს, რომ კაცობრიობას მისცა რუსთაველი და უაღრესად მაღლიერია პარტიისა და მთავრობისა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა, უპირველეს ყოვლისა კი დიდი რუსი ხალხისა.

რუსთაველის პოეზია, მისი „ვეფხისტყაოსანი“ — მსოფლიო ლიტერატურის ეს მარგალიტი — საუკუნეებში იცოცხლებს, როგორც ადამიანური სიყვარულისა და მეგობრობის ქებათა-ქება.



პაკინ ლორია

## აღსრულება ანდერძისა

„ვინ მოყვარესა არ ეძებს,  
იგი თავისა მტერია“.  
შ. რუსთაველი.

საპირველმაისო დღესასწაულამდე ორი დღით ადრე ინსტიტუტის რექტორს ნება გამოვთხოვე და სოფელში წასასვლელად მოვემზადე. სადგურის სალაროსთან აუარება ხალხი ირეოდა, გზა ძლივს გავიკვლიე და მოლარეს მატარებლის ბილეთი ვთხოვე.

— სამი მანეთი და ხუთი შაური, — მითხრა მან და ბილეთი გამომიწოდა.

— სამი მანეთი და ხუთი შაური. — გავიმეორე მე და ხელი ჯიბეზე გავიკარი. — დიახ, სამი მანეთი და ხუთი შაური. — ახლა მეორე ჯიბეს ვეცი.

— რამდენჯერ უნდა გაიმეოროთ?! მომეცი სამი მანეთი და ხუთი შაური! — ხმას აუწია მოლარემ.

— დიახ, დიახ, სამი მანეთი და ხუთი შაური! — უბის ჯიბეებიც გადმოვატრიალე, მაგრამ... — ბოღიში, მაპატიეთ! — სწრაფად მივტრიალდი და სარკმელს გავშორდი.

— ხულიგანი!! ტუტუცი! — მომაცოლა მოლარე ქალმა ბრაზმორევით.

— ნამდვილად! — დაუდასტურა ჩემს შემდეგ რიგში მდგომმა მაღალმა კაცმა და ისე დამადევნა თვალი, თითქოს მის წინაშე დიდი დანაშაული ჩამედინოს.

— წახდა, გაფუქდა, ბატონო, ახალგაზრდობა! — კვერი დაუკრა შუახნის მანდილოსანმა. — უფროს-უმცროსობა აღარ იციან.

შეურაცხყოფილმა უკან მივიხედე, მაგრამ არაფერი მითქვამს. ან სად



მქონდა იმის დრო. მატარებლის გასვლამდე დიდი დრო აღარ რჩებოდა, მე კი ბილეთიც არ მქონდა.

სადგურის ყველა დარბაზი შემოვირბინე, ყველგან შევიჰყრიტე, მაგრამ შორეულ ნაცნობსაც ვერ მოვკარი თვალი.

ამდენ წრიალსა და სირბილში, ალბათ, კიდევ უფრო მეტს წავუხდინე შეხედულება ჩვენს ახალგაზრდობაზე: ზოგს გვერდი გაკვარი და ბოდიშის მოხდა ვერ მოვასწარი, ზოგი ჩემი ჩემოდნის გაკვრით გავანაწყენე, ზოგს, ალბათ, ჩემი წრიალი არ მოეწონა.

არა, სად დავკარგე ის ოხერი საფულე? ნუთუ ამომაცალეს? მაგრამ როგორ? რანაირად? ჯანდაბას... მაგრამ...

ავადმყოფ დედასთან რომ მიმეჩქარება!

მგზავრები ერთმანეთში ირევიან. ვინ იცის, რამდენი პატიოსანი და გულკეთილი ადამიანია ახლა მათ შორის! რამდენ მათგანს შეუძლია ხელი გამიმართოს, სამი მანეთი და ხუთი შაური მაჩუქოს ან მასესხოს, მაგრამ რომელია ასეთი გულისხმიერი?!

სხვა გზა არაა, ისევ ხვალსთვის უნდა გადავდო სოფელში წასვლა. დავბრუნდები საერთო საცხოვრებელში და სამგზავრო ფულს ამხანაგებს დავესესხები.

მაგრამ ხვალამდე? ტყუილად ხომ არ შემომითვლიდა პაპაჩემი, დედაშენს ენატრები და სასწრაფოდ ჩამოდიო! მონატრება მონატრებაა, მაგრამ სასწრაფოდ ჩამოსვლა? ჰოდა, ამაღამვე უნდა წავიდე!

ხომ შეიძლება, რომ... საშინელი რაღაც გავიფიქრე და თავზარი დამეცა... ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში მეტი გაბედულება უნდა გამოიჩინოს ადამიანმა. არ დაეძრახვის უცნობიც რომ შეაწყუბოს, დახმარება თხოვოს. ხომ ამბობენ, კაცი კაცის წამალიაო?

იმდენ ტრიალსა და ხეტიალში სადგურის რესტორანში მოვხვდი.

მოქალაქენი მაგიდას მისხდომიან: საუზმობენ, საუბრობენ. ერთგან სუფრაზე წამოშლილან კიდევ და ოფიციატს ანგარიშს უსწორებენ. ერთმანეთს ეცილებიან დანახარჯის გადახდაში.

ცოდნა ჩემისთანა გაუბედავი კაცი... არა, არ ღირს ასეთ ვინმეებთან თავის დამცირება.. ბოლოს და ბოლოს, ერთი დღით დავიგვიანებ...

მაგრამ თუ დედა...

ერთ მაგიდას სამი ახალგაზრდა უზის და ლუღს სვამს.

რატომღაც გულმა მათკენ გამიწია.

— მაპატიეთ! — ძლივს ამოვიღე ხმა და მაგიდას მივუახლოვდი.

ახალგაზრდებმა მიიწ-მოიწიეს და მეოთხე სკამი, რომელზეც ქულები დაეწყით, გაათავისუფლეს.

— დაბრძანდით! — მანიშნეს თავისუფალ სკამზე.

— არა, მე სულ სხვა რამისთვის, მეგობრებო! — და ლოყები  შე-  
მიხურდა, რომ მეგონა ცეცხლი მომედო.

— სხვა რამისთვის? დაბრძანდით!

— არა, ამხანაგებო, მე ბათუმის მატარებელზე მეჩქარება.

ერთმა მათგანმა საათზე დაიხედა.

— ბათუმის მატარებელი თხუთმეტ წუთში გადის, — თქვა მან.

— არაფერია, თითო ტოლჩა ლუდის დაღევას მოვასწრებთ. — დაუ-  
მატა მეორემ.

— ბილეთი გაქვს, ძამია? — შემეკითხა მესამე.

— ბილეთი? ბილეთი... ვიღაცას საფულე ამოუცლია, ბიჭებო, და...

— უფრო მომედო ალმური.

— ბევრი იყო? — დაინტერესდა პირველი.

— ბილეთისთვის სამი მანეთი და ხუთი შაური მჭირდება. სულ კი  
ხუთმანეთიანი მქონდა... ავადმყოფ დედასთან რომ არ მიმეჩქარებოდეს...

— ცრემლი მომადგა თვალებზე.

— ნოღარ, — მიმართა ერთმა მათგანმა ამხანაგს. — ორი მანეთი მაქვს.  
თუ წაუმატებთ...

— ხვალვე გამოგიგზავნით, ბიჭებო... სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუ-  
ტის სტუდენტი ვარ, — ახალგაზრდების თანაგრძნობამ გული ამიჩუყა.

— ჩვენი წრის ყოფილხარ, ძამია... კაკო, წადი თუ ძმა ხარ და ამ  
ამხანაგს ბილეთი აუღე. აჰა, შენ სამიანი. ხუთი შაური თვითონ დაუმატე!  
— და ნოღარმა სამმანეთიანი მიაჩეჩა ამხანაგს. — შენ კი ჩვენთან და-  
ჯექი! — ხელი მომკიდა და ძალად დამსვა.

კაკო სწრაფად გავარდა და ორიოდ წუთში ბილეთი მოიტანა.

— ძალიან შეწუხდა მოლარე ქალი. შენი ამბავი რომ ვუთხარი, ხუ-  
ლიგანი ჰგონებოდა.

— კიდევ კარგი, თავისი შეცდომა თუ იგრძნო, — ესიამოვნა ნო-  
ღარს.

ახალგაზრდებმა ჩემთვისაც მოიტანეს ლუდი.

— ეს ჩვენი გაცნობისა იყოს! — ჭიქა ასწია კაკომ.

— ჩვენს საიმედო ახალგაზრდობას გაუმარჯოს! — დავუმატე მე.

დიდხანს არ დავრჩენილვართ. ისინი ამხანაგის შესახვედრად გავიდნენ  
ბაქანზე, მე კი მატარებელში შევედი.

\* \* \*

შინ გვიან ღამით მივედი, მაგრამ ჩვენები ფხიზლობდნენ. საწოლზე  
ჩამომჯდარ დედაჩემს ხელში ჩემი პატარაობის სურათი ეჭირა და ესიყვა-  
რულებოდა. ბაბუაჩემს ბუხარში ცეცხლი გაეჩაღებინა და მაგიდაზე ნი-  
დაყვდაყრდნობილი გაზეთს კითხულობდა.



ჩემმა გამოჩენამ ორივე მოაცოცხლა და გაამხიარულა. დედაჩემს სი-  
ხარულის ცრემლი ლოყებზე დაუგორდა.

— არ მეგონა, შენს ნახვას თუ მოვესწრებოდი, — მითხრა მან და  
გულში ჩამიკრა.

— ისეთი რა მოხდა, დედაჩემო, აკი კარგად გამოიყურები?! — მეც  
მოვჭხვიე და მივშალერსე.

— ძალიან ცუდად ვყავი, შვილო... გადამარჩინეს მადლიანმა ადამიანებმა.

დედაჩემი შუახნის ქალია. ორმოცდაათი ახლახან შეუსრულდა, მაგრამ ბევრად უხნესად გამოიყურება. გული დაუსნეულდა. ნერვები მოეშალა. ექიმები მშვიდ ცხოვრებას ურჩევენ, ჩვენც ასე ვეუბნებით, მაგრამ ცოცხალმა ადამიანმა როგორ შეიძლება არ ინერვიულოს, ერთნაირად განიცადოს სასიხარულოც და საწყენიც? საკმარისია, ჩემს წერილს დაავიანდეს, ან დღესასწაულზე ვერ მოვინახულო, რომ გული საგულეს არა აქვს.

პაპა ესაყვედურება, მეც, მეზობლებიც ურჩევენ, თვითონც ცდილობს გადაიყაროს ფიქრი და დარდი, დაიმშვიდოს გული და ნერვები, მაგრამ ახალგაზრდა ვაჟკაცის მოღიმარე თვალები, კედელზე ჩამოკიდებული სურათიდან რომ იყურება, მოსვენებას არ აძლევს.

იგი მამაჩემია... ჩემი უცნობი მამა. ორმოცდაორს დაღუპულა სამამულო ომში, როცა მე ჯერ კიდევ სიარულს ვსწავლობდი.

მას შემდეგ ოცი წელიწადი გავიდა, მაგრამ დედაჩემისათვის იგი გუშინდელი დღე და ხვალინდელი იმედია. ბაბუაჩემი უფრო კაჟის ნატეხი გამოდგა — ასე თუ ისე შეურიგდა ერთადერთი ვაჟიშვილის დაკარგვას... ყოველ შემთხვევაში ასეთი ჩანს ჩემთვის, თორემ ისეთ გულკეთილ ადამიანს, როგორც ბაბუაა, რა ჩაუქრობდა იმ დიდ მწუხარებას!

„მკვლარს ტირილი ვერ მოარჩენს,

შველა უნდა ჯანსაღს, მართელს“.

იცის ხოლმე თქმა.

— ჰოდა, გაიხარე, შვილო, გაიხარე! — უთხრა მან დედაჩემს, როცა ჩემი ალერსით გული იჯერა. — ნახე, როგორი ვაჟკაცი გამოგვეზარდა! — და ცალი თვალი გაექცა მამაჩემის სურათისაკენ.

— ენაცვალოს დედა... ეგ რომ სახლში მყავდეს, მაშინ ასეთ დღეში არ ვქენები. — და დედაჩემმა კვლავ გულში ჩამიკრა.

— მოთმინება იქონიე, ჩემო რძალო, მოთმინება! — უთხრა ბაბუაჩემმა. — ეგ ორი წელიც შეუმჩნევლად გაივლის... აქვე, კოლმეურნეობაში მოვაწყობ აგრონომად, ერთ კოპწია გოგოსაც მოვგვრი, შენც ბებიობას დაგილოცავ და... ჰეი, ბუხარო, სულ მოწყენილი ნუ ხარო! — მაშათი მიძინებული მუგუზლები მოათხიზლა მოხუცმა.

— იმ დღეს მოვესწრო და სიკვდილიც არ დამენანება! — სახე გაუბრწყინდა დედაჩემს.

— კარგი ერთი, მამა გიცხონდება! — შეწუხდა მოხუცი. <sup>ეროვნული</sup> <sup>შეხვედრის</sup> ცოცხლებზე ვიფიქროთ და მომავალზე ვილაპარაკოთ, თორემ სიკვდილს ვინ დამალვია, რომ ჩვენ დავემალოთ... თუმცა რა დროს ესენია, დათოს ეშვიება კიდეც. — მოხუცი წამოდგა.

სამივე კარგ გუნებაზე დავდექით. ერთხელ მხოლოდ დედაჩემმა გაიხსენა თავისი ვარამი და ამოიოხრა, მაგრამ მოხუცმა მაშინვე გააჩუმა:

— „ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ჟამ პირველ გარდახდილისა“, — უთხრა მან რუსთაველის აფორიზმით და მშვიდად დაუმატა: — „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქნების“. ასე უთქვამს იმ ჩვენს წინაპარს, და ჩვენც უნდა ვერწმუნოთ.

ბაბუაჩემმა წერა-კითხვა ძლივს იცოდა, მაგრამ „ვეფხისტყაოსნისა“ და „თამარიანის“ შინაარსსა და ზოგიერთ ადგილს ზეპირად გეტყოდათ, საჭიროების დროს აფორიზმების მოშველიებაც უყვარდა.

— ჭამე, შვილო, ჭამე! ტყუილად კი არ უთქვამს იმ კურთხეულის შვილს: „სმა-ჭამა — დიდად შესარგი, დება რა სავარგულია“...

— „რასაცა გასცემ შენია; რაც არა დაკარგულია“, — დავუმატე მე და გავიღიმე.

— გისწავლია! — ესიამოვნა პაპაჩემს. — ეგრე უნდა. ქართველობა იმისი სიბრძნის წყალობით შეგვინარჩუნებია და ხელი როგორ უნდა შევუშვათ.

კმაყოფილ მოხუცს სადღეგრძელოები მოუმრავლდა: ჯერ ოჯახი და მისი ბურჯი ადღეგრძელა, შემდეგ საქართველო და ქართველი ხალხი, ამას ბედნიერი ცხოვრებისა და მშვიდობის სადღეგრძელო მიაყოლა და ბოლოს მე შემომხედა:

— შენ არაფერს დამაწევ?

— მე მეგობრობისა და კეთილი ადამიანების სადღეგრძელოს შევსვამ. — ვთქვი და ჭიქა შევაკე. — იმ ადამიანებსას, რომლებიც სიკეთესა და სიყვარულს თესავენ და ჭირსა და ლხინში მეგობარს გვერდით უდგანან!

— აი ეს კი ვაჟაცატურია! — მომიწონა მოხუცმა.

— იმ ჭაბუკების სადღეგრძელოს შევსვამ, რომელთა ხელშეწყობით ამჟამად თქვენთან ვარ! — და, უფრო გასაგები რომ გამეხდა, იმდამიდელი ჩემი თავგადასავალი მოვყევი.

ბაბუაჩემს, რომელსაც თურმე შვილის დაღუპვის გაგებისას მხოლოდ მწარე ოხვრა აღმოხდა, ამ სასიამოვნო ამბის მოსმენისას თვალები აუტრემლიანდა.

— არ ჩაიწერე მათი სახელი და ვინაობა? — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მკითხა მან.



— დავიხსოვ... ჩემსავით სტუდენტები არიან. ერთი ქობულეთელი ვაჟია, ნოდარ ბაჯელიძე, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. ხვალ დილითვე უნდა გავუგზავნო ფული. ხომ მასესხებ, მხრებზე მოგხვდები ხელი მოხუცს.

ბაბუამ უკმაყოფილოდ შემომხედა:

— ჰოდა, მაგით გინდა სიკეთე გადაუხადო?

— მე ვალზე ვამბობ, ბაბუ! ბიჭებმა ძლივს შეაგროვეს ფული. ხვალ დილით რომ არ გავუგზავნო, ვინ იცის რას იფიქრებენ ჩემზე.

— კარგი! კარგი! — არც თუ ისე კეთილად თქვა მოხუცმა. — მაშ შენ სამი მანეთი და ხუთი შაური ვალი გაქვს, არა?

— ზუსტად ასე ხომ არ გავუგზავნი, ბაბუ... ოთხზე ნაკლები...

— გასაგებია! ნაკლებს ვერ გაუგზავნი, მაგრამ რა იქნება, რომ...

— სირცხვილია. ბაბუ. ხვალ-ზეგ პირველი მაისია, ვინ იცის, რაზე დასჭირდებათ... ხომ იცი რა არის სტუდენტობა...

— ვიცი, ვიცი! უარესი გამოგვივლია ჩვენ... მაშ შენც უსათუოდ ხვალ უნდა გაუგზავნო...

— დიახ, ბაბუ. ნოდარ ბაჯელიძის სახელზე.

— კარგი! ახლა მოისვენე და ხვალინდელზე დილით ვილაპარაკოთ.

— მითხრა მან და წამოდგა.

\* \* \*

დილით რომ გამომეღვიძა, გაზაფხულის მზე თვალში მიჭიატებდა, დედაჩემი ფრთხილად ამღვარიყო. ჩემს თავქვეშ მკლავი შეუძმნევლად გამოეცალა და წასულიყო. ასე გამეპარებოდა ხოლმე პატარაობისას, როცა აღრინანდ გაღვიძებული აღგებოდა და მძინარეს მიმატოვებდა. მაშინ მე საშინელ ღრიალს ავტყებდი და, სანამ არ მოვიდოდა და გვერდით არ მომიწევებოდა, არ დავმშვიდდებოდი.

ახლაც გავიხსენე ბავშვობა და აელრიალდი.

— აი შე ანცო, შენა! — მოიჭრა დედაჩემი და ვითომც ჩემზე გაბრაზებულმა ერთი-ორი მითაყვავა. შემდეგ ტახტზე ჩამოჯდა და ზომიარ ლერსა.

ალერსი ბევრნაირია, მაგრამ დედის ალერსს რა შეედრება!

— ადექი, შემოგველოს დედა. საუზმე მზადაა. ვინ იცის როგორ დანატრებული ხარ დედისეულ კერძს.

სწრაფად წამოვხტი, ხელ-პირი დავიბანე, ტანზე ჩავიცვი და სამზარეულოში გავედი, სადაც გაშლილი სუფრა მელოდა.

— ბაბუ სად არის? — მივიხედ-მოვიხედე მე.

— დილაადრინანდ წავიდა, შეილო. — მიპასუხა დედამ. — შეიძლება დამაგვიანდეს და არ შეგეშინდეთო, დაიბარა.

— დამაგვიანდესო?! ამ დილით ფული რომ მაქვს გასაგზავნი?! ხომ არა დაუტოვებია?

— არა, შვილო, არაფერი დაუტოვებია. არც არა უთქვამს რა.. დღეცაღე, მოვა და...

— რას ამბობ, დედაჩემო! ასეთ დროს დაცდა შეიძლება? ისევ შენ უნდა გაიხსრიკო ქისა. სულ ოთხი მანეთია საჭირო.

— ნუ შფოთავ, შვილო, ბაბუაშენს არასოდეს შეუტრცხვინებარ და არც ახლა შეგარცხვენს.

მეტი დედაჩემს ვერაფერი შევხედე. რა მექნა. ისევ ბედს დავემორჩილე და მთელი დღე უაზროდ ვწრიალებდი. დედაჩემი კი ქალიშვილივით ტრიალებდა: რეცხავდა აუთოებდა, სახლს ალაგებდა, ქაღებს აცხობდა. დედლებიც დამაკვლევინა და შეემაზა, ღვინოც ამომადებინა და სურებში ჩამასხმევინა.

ბაბუაჩემი მაინც არ ჩანდა გული მტკიოდა, რომ სიტყვა გავტახე ბიჭებთან.

დაღამდა. სოფელი ელნათურებით მოირთო და აღაქლაჟდა. ბავშვებმა თანდათან უკლეს ყრიაშულს. მალე ყველაფერი მიწყნარდა.

— კი, მაგრამ სად არის აქამდე ის კაცი? — წუხილით ვთქვი მე და დედას შევხედე. მეგონა გაიზიარებდა ჩემს შიშს, მაგრამ ასეთი რამ ვერ შევამჩნიე.

— თავისი საქმე მან იცის. — მოკლედ მიბასუხა მან.

არასოდეს ასე უცნაურად არ მომჩვენებია მისი საქციელი. არც ბაბუა მინახავს ასე უსულგულო და მიუკარები. ერთხელაც არ მახსოვს, მისთვის ფული მეთხოვოს და მაშინვე არ მოეცეს. ახლა კი... მთელი ღამე რაღაც გროშებზე ვცლაპარაკებოდი, ვთხოვე, დილით მოეცა, რომ ბიჭებისათვის გამეგზავნა, მაგრამ... დილაადრიან თვითონ სადღაც გაიპარა და მე კი...

— ნუ დარდობ, შვილო, ბაბუაშენი ისეთს არაფერს გაგიკეთებს, რომ საწყენად დაგჩეს. — ისევ დამიწყო დედამ დამშვიდება, როცა საყვედური დამცა.

— ამაზე მეტი საწყენი რა უნდა იყოს?! ბიჭებთან შევრცხვი, თორემ...

— არა უშავს. — თითქოს ჩემი გაბრაზება სურსო, ისე მეუბნება დედაჩემი. — მოგცემთ, ჩახვალ და ჩაუტან...

— გეყოფა, დედაჩემო! — ცოტა უკმეხად გამომივიდა. — არაფერი არ მინდა თქვენი. იქ რომ ჩავალ, სტიპენდიას ავიღებ და იმით გავისტუმრებ. თქვენ კი...

დედაჩემმა გულიანად გადაიხარხარა. მე კი მეგონა ეწყინებოდა.

— რა ბრიყვი ხარ, შვილო. — მითხრა მან სიყვარულით. — რატომ ფიქრობ, რომ შენს სურვილს ანგარიშს არ ვუწევთ, შენი ავკარგი არ



გვინტერესებს? აჰა, შენ ფული! — ოცდახუთიანი ჩამიღო ხელში წადი, გაუგზავნე, რახან ასე აუცილებელია...



— ახლა? ამ ღამე? ამ დროს ხომ ფოსტა არ მუშაობს?!

— ხვალ დილით გაგზავნე!

— ხვალ პირველი მაისია, უქმე დღე. მე კი მინდოდა დღეს დილით დღეებში გამეგზავნა, რომ ხვალ ხელთ ჰქონოდათ და არ ეფიქრათ, ვინმე მატყუარა და გაიძვერა ვარ.

— კარგი, კარგი, მაგაზე ნულარ ვკამათობთ. გადი სასტუმრო ოთახში და სუფრა გაშალე! ხელადებით ღვინო შემოდგი, სასმისები გამოიტანე. მე-რე შემოდი და კერძი გავიტანოთ! — მიბრძანა დედაჩემმა.

— კი, მაგრამ ამაღამ ვის ველოდებით?! — გაკვირვებით შევაჩერდი მე. — ერთი მოხუცი ბაბუ მყავს და ისიც შინ არ არის.

ჭიშკრის ჭრიალს ჩვენი ძაღლის ალერსიანი წკმუტუნი მოჰყვა.

— აი, მობრძანდა კიდეც! — თქვა დედაჩემმა და აივანზე გავიდა.

— კეთილი სტუმრები მოვიყვანე! — უთხრა ბაბუაჩემმა რძალს და ორ უცნობს სახლში შემოუძღვა.

— აჰა მშვიდობა! — თითქმის ერთხმად დაილოცეს სტუმრებმა და დედაჩემს ხელი ჩამოართვეს.

— როგორ ბოძივით დგახარ, დათო! — გაკვირვებით შემომხედა მოხუცმა. — სტუმრები მოგიყვანე და ეგრე უნდა?!

— გამარჯობათ, უგუნებოდ ვთქვი მე და სტუმარს ხელი გავუწოდე.

— ეს როგორი კაცი ყოფილა, ბიჭო, ბაბუაშენი! — მითხრა მან. — რაკი გვიბოვა, აღარ მოგვეშვა... მაინც ვიცოდეთ, რა დამსახურება მივეძღვის ასეთი?! წუხელ კარგად იმგზავრე?

— წუხელ? წუხელ... დაიცა, დაიცა, ბიჭებო, ეს თქვენ ხართ?!! ნოდარ! კაკო!

— მესამე კი ვერ ვიბოვე. — თქვა ბაბუაჩემმა.

— პაპა! — აღტაცებით შევძახე და მოხუცს კისერზე ჩამოვეკიდე. როგორ მოახერხე ეს? როგორ იბოვე?

— იბოვე! ვითომ ისე უფიცი ვარ, ქუთაისში გზა დავკარგო და კაცი ვერ ვიბოვო? აკი თქვი, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელშიაო? განათასია სტუდენტთა საცხოვრებელი! მანქანა დავიჭირე და ზედ კარებზე მიმიყვანა... ი მესამე ვერ ვიბოვეთ და ისა მწყინს, თორემ ამათ გულნაკლულს არ გავუშვებ. დასხედით, შვილებო!

ჩემს აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ჩემზე არანაკლებ კმაყოფილი და მხიარული იყო დედაჩემი, რომელიც წინასწარ ჰყოლია გაფრთხილებული მოხუცს.







—კი, მაგრამ ამდენი ვინ გვეყოლება, დედაჩემო? — შევეკრეთ და დედამ კეთილად შემომხედა:

—გაშლილ სუფრას სიუხვე ამშვენებს, შვილო! — მითხრა მან. — ბაბუა-შენს თავმჯდომარე შეუსახელებია: რჩეულ-რჩეული ვაჟყაცები მომიყვანო. ჩვენც უნდა მივყვეთ მის სურვილს, გულს ნუ შევკლებთ... დიდი ხანია ასე მხიარული და კმაყოფილი არ მინახავს. ალბათ, აქვს მიზეზი. ყველას თავისებური ბუნება და ხასიათი აქვს: ზოგი სიკეთეს თესავს და ამაში ხედავს ბედნიერებას, ზოგს სიავე და ბოროტება ჰგვრის სიამოვნებას. ღმერთმა გვიშველოს, ჩვენს ოჯახს თავიდანვე სიკეთის გვირგვინი ადგას. დღეს ბაბუაშენია ამ გვირგვინის მატარებელი, მერე შენ უნდა ატარო იგი. არ შევკამათებია. გამოვბრუნდი, სტუმრები გამოვალვძიე და სასაუზმოდ მოვიპატიე.

საუშმეზე ბაბუაჩემს ღვინო არ გამოუტანია. ორ-ორი ჭიქა არაყი შეგვასვა და გავვისტუმრა: სადილობამდე ჩვენი სოფელი შემოატარე სტუმრებს, აქაური ქალ-ვაყები გააცანი, ვინც გსურდეთ, მოიპატიეთ და დროით დაბრუნდითო, დაგვიბარა.

ჩვენც ასე მოვიქცეთ, სოფელს შარავზით შემოვუარეთ, წყაროსთან შეკრებილ გოგო-ბიჭებს გავეცანით, იქიდან საბჭოსაკენ შევუხვიეთ და საპირველმაისო დემონსტრაციას შევუერთდით.

შინ მობრუნებულებმა რამდენიმე ქალ-ვაყი გამოვიყოლიეთ და წამოვედით.

დედაჩემთან ერთად უკვე რამდენიმე ქალი ფუსფუსებდა ჩვენს ოჯახში. აივანზე გრძელი მაგიდა გამოეტანათ, ლურჯი სუფრა გაეშალათ და ხორავით ტვირთავდნენ.

ბაბუა ხშირად ადიოდა იქ, სუფრას გადახედავდა და, თუ რამე ჭკუაში არ დაუჯდებოდა, ქალებს მიუთითებდა. შემდეგ ჩამოდიოდა და ჩვენთან ერთობოდა.

— დათო! — მაჯაზე მომკიდა ხელი და იმ თუთის ხესთან მიმიყვანა, სახლის წინ რომ იდგა. — რას იტყვი, ეს ხე რომ აქედან ამოვიღოთ და სხვა ადგილას გადავრგათ, გაიხარებს? — მკითხა მან.

— განა აქ ვინმეს ხელს უშლის? — კითხვითვე ვუპასუხე მე.

— მე ხომ არ მოიტყვამს, ვინმეს უშლის? — წყენით მითხრა მან. — შენ კითხვაზე მიპასუხე!

მე უნებლიეთ ნოღარისაკენ მივიხედე.

— მცენარეთა სამყაროს შენ სწავლობ, ჩემო ძამია, და მე მიცქერი? როგორც იცი, ისე უპასუხე. — მითხრა ბაჩელიძემ.

— ათას ხუთასი წლის მუხა რომ გადმორგეს თბილისში, ხომ გაიხარა? — იკითხა კაკო შელიამ.

— თუთის ხე ბევრად მორჩილი და სიცოცხლის უნარიანია. — დაუ-  
მატა ნოდარმა. — მხოლოდ ეს გრძელი ტოტები კი უნდა შეასხლათ.  
— ეგ კი სწორია. — დაუდასტურა მოხუცმა. — ამ საქმეს შენ ნუ  
კათოც ადვილად შეძლებთ, ეს ჭაბუკები კი ორმოს გათხრიახ, — ჩვენს  
მომყოლთ გადახედა მან.

— ახლა?! — გაკვირვებისაგან თვალები გამიფართოვდა.  
— მაშ, მაშ. ახლა, სანამ სადილი გამზადდებოდეს.  
— ბაბუ!!! — უფრო გავიკვირე მე. — ამოდენა ხის გადარგვა...  
— მაშ, ამოდენა ხე რომ არ იყოს, თქვენი მოშველება არც დამჭირ-  
დებოდა.

დავიბენი. ნეტა ამ სტუმრებთან არ შევერცხვინე. არა, საიდან მოუ-  
ვიდა ასეთი ახირებული აზრი?

— აი, მოვიდნენ კიდეც და ესენიც მოგვეშველებიან! — თქვა მოხუ-  
ცმა და ჭიშკარში შემოსულ ათიოდე კაცს მიეგება.

მე დედასთან მივირბინე და ბაბუას საქციელი შევჩივლე:

— მისი ნებაა, შეილო. — მითხრა დედამ. — როგორც სურდეს, ისე  
შოიქცეს. შენ კი ურჩობას ნუ გაუწევ.

— დედაჩემო!

— მოხუცს ნუ აწყენინებ... გახსოვდეს, შენი დღეც ისეთივეა. — ხა-  
ლხური ანდაზით მიპასუხა დედამ.

— კი, მაგრამ ამ უცხო ხალხში! ამ საპატიო ადამიანებთან...

— არა უშავს რა. მიჰყე მოხუცის ნებას!

საოცარია სწორედ. ბაბუაჩემი ამ ხეს თვალისჩინივით უფროთხილდე-  
ბოდა. აბრეშუმის ჭიისთვისაც არ აკრფენებდა ქალებს ფოთოლს. მაღლი-  
ანი ხეა, სიკეთეზე აქვს ფესვები გადგმულიო. ზაფხულის სიცხიან დღეებ-  
ში მის ქვეშ გაშლიდა სუფრას და იქ სადილობდა, დასასვენებლადაც იქ  
წამოწვებოდა. როცა ხე მწიფე ნაყოფით დაიტვირთებოდა, ზედ ასვლისა  
და დაბერტყვის უფლებას იმ ბავშვს მისცემდა, რომელიც უფრო ბევრით,  
თავაზიანი, მართალი და კეთილი იყო. ბავშვებიც ერთმანეთს ეჯიბრებო-  
დნენ ამ ხეზე აცოცების უფლებაში.

— კი, მაგრამ ბავშვებს ხომ სჭირდებათ ბევრითობისა და სიკეთის  
გზაზე დაყენება? — შევახსენე პაპაჩემს ჩვენი სოფლის ანცეა.

— ჰოდა, იმიტომაც არ მინდა გავახმო ეს ხე. — თქვა მოხუცმა და  
შევატყვე, რომ მისი მტკიცე გადაწყვეტილება ოდნავ შეირყა. — შენ  
მართალი ხარ. წელს ისინი განაწყენი დამრჩებიან, მაგრამ თუ ამ ხემ სხვა  
ადვილას ფესვები მოიკიდა და იხარა, გაისად ჩემი ჩიტუნები კვლავ მის  
წვეროზე შემოსხდებიან.

თავისი ახირება მაინც ვერ გადავათქმევინე გაკერპებულ მოხუცს.

— ბერიკა, მე ძეგონა ნადიმზე მიწვევდი, გაშლილ სუფრასთან დამს-



გამდი, თორემ სამუშაოს ჩვენს თავმჯდომარეს რა გამოუღევს! — ისტორია  
ერთმა ახალგაზრდა ბრიგადირმა, როცა ბაბუაჩემმა იქ ძყოფი  
განზრახვა გააცნო.

— სანადიმო სუფრა, აი იქ არის! — აივინსაქენ გაიშვირა ხელი მო-  
ხუცმა. — მას კურთხევა და დალოცვა უნდა. ამის უფლება კი მარტო ზე  
მაქვს.

— ჰოდა, გვიშველე, ბატონო, რამე, გვიკურთხე, რაც საკურთხებე-  
ლია. — გაწყობილ სუფრისაქენ გაიხედა სოფლის ექიმმა.

ბაბუამ შეატყო, რომ ვერ გამოუვიდა კარგად, მაგრამ უკან მაინც  
არ დაიხია.

— მაპატიეთ! — წამოიწყო მან. — მე ერთი უბრალო უსწავლელი  
გლეხი ვარ. მამა-პაპათა ჩვეულებაზე აღზრდილი. აქამდე პატიოსნად და  
ლირსეულად მიტარებია ჩვენი წინაპრების დიდება და სახელი, მათი ან-  
დერძისათვის არ მიღალატნია; სიკეთის ბურჯად ვმდგარვარ და სიყვა-  
რული მირგავ-მითვისავს... ოთხმოც წელზე მეტი გავლიე. გასავლელი ძა-  
ლიან ცოტადა დამრჩა... ახლა, ამ საზეიმო დღეს, ერთი სუოვილი დამება-  
და: ამ ეზოში, ამ კურთხეული ხის ნამყოფ ადგილას, მისი დამრგველის სა-  
ხელი გვეხსენებინა და დაგველოცა. თუ თქვენც მხარს დამიჭერთ და ამ  
სურვილს შემისრულებთ, თქვენს სიყვარულს იმქვეყნადაც გავიყოლიებ.

ეს სიტყვები ისეთი გრძნობით წარმოთქვა მოხუცმა, რომ ყველას  
გული აუჩუყდა.

— მერედა, ეს რა დიდი საქმეა, ხალხო! — დაიძახა ჩვენმა ახლობე-  
ლმა გოლიათმა მეზობელმა და ისე ეძგერა ამოდენა ხეს, რომ ძირფესვი-  
ნად შეარყია.

— ჯაგანავ, დაიცა, კაცო, თავზე არ დაგვახეთქო. — განზე გაიწია სო-  
ფლის საბჭოს თავმჯდომარე. — მივეშველოთ, ხალხო! — და თვითონაც  
ბარს წაავლო ხელი.

მალე ყველა ამუშავდა. მე, ნოდარ ბაჯელიძე და კაკო შელია ხეზე  
ავცოცდი. დიდრონი ტოტები შევაჭერით და ძირს დავუშვით; ქვემოთ  
დარჩენილებმა პაპაჩემის ნაჩვენებ ადგილას დიდი ორმო ამოჭრეს, სხვები  
ბარ-ნიჩბით ხის ირგვლივ დატრიალდნენ, ფესვები შეაჭრეს და რამდენიმე  
წუთში მოხუცის სურვილი განხორციელდა — ხემ ადგილი იცვალა.

— ახლა ყველაფერი რიგზეა! — გამოაცხადა მოხუცმა, გრძელტა-  
რიანი თოხი აიღო და ხის ნამყოფ ადგილს თხრა დაუწყო. კარგა ბლომად  
ამოთხარა მიწა, იქით-აქეთ მიაბნია, შემდეგ დაიხარა, ამოთხრილ ორმოში  
ხელი ჩაყო და იქიდან მოზრდილი ფართო ქვის მრგვალი სარკველი  
ამოიღო, მერე იმ ზომისვე მუქი ხის ნაჭერი ამოაყოლა და მალე პირფა-  
რთო ქვევრის ყელი გამოჩნდა.

— აჰ, ქვევრი!!! — ერთხმად აღმოხდა ყველას.

— ჰო, ქვევრი! — გაბრწყინებული თვალები შემოგვანათა ბაბუაჩემმა. — ჰო, ქვევრი! — კვლავ გაიმეორა მან და შუბლზე მოდგნილ წვეთ-  
ლი მოიწმინდა: ეს ქვევრი აქ ჩემი თანდასწრებით ჩარგო მამაჩემმა, შავი  
ღვინით შეავსო, თავი კარგად დაუღუსა, ზედ ნორჩი თუთის ხე დარგო  
და მიანდერძა: მოთხარე ეს აქ. მოაღი ეს ქვევრი მაშინ,  
როდესაც ადამიანის კეთილმა საქმე ოჯახი გაგიხაროს და გული აგიძგე-  
როსო. — სტუმარ ჭაბუკებს გადახედა. — აი, ამათ განმაცდევინეს ის სია-  
მე და სიხარული, ჩემი კეთილი მამა რომ მეუბნებოდა. — ცოტა შეისვენა  
და შემდეგ მოგვიბრუნდა: — ჭაბუკებო, მოიტათ ხელაღები, ჭიქები,  
ჯიხვები! დღეს საჭიროდ ვცან თქვენი თანდასწრებით გამეკეთებინა ეს  
საქმე, აღმესრულებინა მამის ანდერძი. მაპატიეთ, თუ წინასწარ არ გაგი-  
მხილეთ საიდუმლო.

ჩვენ ხელაღები და ჭიქები მოვარბენინეთ, ქალებმა პურ-მარილი მო-  
გვაშველეს და იქვე პატარა სუფრა გაიშალა.

ბაბუაჩემმა ქვევრს პირი მოწმინდა, სუფთა ტილოთი იქაურობა მო-  
სუფთავა, შემდეგ ბროლის ჭიქით ჩაწვდა და მაყვალევით შავი ღვინო  
ამოიღო. ერთხანს უცქირა, შემდეგ დაყნოსა, ცოტა მოსვა და კმაყოფილ-  
მა მხიარულად გადმოგვხედა:

— მაღლიანი ხელით მოკრეფილი და მოწურულია. კეთილი და მაღ-  
ლიანი საქმისათვისაა განკუთვნილი და იმის ძალას შემოუნახავს ასე უნა-  
კლო და ფერუცვლელი... მოიტანეთ სასმისები!

და, როცა სასმისები მივაწოდეთ, მან ყველას თავისი ხელით შეუვსო  
ჭიქა, ერთი თავად დაიჭირა, მაღლა ასწია და იმ სახელოვანი წინაპრების  
სადღეგრძელო შესვა, რომლებიც შთამომავლობას სიკეთის, სინდისის და  
სიმართლის სიყვარულს უნერგავდნენ და უკვდავ ძეგლებად თავის ან-  
დერძს უტოვებდნენ...

— ახლა კი საზეიმო სუფრაზე, შვილებო და მოკეთებო! — გადმო-  
გვძახა ბერიკაცმა და აივანზე გაშლილი მაგიდისაკენ გაგვიძღვა.





## მამია პარზანიძე

### მ ე ს ხ ე თ ი

ზოთა რუსთაველს...

შენ გინახავს, გენაცვალე, დიდი ზარი ხახულის,  
შენ გინახავს, დალოცვილო, ჩემი ბანას ზარები.  
აშიკი ვარ ქარავენთა მე იმ დიდი ზაფხულის,  
აშიკი ვარ, დიდ ხელოვანთ თრთოლვით დავემგზავრები.

მერე ქარში დაფახტულა დიდოსტატთა ჩუქურთმა,  
მერე სადღაც დაფანტულა მარგალიტი ობოლი.  
როგორ ჩაქრა და ვერ ვნახე მისი დიდი შუქურა,  
როგორ გატყდა, გაცამტვერდა მისი მტკიცე გოდოლი!  
ცისარტყელად ეხვეოდა სვეტებს ფერთა ნამქერი,

ლაჟვარდით კამკამებდა უნაბირო თაღები...

და მგონია იმ შენეულ ზვარის ღვინით დავთვერი,  
სად ამალღდი მგოსანთ მეფედ, იმ ტაძარში ავმღერდი.  
შენ გალობდი, შენი შურდა ათინელს თუ შირაზელს,  
შენი შურდა წარმართსა და ქრისტიანს თუ მუსლიმანს.  
მზედ ამოდი ქართლის ცაზე, მოგვეახლე შინაც მზედ,  
შენი ხმა ქუხს ზენაკაცო!

ჰე, მამულო, უსმინე!

— ნეტავ, საით დაკარგულხარ, ჩემო მზეო ნესტანო,  
და ჩამითქვამს ჩემთა ცრემლად ჩემი მტკვარიც, ჭოროხიც,  
სად გაფრინდი, სიყვარულის ელვა-წამო ნეტარო,  
დავიღალე, გავსამარდი წუთისოფლის ჭორობით!..

ნუ, ნუ ჰგოდებ, ნუ მადარდებ ველად გაჭრილ ტარიელს,  
ის იპოვის სატრფოს მალე, აბა, მითხარ, მე რა ვქნა?!

მე დავკარგე საყვარელი და ვარ მისი ტარივი,  
ვარსკვლავებით მოჭედილი ეკ, ცა ჩამომენამქრა.  
და მე ვნატრობ, გამიგონე, მო, იმედი ჩამითქვი!  
გესმის, ბრძენო, რას, რას ჰგოდებს ჩემი მღვრიე ჭოროხი?  
შენ გარდაქრი, არა იცი... ნატრული ვარ, ა, იმ მთის,  
შენ არ გჯერა, მტუქსავ კიდეც — ნუ დამღლიო ჭოროხით!  
რასაც ტაძარს ეძახოდით, ის გამხდარა ნაცარი,  
ამად სევდა შეპარვია ჩემს გულსა და გალობას,  
თორემ მე ვარ მოტრფიალე აღზევებულ აჭარის,  
თვით ვქმნი ჩემს ბედს და მომავალს, მე რად მინდა წყალობა.  
სქელი, ლურჯი ცა-ხატება ისე უტეხ გადატყდა,  
ვერ მოვასწარ და ერთხელაც თვალით ველარ გავლოკე.  
ახლოსა და მაინც შორს, ხატი დამრჩა გადამმა  
და არ ვიცი მის შავებელზე ვტიროდე თუ ვგალობდე.  
„შენი ფიქრი ამაია“, ვილაც მიკლავს ალალ გულს,  
ვისი ძუძუც მიწოვნია, პირმშო დედად არა ვთქვა?!  
მე ვიგლოვებ მარგალიტებს ქარწვიმაში დაკარგულს,  
მჯერა, მიყვარს, ვეწამები, არასოდეს გადავთქვამ.  
შენ ჩამძახი — იწამეო ჩვენი საკუთხეველი,  
შენ ჩამძახი — იწამეო ჩემი დიდი მესხეთი.  
მე ვიწამებ, დალოცვილო, აღმიპყრია ხელები,  
შლამს არ ირევს, არ გაირევს ჩემი სული მერხვეი.  
მე აჭარის მაღალ მთაზე ღმერთკაცით ავიწევ,  
და გავძახებ: ამბორი მსურს თქვენი — ბანავ, ხახულო!  
სიზმარში თუ ოცნებაში მე მათზე ჯვარს დავიწერ,  
რომ დიდება გარდამქრალი სიზმრად მოვინახულო.  
შენ გინახავს, ბედნიერო, საოცნებო თაღები,  
მე სიზმარში მომტირიან გაბზარული ზარები.  
მესიზმრება, მელანდება ფერთა დიდი ტალღები,  
იმ ტალღებში მექარავენელ სადღაც მივემგზავრები.





## ფრიდონ ხალვაში

### გადარჩენილი უკვდავება

პ რ ო ლ ო გ ი

თავანმალალი ეკლესიის დარბაზი. ნახევრად ჩაბნელებულ კათედრაზე ჩანს თეატრ-წვეროსანი საქართველოს კათალიკოსი. ხალხის თავშეკავებული, ამოგმინებისმაგვარი „ამინ“ მაღალ გუმბათებს ედება და ექო ძველქართულ საეკლესიო მელოდიათა აკორდებში იკარგება.

ჩვენ ვხედავთ მხოლოდ რამდენიმე მორწმუნეს, თავჩალუნული და მწუხარე მორჩილებით რომ ისმენს ქადაგებას, მაგრამ ოღახვ ჩაბნელებულ სიერცეში იგრძნობა, რომ დარბაზი ხალხითაა სავსე.

კათალიკოსი ცისკენ იცქირება და შთაგონებით ხელაპყრობილი ქადაგებს.

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ...და არვინ უწყის, ღმერთის მეტმა, რა ელისა...  
კაცსა...

იფრთხილეთ, შეილნო, ქადაგებას ჩემსას ერწმუნეთ:

ცოდვას კაცმა იამაყოს იმ სამშობლოთი.

რაც მიწაზეა, მიწიური ცოდვით ნაჯეკნი,

მარადიული სამყოფი და სამშობლო ჩვენი

იქ არის, ცაში და აქ — ლოცვის სასუფეველში.

მე შენ გიბრძანებ, კაცო, ქვეყნის იყავი მწირი.

შეხედე ზეცას, ღვთიურ კარნახს ყური მიაპყარ.

წყევით დაფისე ავი სიტყვა და ავი საქმე,

რაიც მიიღე ბოროტებით სავსე წიგნიდან,

რომლის დამწერი, ავმზრახველი რუსთველი შოთა

განუდგა ქრისტეს...

(ჩოჩქოლი, ხმაური, მღელვარება)

\* პოეტ ფრიდონ ხალვაშის დრამატული პოემა „გადარჩენილი უკვდავება“ დასადავ-მელად მიიღო ბათუმის სახელმწიფო თეატრმა. პრემიერა ნაჩვენები იქნება რუსთაველის დღეებში.

გვებუდეთ პოემის პროლოგსა და ეპილოგს.

თქუა ლექსი ურწმუნოების,  
ასწავლა ქართველს სიწმინდის წილ ბოროტებანი,  
გარყვნა წმიდა ღვთისნიერთა მადლი მარადი,  
ქრისტიანობა შეგვიგინა და უნამუსოთ  
ხოტბა შეასხა, აღავლინა ლექსით ცათამდე.  
წაართვა ფიქრი ყმაწვილკაცებს და ღვთის მაგიერ  
სათეჩრად მისცა სულნი ცოდვით დამძიმებულნი.  
(ღარბაზი ღელავს, ზუზუნებს)

და ქრისტიანულ წმიდათ-წმიდა საღმრთო სიყვარულს  
მან დაუმიზნა ხორციელი ხრწნადი ტრფიალი.  
სიამტკბილობა წუთიერი, სულის მღპობელი  
მან ამჯობინა მარადიულ ზეცის საღმრთოს.  
(ღელვა, ხმაური)

ამად წაკითხვა რუსთველისა წაწყმედას უდრის.  
ყოველი ბწყარი რუსთველისა სავსეა ცოდვით.  
თავად რუსთველი მკრეხელია, ცის შემრისხველი,  
მასზე ცოდვილი ქვეყანაზე ვინდა იქნების!  
სპარსულად თქმული ურჯულოთა ლექსის საწამლი  
მან დაანთხია ქრისტიანთა, ქართველთა გულზე,  
არა ახსენა სამებაი ერთად არსულად,  
რითაც აღსასრულს სანეტაროს მადლი მოუსპო.  
(ჩუმი, შეკავებული მღელვარება)

განუდგა ქრისტეს, ეკლესიას, ყველა სიწმიდეს,  
რითაც განუდგა თავისსავე ხალხსა. განუდგა,  
რადგან ეს ხალხი ღვთისმორწმუნე იყო და არის.  
იგი გაყვარებს ამა სოფლის ცოდვილ ცხოვრებას,  
არად თვლის ზეცის სასუფეველს, ღვთისგან დადგენილს.  
ასმინეთ ხალხსა წყევა მკრეხელ პოეტობისა.  
წყევა მისდამი, თავად შოთა რუსთველისადმი!  
ვაი მას, ვინცა რუსთველისა კვალსა შეუდგეს,  
რამეთუ ბერთა და ყოველმან ჭაბუკმან მცირემ  
დიდ სიბოროტედ და სიბილწედ მიიქცეს მარად.  
და განიწიროს ღმრთისა მიერ საწამებელად,  
ვითარცა ცოდვით მოზიარე და ცოდვით მქმნელი,  
რუსთველმან დასცა ქრისტიანი ქართველის ჯვარი,  
მიტომაც იგი მკრეხელად ვცან და განდგომილად.  
(მორწმუნენი ხმაურობენ)

მისი ბოროტი ლექსის კითხვა ცოდვად მიითქვია!  
(სიბნელე მატულობს)



დაიწვას უნდა შოთას წიგნი!



წყეულიმც იყოს თვით დამწერი „ვეფხისტყაოსნის“,  
და წამკითხველიც იყოს წყეული!

(ხელს უფრო მაღლა აღმართავს)

იყოს წყეული უკუნისით უკუნისამდე,  
ამინ!

(ხალხის „ამინ“ ამოკენსას ჰგავს. დარბაზი გუგუნებს და გაისმის სევდიანი, მწუხარე აკორდები. სცენაზე მყარდება მძიმე სიჩუმე. სრული სიბნელეა. უცებ განათდება კუთხეში სვეტივით მდგომი პოეტის ფიგურა. შოთა რუსთაველი თავდახრილი, დარდიო დამძიმებული დედამიწას ჩასცქერის).

შოთა — ოჰ, მიწავ, შენი სიყვარული მე დამიწყევლეს.  
მაგრამ რა მწაღდეს. შენს სიყვარულს რომ ალემატოს.  
(ჩასცქერის მიწას და ღიჯად განაგრძობს)

ო, გმირნო ჩემნო: ნესტან, ასმათ, თინათინ, ფატმან.  
ავთანდილ, ფრიდონ და ტარიელ, ჩემო ტარია,  
ნუ გამკიცხავთ, რომ შთაგიბერეთ სული ცოცხალი,  
მოგეცთ ტახტები, სასახლენი, ტრფობა და ძმოზა.  
ლექსი გაღვრიეთ ბაგეთაგან მარგალიტების  
და წუთისოფლის სიაგვარგე ეგზომ წარმტაცი  
თქვენ შეგაყვარეთ...

ხოლო ახლა კი წყევა გკადრეს...

მე დამაბრალეთ ეს შერიხსხვა და მაპატიეთ...  
ო, სიტყვავ ჩემო, საქართველოს მზით გამომწვარო,  
ქვეყნის ფუძეში ჩაგლესილო და ვაზის ლერწხე  
დამწიფებულო, დაშაქრულო სავსე მტევანო.  
მარად ცოცხალო ნაკადულო დაუხარჯველო,  
სინათლევ, სითბოვ და სამშობლო მიწის სურნელო,  
პატიოსანო სიტყვავ ჩემო, ქართულო სიტყვავ,  
არა ლოცვისთვის გაჩენილო, არამედ მძლავრი  
დედამიწური სიყვარულის გამოსათქმელო.  
ნუ გეწყინება, რომ განკიცხეს შენით ნაშენი  
ჩემი ქმნილება ხელთუქმნელი, წიგნი გმირობის!  
არ დამიდაბლდე, არ დაჩლუნგდე, არ დაიდალო,  
ენავ ქართულო, ჩემო ხმალო, ჩემო გვირგვინო,  
ჩემო დღე-ღამევ, ჩემო სისხლო, ჩემო სიმღერავ,  
დიოდე, ვითა ჭოროხ-ფაზის-მტკვრის წყალი უხვი,  
მარგალიტებად მოგამტრიე, ლექსად გავთალე  
და ავაშენე სრა-სასახლედ ხმით უტკბილესით.  
ამ სასახლეში ამაყურად შევა ქართველო

და ყველა კაცთან შენ იქნები მართლის მზიდველი,  
არა განდგომას, არამედ აქ, ხალხთან დადგომას  
მის განდიდებას, ამაღლებას და უკვდავებას  
მე ვუმღეროდი...

(პაუზა)

ო, დიღო თამარ, სანტაროვ, ადრე ჩასულო  
მნათობო ქვეყნის,  
განისვენე მშვიდად მეფეო,  
შემინდე, ისევ რომ გღაღადებ სულო, ტკივილო,  
მაღალო ფიქრო, ჩემი ჩანგის ზეშთაგონება.

(წამოსასხამს გაიხსნის და უბიდან გამოაჩენს წიგნს)

აი, ის... „ვეფხისტყაოსანი“, შენ რომ გიძღვენი,  
მას შენი ხელის სიტბო ახლავს, შენი ამბორი.  
მომეხმარება იგი ისევ სევდიან მოხუცს.

გარდვიხვეწები, განდევნილი ეკლესიისგან,  
წავალ, ვით მწირი და მოვნახავ მყუდრო სავანეს,  
სადმე შორეთში დავასვენებ წიგნსაც და ფიქრსაც  
შენც, გულის ჩემის განთიადო, შუქად გატარებ,  
რომ მიღუღლი ღღენი ჩემი შენით გავითბო.

(წიგნს ისევ უბეში ინახავს და ხელებს ალაპყრობს)

შენ, ხალხო ჩემო! შენი შვალი, შენთვის მზრუნველი,  
შენი ვიქნები უკუნისით უკუნისამდე!..  
გემშვიდობები, ალაგებო, ცრემლნასხურებო,  
სად მონად ყოფნა მიჯობს სხვაგან ტახტზე დაჯდომას,  
მაგრამ რადგანაც მე — რუსთველი, შენი მლოცველი,  
ასე შემრისხეს, დამიწყევლეს აზრის ნაყოფი,  
წავალ, ვით მწირი...

(ქეითინებს)

მაგრამ ნუთუ გამწირავს ხალხი?

(პაუზა)

ო, ხალხო ჩემო, მშობლიურო, შენთვის მზრუნველი,  
შენი ვიქნები უკუნისით უკუნისამდე, ამინ!

(წასასვლელად მიბრუნდება. შუქი ქრება).


## ა პ ი ლ ო ზ ი

გონიოს ციხის შესასვლელი. შავ ფონზე თეთრად ჩანს მაღალი ქვის კედელი. მე-  
ციხოვნე დგას ჰიშკართან. ცალ მხარეს კოცონი ანთია.

წინ რამდენიმე ქვა დევს. ციხის კედელზე მრუდი სქელი შავი ხაზებით მოხაზულია  
ატოტებული ვეფხი.



სიღრმიდან მოისმის ძველი საერო მუსიკის მელოდიები. იგი თანდათან  
ერდება და კვლავ ნელდება.

როცა განათდება, კედლის ფონზე მარტო რუსთაველის სილუეტი ჩანს.   
ჩრდილია, პოეტი თვითონ ჯერ არ ჩანს.

სცენა განათდება.

შემოდის დაღლილ-დაქანცული, სასოწარკვეთილი აზათი, კოცონს მიუჯდება მწუ-  
ხარედ ჩაფიქრებული.

შორიდან მოისმის ბავშვთა შეძახილები: „პეი, „პეი“.

შემოდის მწყემსები — გოგონა და ბიჭი. უახლოვდებიან აზათს.

ბ ი ჭ ი — შენი ჭირიმე, ძია ჩემო, როგორ გააპე ტალღები.

გოგონა — ხომ გიხარია, მგზავრს მიეშველე.

ცხვარს ვაბალახებდით. ამ ღროს ვხედავთ...

ბ ი ჭ ი — მე ვიტყვი ცხადად...

რ ა ტ ი — აი, მოდიან

(შემოდის ყაფლანი და ფარნაოზი).

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — გადაარჩინა, მიაგება ნავი აზათმა.

(აზათს შენიშნავს)

მკლავსა გილოცავ, აზათ... დარდებს ნუ გადაყვები.

(ყველანი მომავალთ შეჰყურებენ)

ყ ა ფ ლ ა ნ ი — ვილაც მწირია, საცოდავი, ბედს აყოლილი.

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — მე კი მგონია უცილობლად დიდებულ არის...

ისე ჭკვიანად, ფიქრიანად გამოიხედა,

მეგონა ჩემში მილიონი სხვაც დაინახა.

ყ ა ფ ლ ა ნ ი — აზათ, შენ ძლიერ მოეწონე, ხელი გადაგდო

და საჩუმათოდ მუსაიფი გაგიბა, არა?

რ ა ტ ი — თუ კი მდაბით არ გამოდგა, მაშინ უთხარით —

ყოველი მგზავრი ციხისთავმა უნდა მიიღოს.

ყ ა ფ ლ ა ნ ი — სწორედ ეგ „თავი“ არ მინდაო, თქვა — გავიგონე.

როცა გვიჩილა გლეხები ვართ, შუბლი გაიხსნა.

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — ორმოცდაათი წელიწადი ამ გზაზე დავალ,

ვინ არ მინახავს: კაი კაცი თუ ავი კაცი,

ყველასთან სიტყვა ხმადივით გამიტეხია,

მაგრამ ასეთი მჭრელი მხერა არ შემხვედრია.

აზათის ნავმა ნაპირამდე რომ მოიყვანა,

ისე შეგვხედა, ვითომ თავად გადაგვარჩინა

(პაუზა)

არა, ეს მგონი თვითონ ქრისტე ღმერთია, ყაფლან.

ყ ა ფ ლ ა ნ ი — ჰა, მოდის კიდევ...

მდაბიოა, მხოლოდ მდაბიო.

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — კარგია, როცა კაცი ღმერთს ჰგავს,

დიდებულს და მწირს.

(მალალი მუსიკა. შემოდის შოთა რუსთაველი)

ბ ი ჭ უ ნ ა და გ ო გ ო ნ ა — კეთილო მგზავრო, აჰა, ჩვენი გონის  
ციხე!

შ ო თ ა — მოგესალმები, მშობლიურო მესხეთ-კლარჯეთო,  
შავშეთ-აჭარავ, შენ გონის ამაყო ციხევ!  
ოდეს ჭაბუკი სულმნათ თამარს გვერდით ვედექი,  
ჩვენ, სპანნი მისნი, ომებითგან მობრუნებულნი  
აქ გამარჯვებებს, ვით სიყვარულს, ვინაწილებდით..  
(ჩერდება, იხრება და ბავშვებს შუბლზე კოცნის).

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — ჩვენებურია... ჩვენებური, აქაურია...  
უცნობო მგზავრო, ვინ ხარ, საით მიემგზავრები?  
(ორი მეცხოვნე მხედრული ნაბიჯით მიუახლოვდება)

მ ე ც ი ხ ო ვ ნ ე ნ ი — ციხე ღიაა, უცხო მგზავრო,  
იქ ციხისთავი შენ გელოდება...  
(მწყემსი ბავშვები გვერდით ამოუდგებიან)

შ ო თ ა — გზა მელის შორი. არც ერთ კარებს მე არ შევალე  
იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის წმიდა კარამდე,  
თუ დავისვენებ, მხოლოდ ცისქვეშ, მხოლოდ მიწაზე...  
მადლობა მითქვამს... მასპინძლები ავე შემომხვდნენ.  
(აზათს მიუბრუნდება. აღვრისით)  
ჭაბუკო, სევდით დაღრუბლულა შენი თვალები,  
ჩემო გულადო, რა გჭირს, მითხარ, იქნებ გიწამლო.  
შენ თავს წირავდი ჩემთვის, გამირო...  
და იმ წუთებშიც შენი სახიდან მწუხარება მეცხუნებოდა..  
ა ზ ა თ ი — გამიროს რად მიწოდებ, დიდებულო, რა ვქენ ისეთი.  
რომ ვიყო გამირი, ეზოვიდი მე იმ საპოვარს...  
და სატრფოს ჩემსას...

(ქვითინებს)

ყ ა ფ ლ ა ნ ი — მამა მოუკვდა, დიდებულო, და ამადა წუხს.

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — ჯარჯიმ მიწაში თან წაიღო ისეთი რამე,  
რაიცა აზათს და ჩვენ ყველას ბედნიერს ყოფდა.

(შოთა გოცებით აკვირდება თვითელს)

შ ო თ ა — რა იყო ესა?...  
ა ზ ა თ ი — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“

ეს მთელი ჩემი სიჭაბუკე ეძებს გულისწვით.  
ვერ მიპოვნია და ამიტომ სატრფოც დავკარგე...  
ეს ყოველივე ძნელია და გაუგებარი.  
ვეძებ შოთას წიგნს, ვით ტარია ეძებდა ნესტანს,  
რომ ჩემი სატრფოც ჩემთვის მყავდეს სამარადისოდ.



აქ ბოცო მღვდელმა მამაჩემის წიგნი სკივრიდან  
წააღებინა და ჭოროხის წყალს გაატანა...  
მაგრამ მამაჩემს სულ თავიდან ბოლომდე თურმე  
სცოდნია იგი — შოთას ლექსი — იმელი ჩემი!  
(მწუხარედ)

ეჰ, აღარ იქნა, ვერ მივუსწარ, თან ჩაიტანა...  
დაბნელდა მისთვის, უფრო — ჩემთვის, ეს დედამიწა...  
ფ ა რ ნ ა ო ზ ი — გეტყობა, დასტურ დიდებული ბრძანდები,  
მგზავრო,

და სატახტოდან მომავალი... ასე იქნება,  
შენ მაპატიე, მე ბებრულად ვცხედობ რაღაცებს...  
რატომ მეფემან არ ინება უთხრას ღვთის მსახურთ,  
ნუ განკიცხავენ რუსთაველის ტკბილ-ქართულ სიტყვას,  
რაიც მდაბიოთ გვეწვეთება სულში თაფლივით?!

(ყაფლანი დაძაბულად დააკვირდა უცნობს).  
ყ ა ფ ლ ა ნ ი — თითქოს გიცანი... მახსოვს ერთხელ, თამარის  
გვერდით...

ნუთუ, უცნობო, ის ხარ, ჩვენი დიდი მგოსანი?..  
(ყველანი შემოეხვევიან)

ა ზ ა თ ი — გული მიღელავს...

გული რაღაცას ამბობს. უცხოვ!

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — ნუ ეტყვიტ უცხოს...

შოთა — ...არა, ხალხო. არა ვარ უცხო...

არა, მე უცხო არ ვარ, ხალხო,  
არა ვარ უცხო!

(ყველა დაძაბულად უსმენს)

მით უფრო აქა, მესხეთისკენ, ტაო-კლარჯეთში,  
სად ჭაბუკობა დატკბა ჩემი, სად ყველა ფოთლის,  
ყველა ჩანჩქერის, ყველა ჩიტის ხმებით მეძახის  
ჩემი ბავშვობა გაფრენილი, ვითა სიზმარი,  
სად თქვენს ბაგეთგან მიკრეფია მწიფე და ბრძნული  
სიტყვა ქართული — ჩემი „ვეფხისტყაოსნისათვის“...  
(პაუზა. ყველა გაოცებულია)

ჰო, ხალხო ჩემო...

რუსთაველი შოთა ვარ, ხალხო!..

(მატულობს ხმაური, ჩოჩქოლი)

ა ზ ა თ ი — რუსთაველი?!

ყ ა ფ ლ ა ნ ი — დიდო მგოსანო!..

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — მეუბნებოდა გული წელან, მეუბნებოდა...

რ ა ტ ი — მეც მითხრა გულმა, დიდო შოთა!..

(მიატოვებს საღარაჯოს და პოეტის წინ მუხლზე დაეყრდნობა)

ა ზ ა თ ი — რუსთაველი!.. მგოსანი დიდი!.. ნუთუ ის არაა  
ეს ხომ უბრალო კაცი არის,

ვითა მე და შენ...

მგოსანო ბრძენო! რა ვქნა ახლა,

როგორ დავვოკდე.

ყ ა ფ ლ ა ნ ი — ბედნიერება უფრო ძნელად შესაჩვევია.

(შორს იყურება)

ა ზ ა თ ი — მე აღარავის მერიდების. ო, სატრფოვ ჩემო!..

სადა ხარ, გულნაზ, ხმა გამეცი, სადა ხარ, გულნაზ!

რ ა ტ ი — ბოცოს ქალია... შენ არა გაქვს უფლება ამის.

ა ზ ა თ ი — სიყვარულს ჩემსას უფლებები არ უთხოვია...

რ ა ტ ი — იგი ჭოროხზე წამოვიდა შენს მოსაძებნად.

ა ზ ა თ ი — ვაიმე, გულნაზ, ამ სიხარულს ეს მწუხარება და ეს შიში  
ეფერებოდა?!

(განზე გადგება და ეძახის)

გულნაზ!.. გულნაზ!..

(პაუზა. შორიდან მოისმის ქალის ხმა: „ჰოო. მესმის, აზათ! მოვიჩქარი“... გახარებული აზათი ისევ შოთას მივარდება)

ა ზ ა თ ი — ეს მაპატიე, ბედნიერო გამოცხადებავ!

მგოსანო ბრძენო... რა ვქნა, ძლიერ მიყვარს გულნაზი.

შენ გზად და ხიდად ხომ გაშალე ეს სიყვარული?!

შოთა — იხარე, შვილო, გაინათე სული ტრფიალით.

(აზათი მოუთმენლად ელოდება გულნაზს)

გაიშაღენით, ყვავილებო მომავალისა!..

გოგონა — რა შეგკადრო, პოეტო დიდო... რა მოგიძღვნა.

ჩემი პატარა გული ღელავს. თუმცა კითხვა არ შემიძლია.

დავიმახსოვრე შენი ლექსი ცოტაი:

„უცხოთა და საკვირველთა ყმასა რასმე გარდვეკიდე,

მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე.

რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე,

ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წავეკიდე“.

ბიჭუნა — მეც ვიცი ცოტაი:

„მე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი!

კაცი იყო საქმისადა შესაფერი, შესატყვისი,

ასრე უნდა მოხმარება, გავიდოდეს ვისცა ვისი,

ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი...“



გოგონა — ჩვენ ჭოროხთან ვწყემსავთ ცხვარს. ერთი მგზავრისაა /  
სიმღერაც გავიგონეთ. ვიცით იგი: ეროვნული  
ბიბლიოთეკა  
(მღერის ბიჭთან ერთად)

რუსთველი მზედ ამოსულა,  
იგი მზე ლამეც არ ჩავა.  
მისი სამცხე და შავშეთი,  
კლარჯეთი, ტაო, აჭარა,  
გმირთა ქართულად მზრდელია,  
უჭკნობ წალკოტთა ფარჩაა,  
დაარტყას მტერმა მახვილი,  
მის მკერდში მაინც არ ჩავა...

(შოთა ეხვევა ბავშვებს)

აზათი — აჰა, გულნაზი!..

გულნაზი — ...რუსთაველი ჩემს თვალთა წინა?!

(ეხვევა აზათს, აზათი ბედნიერია)

მგოსანო ბრძენო... ვაი, აზათ. ჭკუა მერევა,  
მეფესთან უფრო თავისუფლად მისაუბრია...

(ღელავს)

თუმცა, მგოსანო დიდებულო, ვინაა ქვეყნად  
შენზე ძალოვნად დაიმონოს გულები ჩვენი?  
ბევრი მეფე და დიდი კაცი მაღლა ასული  
ჩამოვარდება, დადაბლდება, დაქვეითდება.  
მაგრამ პოეტი, ისიც შოთა, მაღლა ასული  
სამარადისოდ საქართველოს ტახტზე იქნება!

(შოთა მიდის და გულნაზს შუბლზე ეამბოვრება)

შოთა — თუ ხალხის გულში მე რაიმე ადგილი მერგო,  
იგი ტახტია ყოველ ტახტზე უფრო ძლიერი.

(ყველას)

დღეს კვლავ ვიგრძენი, რომ ამაოდ გული მტკენია,  
როცა მეგონა, — სიტყვა ჩემი არვის სმენია,  
რომ წახდა მაღლი პატრონობის საქართველოს,  
რომ დამრჩა ხმა უდაბნოს შინ ღალადისად,  
რომ არვინ უწყის, როდის ან ვის გავახსენდება,  
აქ კვლავ ვიგრძენი, გულნაზ, აზათ, ხალხო კეთილო,  
ცეცხლი ნთებულა თქვენს გულებში მამულის ტრფობის.  
და ჩემს ქვეყანას სიყვარული არ დაღევია...  
ამას ვუმღერდი... ამან დამწვა, ამით აღვსდექი!

(გულნაზს)

შენ კი უყვარხარ აზათს, ისე ძლიერ უყვარხარ..  
ამ სიყვარულმა ის ანთო და აღამაღლა,

ის ძალად იქცა, საქართველოს რომ დასჭირდება...

მჯერა, როს ქართველ ჭაბუკს უყვარს ქართველი ქალიშვილი  
ეს თვითონ ჩვენი სამშობლოს ტრფილიც არის!

(გულნაზი და აზათი ერთმანეთს გადახედავენ)

თუ წიგნი ჩემი თქვენს სიყვარულს შეაქვიტყირებს,  
თუ ლექსი ჩემი თქვენს პატარებს რძედ შეერგება,  
თუ სიტყვას ჩემსას ჩვენს ტკბილ-ქართულს

დააცვევინებთ.

თუ სიბრძნეს, ჩემსას, თქვენ, ახალნი, სიბრძნედ მოიხმართ,  
თუ ჰანგი ჩემი კაცში კეთილს გამოაღვიძებს,  
თუ ბწყარი ჩემი ბოროტს გულში დაეძგერება,  
თუ ტრფობით ჩემით აღინთება სხვა შთაგონება.  
თუ გრძნობა ჩემი გასაგები არის სხვათათვის,  
თუ ქება ჩემი საქართველოს გმირს განადიდებს,  
თუ თქმული ჩემი ეამება სულის კუნჭულებს,  
თუ ცრემლი ჩემი მოუმატებს ღიმილს თქვენთაგანს,  
თუ საქმე ჩემი თქვენ სიარულს გაგიაღვილებს,  
თუ ხელთქმნილს ჩემსას შეუნახავთ შთამომავლობას,  
თუ სახელს ჩემსას შერისხულს... არ გაათელვინებთ...  
და ამალღდება საქართველოს ჭკუა-ნამუსი,  
და ჩვენი ხალხი, გმირი ხალხი. მართალი ხალხი  
დამწვარ-დაღეწილ ურდოების ნანგრევებიდან  
ამოაშუქებს მიწის ჩემის ახალ გაზაფხულს  
და ხელოვნება ჩემი, სულის ცეცხლით ნაწრთობი,  
მამულის ახალ ყვავილებში ამონათდება...

(პაუზა. მიმართავს აზათს და გულნაზს)

კარგო აზათი, გულნაზ ნაზო, ჭკვიანო ჩემო,  
თქვენ, ჩემი ხალხის გამართულო დღევანდლობავ,  
გიტოვებ ამას

(უბიდან იღებს წიგნს)

...ჩემს საყვარელ „ვეფხისტყაოსანს“...

(აძლევს აზათს)

მე კვლავ ვირწმუნე: საქართველოს სჭირია იგი,  
მე კვლავ ვირწმუნე: საქართველო დაეძებს იმას...  
დღეს საქართველო ჩემთვის თქვენ ხართ...

(ყველას ჩამოუვლის და მხარზე ხელს დაჰყრავს)

...თქვენ თვითეთლი.



ხ ა ლ ხ ი — დიდო მგოსანო. ვერ გაგიშვებთ... ნუ მიგვატოვებთ...

მერე უშენოდ საქართველომ რაღა ჰქნას, ბრძენო?!

გ უ ლ ნ ა ზ ი — მესხო მელექსევე, უკვდავებავ, ნუ მიგვატოვებთ...

ყ ა ფ ლ ა ნ ი — შეგეხვეწები მეომარი თამარ დედოფლის:

ჩვენ, უბრალო ხალხს, უშენობა ნუ დაგვეტყობა.

ფ ა რ ნ ა ო ზ ი — ნუ დაგვიჩაგრავ გულს, მგოსანო, ნუ გაგვეცლებო...

ა ზ ა თ ი — ჩემი გონიო, ამ შეხვედრის წმინდა ალაგი

ნუ გადიქცევა განშორების მწუხარ ალაგად.

გ ო გ ო ნ ა — ნუ გეტოვებ ობლად, საყვარელო ჩვენო მგოსანო.

ბ ი ჭ უ ნ ა — რომ გავიზრდები, საკადრისად გავუსწორდები,  
ვინც გაწყენინა...

(ქვითინებს. შოთა უახლოვდება აზათს და გულნაზს. წიგნს ხეება ხელით)

შ ო თ ა — ჩემი სიცოცხლე ამაშია. და ეს სიცოცხლე

უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ჩემი ბებრული ყოფნა,

შენ დაგიტოვე, ხალხო ჩემო...

არა მეფეებს,

ან დიდებულთ, ან ღვთის მოციქულთ, როდი მივეცი,  
(აზათს, გულნაზს)

არამედ ამ ბიჭს, ამ ქალს, ყისაც სკიპტრა ნამდვილი

უჭირავს ხელში თავის ქვეყნის წარსამართავად.

და თუ ეს წიგნი უკვდავება არის ნამდვილად,

(პაუზა).

ის თქვენს ხელთაა, იგი უკვე გადარჩენილა...

...მე კი მივდივარ. ბედისწერა ასე მოეწყობა...

ბერად აღკვეცილს შემიფარავს იერუსალიმი,  
ქართული ჯვარი.

იმ შორეულ მყუდრო სავანეს

მე შევაყუდრებ ამ მოღლილი სულის ქარიშხალს..

თუ ეკლესიამ იავარქმნა, არ ძალმიძს მე აქ

მას წინ აღვუდგე...

ხ ა ლ ხ ი — ხალხი ჩვენ ვართ, ჩვენ არ წაგაქცევთ!

შ ო თ ა — მე მიხარია, რომ ქვეყანას ძაღოვანს ვხედავ...

(ციხის კედელს ეხუტება)

ეს მხარე მეტად მებრალებს და მეშინია,  
რადგან ის უფრო ახლოსაა სასულთნოებთან.  
არცინ წაბილწოს, არ მოდრიკოს, არ დამინგრძნობს,  
არ დამიჩაგროს სამცხე, ტაო, ეს მიდამონი...  
სადაც ჩასულა სიტყვის ჩემის ცოცხალი ფესვი.  
და ამ მიწაზე, სულ უბრალოდ, ფეხს რომ ვაბიჯებ  
ასე მგონია, ყრუანტელი უვლის მთა-ველებს.  
და სისხლი ჩემი ჭოროხივით მღერის ძარღვებში.  
ამას გიბარებთ: მოუღრეკლად იყავით, ძმანო!...

(თვითუფს თითქოს ემშვიდობება)

მშვიდობით, გულნაზ, აზათ, ხალხო!...

გულნაზი — მინდა შეგფიცო, რუსთაველო, — ახლა ორნი ვართ,  
(ხელს ჰკიდებს აზათს)

მაგრამ მე, ვითარც აქაური ქალი, გპირდები,  
რაც უნდ გველოდეს, არ ჩავაქროთ, არ დავანელოთ  
ქართული ენა, შენი სიტყვის მადლმოსილება...

აზათი — გფიცავ, პოეტო, მე — გულნაზით ბედღალოცვილი —  
(„ვეფხისტყაოსანს“ გულში იხუტებს)

არვის დავუთმო ეს საუჩე და ჩემი მხარე  
ჩემი ცოცხალი მკერდით შევკრა, გადავარჩინო.  
ვიდრე ჭოროხი არ დაშრება, არ დაილიოს  
ამ ტკბილქართულის მდინარება ტკბილ სამშობლოში.

ყაფლანი — გფიცავთ, მგოსანო...

და შენც გლოცავთ უკუნისამდე!

ფარნაოზი — ჩემი სიბერე შენმა ნახვამ გამიღამაზა,  
არ დავიგონჯებ ამ სიხარულს, გულთა მნათობო,  
გულსაც და ფიცსაც თან გაგატან შორეულ გზაზე...

რათი — მე, საქართველოს მხედრონის ერთი მხედარი,  
შენ გეფიცები, როგორც მაღალ ამირსპასალარს, —  
მასვილი ჩემი ცისარტყელად მამულს მოერტყმის.

გოგონა და ბეჭუნა — დიდო მგოსანო, ჩვენი გულნიც  
როს დაკაყდება,  
გჯეროდეს. ჩვენი ხალხის ფიცი არ წაეხდინოთ.  
(შოთა იხრება და ორივეს შუბლზე ეამბორება)

შოთა — მშვიდობით, თბილო ალაგებო... ხალხო მშობელო...  
(შეჩერდება)

მეძნელებოდა სიშორე მისი ბროლ-ბადახშ-მინისა,  
მე გამიხლდა სოფელი, მქონდა სიმრავლე ლხინისა,  
ჩემად ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისა,





არ მიკვირს, მისსა გამყრელსა გული მიც კლდისა ღრუნილსა...  
...ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნევენ, გვიტყვიან  
გჭირსა!

ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა...

ყ ა ფ ლ ა ნ ი — შემოკრბით, ძმანო, გავაცილოთ მგოსანი ღვინით.

(თანდათან ძლიერდება საცეკვაო მელოდია)

ა ზ ა თ ი — მე ბედნიერსა, თან მწუხარეს, წარვუძღვე მინდა  
ამ „გადარჩენის ცეკვას“, ძმანო!..

(მუსიკა ძლიერდება, ჭერხულში შედის ყველა, სულ წინ პატარა ბიჭუნა და გოგონა — ხელში „ვეფხისტყაოსნით“. მათ მიჰყვება აზათი. რუსთაველი ნელა გადის, იქით ზღვა და ცის ფონია. გასასვლელთან აზათს გულნაზი დაუწყვილდება. ყაფლანიც შეჩერდება, მოწიწებით გამოართმევს აზათს წიგნს, გაშლის და კითხულობს):

„...გასრულდა ჩემი ანდერძი ჩემგან ნაწერი ხელითა.  
აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითა!  
ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი  
ბნელითა,

სუფევეთმცა ხართ თავითა, მტერთაგან საკრძაღველითა!“

ფარდა



## დავით ნახვალაძე

### პეტრას სტუმარი

(ისტორიული ჰარბა)

— მგონი, დასრულდა ამდენი დღის სავალი. პეტრა გამოჩნდა! — გამოფიქვებით გასძახა უნაგირზე შებრუნებულმა შერგილმა ვახეს, რომელსაც აღვირი მარცხენა მკლავზე წამოეგო და მუხლს დაყრდნობილი წყაროს პეშვით დასწაფებოდა.

— ჩამოქვეითდი, შერგილ, წყალი გასინჯე, პეტრა რაკი გამოჩნდა, მზის ჩასვლამდე იქ ვიქნებით!

— მზის ჩასვლას რაღა აკლია?! ხედავ, როგორ იძირება ზღვის კიდურში! — მიუგო შერგილმა და ცხენიდან მარდად ჩამოხტა, ქულაჯის კალთები აიკეცა, ფარ-ხმალი გვერდზე მოიგდო და წყაროს წაადგა. ვახემ ცნობისმოყვარეობით გახედა დასავლეთს. დაღლილი, გაწითლებული მზე კრთომით, ნელ-ნელა ეშვებოდა ზღვაში და აპრილებულ ზეცას ტოვებდა. მალე კარჩხალის მწვერვალებსაც ლალისფერი მოეფინა და გრილმა ნიავმა წამოუქროლა.

ალარ დააყოვნეს მხედრებმა. ბედაურებს ზურგზე მოექცნენ და თავდაღმართზე დაეშენენ. წიფლების კორომში გამოჩნდა პეტრას გუმბათის წითელი კრამიტი, ცაზე გამოკიდებული კოშკი და დევის თვალებივით აპრილებული სათოფურები. კიბეხვეულს ციხის ღამეული ჩრდილი დააწვა. სანაპიროდან ზღვით გაგრილებული მეციხოვნენი ზღაზგნით ამოდიოდნენ. მხედრები ჭადართან შეჩერდნენ. ცხენები მოლზე მიუშვეს და საფეხურებს შეეყვნენ. ვაჟაკთა ახოვანებამ მიიპყრო მეციხოვნეთა თვალყური. ვახემ ციხის უფროსის გიორგი ლასურბიდის ნახვა ითხოვა. როცა კარი გაიღო, გამოჩნდა პეტრას სვეტ-დარბაზები, ხეხილითა და ვაზებით დამშვენებული ეზო, რომლის შუა ადგილას ფუტკარშესეული ცაცხვი აზიდულ-



იყო და საამო სურნელს აკმევდა. ცაცხვის ძირას მარმარილოს მრგვალი  
გიდას მიუსხდნენ სტუმრები. ეზოში მოახლენი დაფუსფუსე  
თედრალიდან სანთელ-საკმევლის სუნი იფრქვეოდა.

ახოვანი ტანის რწყევით გამობრძანდა სადარბაზოდან გიორგი ლასუ-  
რიძე. მოეწონა ვაჟაცთა აგებულება და თვალშესწორებული ამაყური გა-  
მოხედვა. გიორგისაც უხდებოდა განიერ მკერდზე ახალუხის ღილილო,  
სქელი, გაფანჩული წარბები, მოელვარე თვალები, შავი წვერი, მოკლე  
ქულაჯა და ლამაზშიბებიანი საცვეთები.

თავმდაბლად მიესალმნენ სტუმრები პეტრას უფროსს, ვინაობა უთს-  
რეს და წიგნი გადასცეს. ლასურიძემ გახედა გულმოდგინებით ჩაეცილ  
გრაგნილს — იგი იაკობ ანძაველს ეკუთვნოდა. არ გახსნა. კათედრალს  
მსახური გაგზავნა, მღვდელთმთავარს შიკრიკ-შათირნის მოსვლა აუწყა,  
გამობრძანება სთხოვა და სტუმრები დარბაზში მიიწვია.

ჩამოხელდა. შუაბოძზე ფანარი გაღაჟდა.

ის იყო იაკობ ანძაველმა კათედრალის მძიმე კარები დაკეტა, რომ  
მასთან მსახურიც მივიდა. აღარ დააყოვნა მღვდელთმთავარმა, სადარბაზოს  
მიაშურა. დამხვდურნი ფეხზე წამოიჭრნენ და მიტროპოლიტს ხელზე  
ემთხვივნენ.

ახოვანებაშერჩენილი ტანი, განიერი მკერდი, შავი, აქა-იქ ჭაღარა-  
შერეული მოკლე წვერი, სანდომიანი თვალწარბი, შავი უღვაში და  
მხრებზე ჩამოშვებული თმა ერთობ მიმზიდველს ჰქონდა ანძაველს.

— ნეტარო იაკობ, პარხალიდან გვესტუმრნენ, ინებეთ, თქვენი წიგნია!  
— უთხრა ლასურიძემ იაკობს და გრაგნილი გადასცა.

— ვინ უნდა მწერდეს?! — გაიფიქრა ანძაველმა და სავარძელში ჩაჯ-  
და. წაკითხვამდე დახედა წერილის ავტორს და მოულოდნელად, უნებლიეთ  
აღმოხდა: — შოთა, ჩემი მეგობარი შოთა! პოდა, მერე რასა მწერს! მეფეთ  
მეფე თამარი, რუსთაველი და დიდებულები გვესტუმრებიან აქ, პეტრაში,  
ვაზის დღეობაზე გვესტუმრებიან! — კითხულობდა და აღტაცებით ამბობ-  
და მეტად დინჯი და სიტყვაძვირი კაცი.

ლასურიძე ცას ეწია, სიხარულმა ენა დაუბა, ანგარიშმიუცემლად  
სიარულს მოჰყვა, სარკმელს მისწვდა, გამოაღო, ზღვას გახედა. ტალღები  
და ზღვის ზედაპირი სიბნელეში სარკესავით ლიცლიცებდნენ, ნავები  
ტორტმანობდნენ, მაგრამ ლასურიძე ვერაფერს ამჩნევდა. ფიქრობდა მხო-  
ლოდ ერთზე: როგორ დახვდებოდა მეფესა და დიდებულებს. ცოტა ხნის  
შემდეგ ჩაჯდა, ღრმად ამოისუნთქა, თვალები გაუცისკროვნდა და, ეტყო-  
ბოდა, რაღაცა მოიფიქრა.

დარბაზის კარებთან მოურავი გამოჩნდა და ყველანი სუფრასთან  
მიიწვია.



ლაზეთსა და ტაო-კლარჯეთს შორის, ჭოროხის ზემო წელში მდებარე რაიონში, რომელიც პარხალის წყალი. დედა ჭოროხთან შერთვამდე იგი საკმაოდ დიდ ევლს გამოივლიდა. ამ ევლზეა გაშენებული პარხალი. მასში რამდენიმე პატარა სოფელი შედის, რომელთაგან ყველაზე დიდი პერსათი, ანანისკეთი და ბოვათავეთია. სამხრეთ-დასავლეთით პარხალს დაჰყურებს მთისწყაროს ქედი, აღმოსავლეთით კი სოფლები კოლხისბარი და წითლეთი ესაზღვრებიან. პარხალს მშვენიერებას წარმოადგენს დავით კურაპალატის მიერ აგებული ტაძარი, რომლის დიდი გალავანი პერსათის განიერ მოედანზე გადის. ხეხილისა და ვაზის ხეივანში ციმდე აზიდულა დიდებული პარხალის ტაძარი. თვალუწვდენ სიმაღლემდე აუტანია მანდია ხუროთმოძღვარს ქართული ორნამენტი. წითელი ქვის კოლონადებზე დაყრდნობილა ქართული გონებისა და ნიჭის მშვენიერება. სამ რიგად უვლის ტაძარს მტევენებითა და ვაზის ფოთლებით მოჩუქურთმებული ფანჯრები. ძალიან შორიდან, სულ შორიდან, პელასთავიდან მოჩანს ტაძრის წითელი კრამიტი. ალვის ხეები აკრავს პარხალის მოედანს. კვირა დღეს აქ ირევიან ქართველები, ბერძნები და ბევრი სხვა ერის მოგაჭრენი. პარხალში მოდიან სალოცავად ლაზები. მოედანს ამაყად დაჰყურებს ჯანსულ კავკასიძის სასახლე. დღეს დიდ სიხარულშია ჯანაული, მან აღასრულა ნება დედოფლისა.

— უთავაში დაუღუთ სათავე გვირახს, სოფლებს გაუყვანეთ არხი. იგი ნაყოფიერსა ჰყოფს პარხალის მიწებსა! — ბრძანა დიდმა თამარმა.

კავკასიძემ არხის გახსნა ვენახის დღეს დაუკავშირა და ამ დროისათვის მეფეს პარხალში ჩამობრძანება შეევედრა.

პარხალი უყვარდა თამარს. ხარობდა მეფე დიდნაშენის ხილვით და კავკასიძეთა ერთგულებით. პარხალში იწვია თამარმა დიდებულები და მხედართმთავრები, როცა ლაზეთის განთავისუფლებას ფიქრობდა, ტრაპიზონის სამეფოს ჰქმნიდა. პარხალი მიაჩნდა მეფეს ტაო-კლარჯეთის პირველ სასტრატეგო ადგილად.

შეუძლოდ იყო თამარი, როცა ჯანსულ კავკასიძის შათირი ეახლა. მაგრამ თავს არ დაერიდა. ძნელსავალ გზაზე მგზავრობა გადაწყვიტა. არ უყვარდა მეფეს რიცხვმრავალი ამალით მგზავრობა. ქმარი დავითი თბილისს დასტოვა, ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი ანისს გაისტუმრა, მწიგნობართუხუცესს და ვაზირებს დარიგება მისცა, იახლა მხოლოდ მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერ ვარდანძე, შოთა რუსთაველი, შალვა ახალციხელი, მსახურთუხუცესი ივანე ათაბაგი, თორელი პირფარეში ქალები და დაცვის რაზმი. მწიგნობრისთვე იდგა. გეგუთში გადაზამთრებას აპირებდა თამარი. გიორგისა და რუსუდანის იმერეთში გადმოყვანა ქრისტეშობისათვის უბრძანა მსახურთუხუცესს.



ბრაზობდა გულში ჭყონდიდელი: რად ინება მეფემ რუსთაველის  
თანხლება, კათალიკოსი ექსორიას უმზადებს, თვით მეფე კი მის ექვემდებარებას  
ცემას ცდილობს. არც მეფე იყო ჭყონდიდელის კმაყოფილი. წყინდამხსამა  
ბნელსაქმობა.

ყველაზე მეტად შოთას ანათემამ დასწყვიტა მეფეს გული, მაგრამ  
ვერაფერს ამბობდა. ბევრი მომხრე ჰყავდა კათალიკოსს დიდებულთა შო-  
რისაც. თვით დავით სოსლანიც პირქუშად იყო რუსთაველზე. ხშირად აი-  
ღებდა მეფე თამარი რუსთაველის ნაბოძვარს, ჩაიკითხავდა სტროფებს  
და თავისთვის იტყოდა: „ეს ხომ ჩემი ტანჯული ცხოვრების სურათებია,  
შოთას სიბრძნითა და ნათელი გონებით გალექსილი! ჰო, შოთავ, ძვირფასო,  
მიუსაფარო, დაადნე ჩემი გული მაგ შაირითა, განა ვერ მიგისვდი? „სხვა  
ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისა ხელი აპყო“. მართლაც ვერა ვპოვე,  
ვერა!“ — აღმოხდა თამარს და მარჯვენა ხელი მაგიდას მოწყვეტით დაჰკრა.  
შემდეგ თავი მაღლა ასწია და ჩურჩულითვე წარმოთქვა: „წარვიდეთ პარ-  
ხალს, ვინძლო შევძლო ვიხსნა კათალიკოსის რისხვისაგან!“

ხალხს ვერ იტევდა პარხალის მოედანი. ალვის ხეზე ამძვრალიყვნენ  
ბავშვები. ოთხი ათასი თვალი მისჩერებოდა კავკასიძის ციხე-სასახლეს. აქ  
ისვენებდა შორით ნავალი მეფე და მისი ამაღა.

ჰკრეს სპერჭური, უთავასთან დაჰკრეს ბუკი, ალვის ხეებზე აფრიალ-  
და თამარის დროშა, გაიღო სასახლის ალაყაფი და გამოჩნდა მეფის ამხედ-  
რებული ამაღა. წინ შალვა ახალციხელის არაბულა მოგელავდა. მის უკან  
იდგნენ აბჯარასხმული, შუბმომართული რაინდები — სიმბოლო ქართვე-  
ლთა ძლიერებისა. თეთრ ტაიჭზე იჯდა მეფეთ მეფე. შორიდან მოჩანდა მისი  
ალმასური სახე, მარცხენა ხელით ეჭირა სადავე, მარჯვენა, ჩამოქნილი თი-  
თებით, მაღლა აღემაართა და ხალხს ესალმებოდა. მეფის უკან ხუთიოდე ნა-  
ბიჯზე მწყობრად მოგელავდნენ შოთა რუსთაველისა და მეჭურჭლეთუხუ-  
ცისის ფეხმარდი იორლები. შემდეგ სამეულებად მოდიოდნენ დიდებულე-  
ბი: ათაბაგი თორელი, მსახურთუხუცესი და თვით კავკასიძე. ამაღა ტაო-  
კლარჯეთის მშვენიერი ასულებითა და დიდთავადებით მთავრდებოდა.  
ისმოდა ფლოქვების მძლავრი თქარუნი. უთავაში კვლავ აყვირდა ბუკი  
და არხში ჩხრიალით წამოვიდა პარხალისწყალი.

— დიდება მეფეთ მეფეს, დიდება პირიმხეს! — გაისმა მოედანზე  
ეჯიბის მჭექარე ხმა... მჭექარე ხმა და რამდენიმე ათასმა კაცმა ზეაღმართა  
მტევნებით დახუნძლული ვახის ლერწმები; არხის გასწვრივ იჭექა ხმამ:

„თამარის დროშა გავშალოთ  
მტერი შევმუსროთ ცბიერი...“

ტაძრიდან ისმოდა ღვთისმსახურთა გაბმული ღაღადი. მღვდელთმთა-  
ვარი იზხნელი, თანმხლებლებითურთ, დინჯად წამოემართა მეფის შესახვე-  
დრად. მეფე და ამაღა დაქვეითდა. იზხნელმა თაყვანი სცა სწორუპოვარს.

ვაზის ქარგაში იყო გახვეული ტაძრის გალავანი. თამარ და დიდებულები  
სათვალთვალზე აბრძანდნენ. კავკასიძემ ხელი მაღლა ასწია და ზოგა ხა-  
ლხი გაირინდა. წინ წარსდგა თამარ:

— ჩემო პარხალელებო, ტაოს მკვიდრო, მესხნო სახელოვანო, გი-  
ლოცავთ ვაზის დღეს! ღვთისმშობლის წილდებულია საქართველო და მტე-  
ვანტკბილი ვაზიც მისი ნაანდერძეცა. ვაზი თქვენი მიწიერი მიწის მკვიდ-  
როა, მისი ფესვები მარადცოცხალი, სველნედლი უნდა იყოს იმ არხითა,  
რომელიც თქვენმა გარჯამ თქვენვე გარგუნათ, კეთილყაცნო! შრომა პატი-  
ოსანი და სიმტკიცე რჯულისა განაძლიერებს მამულსა ჩვენსა. შევევედრე-  
ბი ღმერთსა, კურთხეულ ჰყოს სიცოცხლე და საქმენი თქვენი!

— ამინ! — დაიგუგუნა სმენადქცეულმა ხალხმა.

არხი აკურთხეს, მას ლელო და ჩოგანბურთი მოჰყვა. ლაზებმა ისახე-  
ლეს თავი ლელოში. იდგა სახემტკბარი თამარი და ტკებოდა ვაჟკაცთა  
მხნეობით.

შოთა რუსთაველი გამოეყო დიდებულებს, გვერდით კავკასიძის ასუ-  
ლი ასინეთი მიჰყვებოდა. დინჯად მიაბიჯებდა ახოვანი მგოსანი. გალავანში  
შესვლისას კრაველი მოიხადა, შვენოდა ბრძენმეტყველს შუბლიდან უკან  
გადასული შავი თმის კულულები, შავი თვალ-წარბი, ზომიერი ცხვირი,  
პაწია უღვაში, მოკლედ შეკრეჭილი შავი წვერი. შოთამ მზერა ჩუქურ-  
თმოვან ბოძზე შეაჩერა. „არა, განძი ჩემთან კი არა, მეორე სვეტშია ჩაფ-  
ლული“, ერთნაირად იყო ამოკვეთილი ყოველ ბოძზე.

— ეტყობა, ბრძნულადაა მოფიქრებული. ძნელია შეიცნო სად დევს  
განძი! — წარმოთქვა შოთამ და მერე კვეთილობას დააკვირდა. — „ღმერთო  
ძლიერო, მეოხეჰყავ შანიძე კოჩამეი“. „შანიძე“, — თავისთვის წარმო-  
თქვა შოთამ. ვერ შეეცნო სიტყვის დაბოლოება.

— შანიძე კოჩამეი ჩემი დიდება გახლდათ, შოთავ ბატონო, ლაზი  
ქალი. პზე ასულს ნიშნავს ლაზურად, — უთხრა ასინეთმა შოთას.

— თქვენ ლაზური ენა გცოდნიათ!

— დიახ, ბატონო, დედა ეგრისელია, ბედიანი, გუჯის ციხეა მისი სამ-  
ფლობელო.

— გუჯის ციხე ტეხურს ზემოდან დაჰყურებს. ათენში წასვლამდე  
დამივლია ეგრისის ადგილები! — შეღიმებით წარმოთქვა მგოსანმა და  
ასინეთის რბილსა და ფუნთუშა მკლავს შეეხო. — ორივენი გალავანში  
გამოვიდნენ.

— ყველას განვერიდებოდი, თვით გადავწერდი! — ყრუდ მოესმა  
შოთას ასინეთის ჩურჩული.

— რა თქვით, ასულო?

— არაფერი, მწყალობელო, ჩემთვის რაღაც დამცდა, მაპატიეთ!





აღმა აყენენ აჭარისწყალს. გზისპირად მოზღვავებულ სოფლებს ეკად-  
მებოდნენ. დიდებულთა პატივსაცემად ყმა-გლეხებს ლამაზად დაწილი კა-  
ლათებით უხვად გამოეტანათ ხილი და სასმელი. ხალხს ერთი მსოფსმს  
მოეყო და მესხთა მკვიდრებს მესხური ვაზის აკიდო მიართვეს.

— ძალზე გამიგრძელდა მგზავრობა, აფსარს ველარ შევივლი, სალა-  
მოს პეტრას უნდა ვიყოთ! — თქვა თამარმა და გზის გაგრძელება ბრძანა.

ჭოროხის ველზე გზა ხშირი ფოთლების ტყეში იჭრებოდა და შემდეგ  
ფერდობებისაყენ უხვევდა.

— ამ გზით მოვიდხენ ელინნი კოლხიდაში, ბატისი უწოდეს ამ დაბ-  
ლობს! — ამბობს შოთა და ხელს იშვირს ჭინჭყოსაკენ.

— მიუვალი ადგილია, ლაფისა და ეკალ-ბარდის გარდა არაფერია, ტან-  
შემზარავი ცხელება სპობს ყველაფერს! — უმოწმებს ლასურბიძე.

ყოროლისწყალს გასცდნენ. ზარები გუგუნებდნენ ფერდობზე აზიდუ-  
ლი საყდრების სამრეკლოებზე. შარაგზა ზღვას წადგა. თამარქალივით  
წყნარი იყო იმ დღეს შავი ზღვა, ნაზად ლივლივებდა, გრილი ნიაფი ირხეო-  
და. ფერდობზე ყმა-გლეხები შეჩგუფებულიყვნენ. რიდიტ ადგილიდან ვერ  
იძროდნენ. მეფე გადმობრძანდა ტახტრევანიდან, დიდებულებიც ჩამო-  
ქვეითდნენ.

— ნამდვილად სასტრატეგო ადგილია, მბრძანებელო! — გაბედა ათა-  
ბაგმა. თამარმა თვალი მოავლო მიდამოს. ჯაგნარსა და ეკალ-ბარდს დაეფა-  
რა მდინარის შესართავი.

— ციხე-დარბაზი შეამკობდა ამ ადგილს! — დასტურპყო რუსთაველმა.  
თამარს გაეღიმა, ვარდანიძეს შეხედა და გადაწყვეტიტ წარმოთქვა:

— მიბრძნებია მთავრისათვის ციხის აგება!

გიორგიმ თავი მორჩილებით დახარა.

ცამდე აშოტილ წიფლებს ეხვეოდა ჩამავალი მზის სხივები. ისმოდა  
პეტრას ზარების ხმაშეწყობილი ჟღარუნი. ტანშეფოთილილი მშობელი მა-  
წის სილამაზე ხიბლავდა რუსთაველს. გზა შემოკლდა, დაღმართი დაეშვა,  
ზარების გუგუნი თანდათან მოახლოვდა, აიზიდნენ გუმბათი და კოშკი,  
რომელზეც ამაყად ფრიალებდა სამთავროს დროშა. გამოჩნდა დიდებული  
პეტრაც. გოდოლებიდან მოჩანდნენ ორბის თვალეზივით გამომზირალი  
სათოფურები, კიბეხვეულზე მანდიკურად ეშვებოდნენ აკიდოები, შორი-  
დანვე ჩამწყრივებულიყვნენ მუზარადასხმული და შუბმომართული მე-  
ციხოვნენი.

იაკობ ანძაველმა შორს დაიდგა სადგომი მეფის შესაგებებლად. უჩ-  
ვეულო სიხარულს აეტანა მიტროპოლიტი. ოქროთი და მინანქრით მოჭე-  
დილი წმიდა გიორგის ხატი და შროშანი მოაგება მღვდელთმთავარმა  
მბრძანებელს.

მეფე ჯვარს ეამბორა. კიბეხვეულიდან ისმოდა შეძახილები:





— დიდება სწორუბოვარს, დღეგრძელობა დიდებულებს!  
 საფეხურებზე ბრწყინავდნენ ნაირფერად, მძოვლინჯილებში მოსი-  
 მულ ჩაქურაში გამოწყობილი შუბშემართული ვაჟკაცები. ზიხლირთჳჳა  
 „არ ქაჯნია, კაცნიაო“, — გაახსენდა თამარს ნესტანის წერილი და  
 ღიმილი ღამაზ ტუჩებში ჩამალა.

დიდებულები გულთბილად მიესალმნენ ანძაველს. ყველამ იცოდა მისი  
 განსწავლულობა. შოთას დანახვაზე ანგარიშმიუცემლად შეჰყვია რა იაკო-  
 მა. დიდხანს იყვნენ ჩახვეული მეგობრები, შემდეგ წამით მოშორდნენ  
 ერთმანეთს, მაგრამ კვლავ ჩაეხვივნენ. სიხარულმა ორივეს თვალის უბებზე  
 ცრემლით შეუნმა.

მეფე ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა სტუმარ-მასპინძელს.

— ნურას გაიკვირვებთ, ნეტარო, ძმადშეზრდილნი ვართ, მანგანის შე-  
 მდეგ ერთმანეთი არ გვინახავს. კონსტანტინეპოლში ბრძენმა ელინებმა ერ-  
 თად გვაზიარეს, შოთაც სახელდებული და ბრძენი გახლდათ ქართველთა  
 შორის. განგებამ გაგვყარა და აი, ახლა ვიხილეთ ერთმანეთი!

— შეიძლება არც დიდებული შაირი გსმენია მეგობრისა?!

— ეგ რა საკითხავია, ცათასწორო! ვერას დავმაღავ, მღვდელთმთავ-  
 რი ვარ, მაგრამ ჩემი ხელით გადავწერე; ვამყოფ, რომ დადუღებული სი-  
 ბრძნე და შესანიშნავი შაირი მეგობრის გონების ნაყოფია!

ღიმილს აფრქვევდა რუსთაველი ქაჯეთის ციხეს. უკუდგნენ წინამავა-  
 ლნი. მეფე პირველი შებრძანდა ალაყაფში. თვალწინ გადაიშალა პეტრას  
 ეზოს თვალშედგმული სილამაზე. ირგვლივ თეთრ სვეტებზე ახუნძლული  
 ვაზის სურნელი იფრქვეოდა. კიდევ-აშუად აზიდული მაღალი კედლები და  
 თაღმაღალი დარბაზები იტაცებდა თვალს.

დიდ დარბაზში შეუძღვა მთავარი მეფესა და დიდებულებს. მდიდრუ-  
 ლად მოჩანდა დარბაზი. ფარჩა-აბრეშუმში გახვეული, აიაზმანასურები ავ-  
 ეჯი, სურათები და კედელხატულობა, ხილ-მტევნებით სავსე უზარმაზარი  
 ბროლის ლარნაკი, ეტრატები და წიგნები სიამის ღიმილს გვრიდა თამარს.

ვარდანიძემ წარუდგინა მეფეს დიდთავადნი, დარბაისეღნი, სახელო-  
 ვანი მებრძოლნი, რომლებიც მუხლს იღრეკდნენ მეფისა და დიდებულთა  
 წინაშე.

მთავრის ასული როდამი ბიძას მკლავში ჩასჭიდებოდა და ცნობის-  
 მოყვარეობით შესცქეროდა რუსთაველს.

— ბიძატკბილო, მგოსანი შოთა რუსთაველი ხომ ის ახოვანი და ღამა-  
 ზი კაცია? — ჩურჩულით ეკითხება როდამი კახაბერს.

— სწორედ ის არის, ჩემო ძმისწულო, სიტყვის მეუფეს ეძახიან მას ქა-  
 რთველები!

— ეჰ, ნეტავი ერთხელ მაინც წამაკითხა ნესტანსა და ტარიელზე და-  
 წერილი ლექსები! — თავისთვის ჩაილაპარაკა როდამმა.

მცირე დარბაზში ინებს მეფე-დიდებულებმა ვახშობა. მალე მათვე  
ვენებას მიეცნენ. შოთა რუსთაველი ანძაველმა დაიმარტოხელა ფეხებს  
უშუალო მასპინძლობა გასწია.

სასტრატეგოში ვარდანიძე და ციხის უფროსი საუბრობდნენ.

— თადარიგი მარჯვედ გეჭიროს, მცირე ახლავს მეფეს პირფარეშნი,  
ქალთა მარქაფა გააძლიერე. დარბაზ-პალატებში ხალხის სიმრავლე არ იგ-  
რძნობოდეს; ოთხ დღეს აპირებს მეფე აქ დარჩენას; ზეგ ასპარეზობას  
გამართავს, აჭარელნი და იმერხეველნი ჩამოვიდნენ, ყაისადინ თათქირი-  
ძე ახლავთ!

— ვიცი, მწყალობელო, იმედიანად ბრძანდებოდეთ. მესხები შოთას  
წინაშე თავს არ შეირცხვენენ, რუსთაველი თვით არის უებრო მოასპა-  
რეზე.

პეტრას კათედრალისა და სასტრატეგოს დათვალიერება მეორე  
დღეს ისურვა თამარმა. მოხიბლა მეფე-დიდებულები კათედრალის სიმილი-  
დრემ, ხატ-კაზმულობამ, ფსალმუნების, წიგნების, ეტრატების სიმრავ-  
ლემ. სასტრატეგოში ლასურიძე იყო მეფის ბანოვანი. მაღალი და კიდე-  
განიერი გუმბათი ვერ იტევდა აბჯრების, მუზარადების და მშვილდ-ისრე-  
ბის გროვას. ცალკე სათავსოები ეჭირა ხმლებისა და შუბების განყოფილე-  
ბას. სათვალთვლო კოშკში ისურვა მეფემ ასვლა; ვიწრო ეჩვენა თამარს  
ხვეული კიბე და უკან დაიხია. შოთას ანიშნა მეფემ, წინ გამიძეხო. დინ-  
ჯად შეჰყვა რუსთაველი კიბის გრაგნილს, მარჯვენა გაუწოდა მეფეს და  
სვლა შეუმსუბუქა. მხოლოდ წუთით იყო ბედნიერი მგოსანი.

— ღიახ, დიდებულნო, დგას პეტრა, ქაჯეთის ციხე, კოლხიდის უდ-  
რეკ დარაჯად! — წარმოთქვა თამარმა და ზღვის სივრცეს გახედა.

— დიდჭირნახულია პეტრა! — დაუროთო ახალციხელმა.

— სპარსთა სარდალი მერმეროე დიდხანს ებრძოდა რომაელებს პეტ-  
რასათვის! — დაუმატა ვარდანიძემ.

— მაგრამ ნესტანის მსხნელთ ზომ შელეწეს პეტრას კარები! — გა-  
ლიმებით დაუროთო მეჭურჭლეთუხუცესმა და მეფეს შეხედა. პირიმზემ  
ლიმილი ბაგეთა მარცხენა კუთხეში ჩამალა. შოთას, თითქოს არაფერა  
გაუგონიაო, ხელში ჭოგრიტი ეჭირა და გასცქეროდა იალქნებდაშვებული  
ნავების ტორტმანს. გრილი ნიაფი ქროდა ზღვიდან, ზოლებად მოედინე-  
ბოდნენ ტალღები ნაპირისაკენ და პეტრას ქანებზე ვერცხლისფრად იფრ-  
ქვეოდნენ.

\* \* \*

პერანგას მთების ჩრდილი ჩამოწვა კინტრიშის ველზე და უამრავმა  
ხალხმა იწყო მოზღვაება. თამარმა ასპარეზობა გამართა. ზღვის ნაპირი-  
დან მოშორებით დაედგათ მეფისა და დიდებულების სათვალთვლო, ხა-



ლიჩებითა და ვაზმტევნებით მოერთოთ იგი. აქედან ნახავდა თამარი ჩოგან-  
ბურთს, დოღს, ფარიკაობასა და მშვილდის ტყორცნას.

დიდებულთა თანხლებით თამარ ნელა დაეშვა პეტრას საფეხურებზე  
ხალხის გუგუნმა და ვაშას შეძახილებმა ყურთასმენა დაახშო. ასპარეზობა  
მშვილდის სროლით დაიწყო. მარად მოქმედებდნენ სამებელ-კვირიკელ-  
ნი და ალამბარ-ოზურგეთელნი. ჩოგანბურთსა და ფარიკაობაში ისახელეს  
თავი აჭარლებმა და იმერხეველებმა; სასწაული იყო მათი პატარა, მაგრამ  
მარდი ცხენების მოძრაობა და მკლავთა სიმარჯვე.

უეცრად ყველას ყურადღება ზღვის ნაპირმა მიიბყრო. ლაზების გუნ-  
დი დაწინაურდა. ლამაზად მორთულ ლაზებს მხრებზე ნავი შეედგათ და მო-  
ჰქონდათ; მიუახლოვდნენ ლაზები მეფე-დიდებულებს. ნავდაუდგმელად  
მოდრიკეს მუხლები. გუნდს ბრვე ვაჟკაცი გამოეყო, მიწამდე თავი დახა-  
რა და მეფეს მოახსენა:

— ჩვენო მხსნელო, მწყალობელო, მეფეთ მეფევ, ლაზი მენავენი მა-  
ღალ ღმერთს ევედრებიან თქვენს ტანმრთელობას. ნება დავკრთეთ ტახ-  
ტის მემკვიდრეს მცირედი საჩუქარი ვუბოძოთ!

მეფემ ნაზად დაიქნია თავი თანხმობის ნიშნად. გუნდი მეფეს მიუახ-  
ლოვდა, ნავი დადგა და დიდებულების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა:  
წყლით სავსე ნავში ცურავდა საკმაოდ დიდი ორი ოქროს თევზი.  
ორივე წითელი იყო, ოდნავ მოყვითალოც. ზოგჯერ ნავში გუ-  
ლაღმა გადაბრუნდებოდა რომელიმე და მაშინ მუცლის არეში გამოუჩნ-  
დებოდა ვიწრო თეთრი ზოლი.

— ვინ არის ეს ვაჟკაცი? — იკითხა თამარმა.

— უღუ ელაჭიშია, მბრძანებელო! — იყო მთავრის პასუხი.

— მთავარო გურიისავ, თვალმარგალიტებით დამისაჩუქრებია ლაზ-  
მენავენი, ელაჭიშისათვის აზნაურობა და მამული მიბოძებია.

უღუ მუხლებზე დაეცა და მეფეს მაღლი მოახსენა.

კინტრიშის ნაპირიდან ხმაური მოისმა. გუნდ-გუნდად მოსდევდა ხა-  
ლხი ვაზის ფოთლებში შესუდრულ ურემს, რომელზეც იდგა მაღალი არ-  
სება; იგი მთლიანად ფოთლებსა და მტევნებს დაეფარა, თავი არ უჩანდა,  
განიერ მხრებზე ქარვისფერი მტევნებით დახუნძლული ვაზი ედგა.

— ვენახის ღმერთი, ვენახის ღმერთი მოდის! — ხმა გავარდა ხალხ-  
ში. ურემი მეფეს მიუახლოვდა; ვაზის „ღმერთმა“ ფოთლებით შესუდრუ-  
ლი ხელები მაღლა აღმართა და ჰაერში ოქროს ყანწები შეათამაშა, მეფეს  
მიართვა და წარმოთქვა:

ხე ვარ, ხე ვარ, ხერვეანდი,

ზედ მასხია შარავანდი,

თამარ მეფის ერისა ვარ,

რუსთაველის ენისა ვარ!



ასპარეზობა დამთავრდა. მეფემ დიდძალი საჩუქარი გასცა, დიდებულებმაც უხვად გაიღეს საბოძვარი. შალვა ახალციხელმა ყაისადან მოსაქარიძეს საკუთარი ხმალი აჩუქა. შოთა რუსთაველმა მანტია მოიხადა და ვენახის ღმერთს კვირიკელ ბაგრატ დუმბაძეს მოახურა.

გაჩირაღდნდა ზღვის ნაპირი. თვალი ვერ სწვდებოდა კერძებით დამშვენებულ სუფრას; ზეცას წვდებოდა ქაბუკთა ხმები. პეტრას დარბაზიდანც ისმოდა დიდებულთა სიმღერის გუგუნი.

მალე მთვარე ამოვიდა და დედამიწას ვერცხლისფერი სხივები დააფარქვია, პეტრას სარკმლებშიც შეიხედა შოთა და იაკობი მაგიდიდან წამოდგნენ, კათედრალის აივანზე გავიდნენ, ჩხავერის წვენი გაჯდომოდა ორივეს სისხლძარღვებში. დიდხანს იდგნენ უსიტყვოდ. მოკიანე ზღვას გასცქეროდნენ. სიჩუმე იაკობმა დაარღვია.

— მინდა ეს ღამე, რაც შეიძლება დიდხანს, დიდხანს გაგრძელდეს, მეძნელება შენი დაშორება. ხედავ, რა რიგ მქნელია სოფელი, ოცი წლის შემდეგ გნახე!

— მნახე და უკანასკნელადაც!

— რაო, რა თქვი?! — სმენას არ დაუჯერა ანძაველმა.

— დიახ, უკანასკნელად!

— არაფერი მესმის! — შეცბა ანძაველი.

— გიმაღავდი. ვიცოდი, შეწუხდებოდი; მიქაელ კათალიკოსმა შემჩვენა, ანათემა მიყო!

— მერე და მიქაელი ხომ მკვდარია!

— ჭყონდიდელიც მას ემხრობა, ბერებიც, ნიკოლოზ კათალიკოსიც!

— კი, მაგრამ მეფე?! — უკვე ცახცახებდა ანძაველი.

— მეფეთ მეფემ ვერ შეაჩერა განრისხებული კათალიკოსი. „სამება ერთ არსება“ დაჰგმო რუსთაველმა, ქრისტე არა იწამა, წიგნი მისი არს ბოროტი და მაცდუნებელი ქრისტიანთათვის, განუცხადეს მეფეს!

— მაშ, რაღა უნდა ჰქნას პირიმზემ?

— არაფერი, აგრე მატარებს, დარდს მიმსუბუქებს; წელს გეგუთავ გავიზამთრებ, გაზაფხულზე ექსორია მელის!

— ვაჰმე! — სასოწარკვეთილებით აღმოხდა ანძაველს, გულში ჩაიკრა მეგობარი და აქეითინდა.

„სამაია სამთაგანა რა ტურფა რამ ხარო!“, ისმოდა დარბაზიდან ქალთა ნახი ხმები.

თამარ მეფის საყვარელ ცეკვას ასრულებდნენ ტურფა ასულები.





## ჯემალ ჯაყელი

### გეგებებთან ნათესავნი, თორი თუ ჯაყი...

შოთას მამა ჭიბერი თორის ციხის მფლობელი  
იყო. შემდგომ მას სამამულოდ რუსთავი ებოძა.

შოთავ, თორელო რუსთაველო,  
სიბრძნის თაველო,  
ჭიბერ მამის დალოცვილო უკუნისამდე.  
ციხენი:  
თმოგვი,  
თორი,  
ჯაყი,  
სარუსთაველო  
გეგებებთან გუმბათებით, აწვდილნი ცამდე.  
გეგებებთან ვით ხორციც და ვით მეუფეს,  
მოგჩუროხულებენ, როგორც ყმანი უკვდავ გენიას:  
„— რა არს სიმცილა  
და სიძველე ჩვენმიერი დღეს,  
როს წიგნი შენი შვიდ საუფლოს გადასწვდენია“.

\* \* \*

შოთავ, თორელო,  
რუსთაველო,  
სიბრძნის თაველო,  
ჯაყის გუმბათზე აფანფალდა ბერი არწივი,  
გაშალა ფრთები  
შემოსწერა სარუსთაველო  
და თორის თავზე ჩამობერტყა ფრთები განძივით.

შემდეგ წამოდგა და სივრცეში აიყაშყაშა:  
ჯაყი და თორი არიანო ნათესავები.  
კვდება ყოველი ხელმფლობელი მთავარი, ფაშა  
და მუდამ ცოცხლობს დიდი სიბრძნის ნაკვესავები.

\* \* \*

შოთაო დიდო,  
დიდთორელო,  
მეჭურჭლევი სიტყვის,  
მხოლოდ სინდისით,  
მხოლოდ კირით ნაგებო ციხევი.  
მეფევი და მონავ,  
ენავ ყოვლთა და სიბრძნის სეტყევი  
გელოდებიან ნათესავნი: ციხეთაციხე  
თორი და ჯაყი,  
თორელები, ჭიბერ მამის  
მამული დიდი.  
სამამული ქართული მიწა.  
შენი ჩამოსვლა ჩოჩქოლია იმ დიდი ჩქამის,  
რაიც შვილებმა შენეულმა მსოფლიოს მისცა.

\* \* \*

ჩამოდი, დიდო ნათესაო და წინაპარო,  
გელის მამული, თან უსაზღვრო, თან ერთი ციდა.  
მაჩვენე ჩემი ჯაყის ციხე, სულის ლამპარი, —  
ჩემი მარადი სალოცავი წმიდათა-წმიდა.  
და სული ჩემი გაანათე მეშვიდე ცითა!

\* \* \*

შოთაო დიდო, დიდთორელო, სიბრძნის თაველო;  
დაბერდა თორი,  
ჯაყის ციხე,  
თმოგვი,  
ვარძია,  
შენ კი ღმერთივით ბრძენჭაბუკი დარუსთაველო  
და წიგნი შენი ძველ-ახალთა დიდი განძია.





## ზუკაბ გორგილაძე

### „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“...

გონიოში ვიდექ დიდხანს... ნანგრევების ჩრდილში,  
ციხის კვამლით თავწაკრული, შემოსილი ხავსით,  
გონიოში ვიდექ დიდხანს...

და იქ ახლაც გიცდი.

მაგრამ შენს გზას და ნაკვალევს უნებლიეთ ავცდი.  
მთებმა ნისლის რბილი ქურქი ნაზად გადიბერეს,  
ცის თვალეზში უნაზესი სევდის ბადე თრთოდა,  
შენ სხალთაში მუხლმოხრილი ლოცულობდი თურმე,  
მე ხიხანის ალაყაფთან დაგეძებდი, შოთა.

ცხელ გორებზე ვენახივით გადარბოდნენ გზები,  
სამრეკლოებს ლაყვარებში ერხეოდათ ტანი,  
ვაშლოვანში მოგიკითხე... მარადილში გძებნე,  
ყველგან იყავ, მაგრამ ვერსად ვერ შეგასწარ თვალი.  
შენი შუქი შეემატა აოხრებულ ქოხებს.

ავთანდილის მგზნებარებით, თინათინის თმებით,  
ვერსად გნახე!...

ვერსად გპოვე!... მაგრამ მძლავრი ბოხით  
„ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ გუგუზნებდნენ მთები.

გადამსხვრა გუმბათებზე ვენახები ლურჯი,  
ეზო-ეზო ჩუქურთმები მტევნებივით ყრია,  
ნანგრევებში დავეძებდი შენს ღვთაებრივ ხურჯინს,  
რომ შენც გეთქვა „აჭარაში გამძარცვესო ფრიად“.  
წინ გაიგდე უდაბნო და სევდის ნისლი ნელი,  
ავთანდილის გალობა თუ გრძნეულობა ქაჯთა  
და შენს ნისლში შრილებდა ზედაზენის ველი

და შენს ყოველ ნაკვალევში ოაზისი გაჩნდა.  
 გუგუნებდნენ ვულკანები თუ თვალები სველი,  
 „ვა სოფელოს“ მწუხარებამ უკვდავ ქროლვას მიგცა.  
 ღა არ გეყო საჯილდაოდ ნააკვანარი ძველი,  
 ორ ზღვას შუა გრიგალივით მომწყვდეული მიწა-  
 სამშობლო და სიყვარული, ხალხის ბედი ცხარე  
 მხოლოდ ტახტი, მხოლოდ კვერთხი სომ არ არის მართლა.  
 შმაგი ვეფხი გამოაბი კლანჭით განჯის კარებს,  
 ხვალი ღომი დააყენე დარუბანდის კართან.  
 ვინ გატეხა ჩვენს ტაბლაზე ღვედიანი პური,  
 ვინ ააწყო ჩონგურები ჩვენს ყვავიან სულთან,  
 ვინ დალობა საქართველო ეკვებით და შურით  
 და განძივით გაატანა შაჰბაას თუ სულნათს.  
 და წერტილი რომ დასმოდა... უკუნეთი, ავი,  
 გუთნის დედას, ვაზის ჯიქანს, ხმაღს და მერნის გავას,  
 შენი „ვეფხისტყაოსანი“ გარუჯული ტყავით,  
 ერთი დიდი საქართველო იქნებოდა თავად.  
 აწონეს და ვერ აზიდეს ჩვენი მიწის მაღლი  
 და სამყარო დაატიეს აქ, კოლხეთის ველზე,  
 საქართველო!...

არც მესხეთში, არც კახეთში, ქართლში,  
 საქართველოს შენს უსაზღვრო სტრიქონებში ვეძებ.  
 ძაგძაგებენ გზები ძველი... მართალი თუ მრუდე,  
 გზებზე ტყდება იმედები და ბერდება დარდი  
 და ჭიკჭიკებს მესხურ ქოხზე შენი თბილი ბუდე,  
 და სამშობლო მზის გვირგვინით მსოფლიოში დადის.  
 რომელ მზეს არ დააბნელებს ნესტან ქალის ოხვრა,  
 რომელ მზეს არ გაანათებს ავთანდილის ფიცი,  
 ბედნიერო, ამ პატარა მიწის შვილი რომ ხარ!..  
 მაგრამ გულზე არ გაყრია პეშვი შენი მიწის.  
 გუმბათებზე გადადიან ვენახები ლურჯი,  
 შორით ვისმენ ჩუქურთმების თუ ზარების გრიაღს,  
 ნანგრევებში კვლავ დავეძებ შენ ღვთაებრივ ხურჯინს,  
 რომ შენც გეთქვა „აჭარაში გამძარცვესო ფრიად“.






## იაკობ მელია

### მე მდიდარი ვარ

ყველა განძეულს ავარიდებ ამქვეყნად მზერას,  
 უბრალოდ ვიტყვი, სულ სხვა არი ჩემი სათქმელი:  
 დე, გაუმარჯოს მარადიულ სიცოცხლის რწმენას. —  
 მე მდიდარი ვარ ჩემი ხალხით და რუსთაველით.  
 რისთვის ეძებდნენ რუსთაველის საფლავს, ნაკვალევს,  
 დღესაც არ მესმის საოცარი მე ეს ამბავი.  
 პალესტინაში კი არა და თვითეულ ქართველს  
 გულის გულში აქვს შენახული შოთას საფლავი.  
 ყველა ქართველში მისი სიტყვის შუქი ბინადრობს,  
 ყველა ქართველში შემართება მოჩანს იმისი,  
 დრომ საიმედოდ სიბრძნის ფუნჯი შოთას მიანდო,  
 რომ ვეფხის ტყაზე დაეხატა ჩვენი თბილისი.  
 ნაცრად ქცეული უდიდესი სატახტოები,  
 საუკუნეთა ნამსხვრევებში ჩახერგილები,  
 და მტრის წინ მდგარი საქართველო განმარტოებით  
 სულ გამარჯვებას ზეიმობდა შოთას გმირებით.  
 ყველა განძეულს ავარიდებ ამქვეყნად მზერას,  
 უბრალოდ ვიტყვი, სულ სხვა არი ჩემი სათქმელი:  
 დე, გაუმარჯოს მარადიულ სიცოცხლის რწმენას, —  
 მე მდიდარი ვარ ჩემი ხალხით და რუსთაველით.



## ნიკოლოზ მიქავა

### ლეგენდა რუსთაველზე

მისი ბედი ისევე სევდიანია, როგორც სერვანტესის, შექსპირისა და დანტესი, როგორც ყველა ბუმბერაზი პოეტისა და მოაზროვნის ბედი...

ვინ იყო ეს გენიალური პოეტი და ფილოსოფოსი? ამ კითხვას დუმილით გვერდს უვლის ისტორია.

ქართველმა ერმა დროშასავით მოიტანა აქამდე „ვეფხისტყაოსანი“, შეინახა მისი პირველი ხელნაწერები, იმახსოვრებდა და გადასცემდა შთამომავლობას მის თითოეულ სტრიქონს და მგოსნის ცხოვრებაზე შექმნილმა ლეგენდებმა უკვდავი ძალა შეუნახა მის გენიას.

\* \* \*

მხატვარ დავით კაკაბაძეს აქვს სურათი, რომელზეც არ მოჩანს ზეცა, სადაც მთები იმოდენებია, რომ ფარავენ ტატნობს: ისინი ცაზე უდიდესი გგონია. მხატვარმა ამ ტილოს იმერეთის მთები დაარ-

ქვა. ქუთაისიდან მოშორებით, სწორედ ერთ-ერთ ასეთ მაღალ მთაზე მეთერთმეტე საუკუნეში დავით აღმაშენებელმა ააშენა გელათის მონასტერი. იგი ახლაც დგას როგორც ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, როგორც ისტორიის ხელშეუხებელი ფურცელი. აქვე დავით აღმაშენებლის სურვილით დაარსდა აკადემია.

საუკუნეების მანძილზე ანტიკური ფილოსოფია ის დიდი წყარო გახლდათ, რომლითაც წყურვილს იოკებდა მაშინდელი ქართული კულტურული საზოგადოება. მისი დედაბოძი აკადემია იყო, აკადემია ქართული კულტურისა.

ლეგენდა გადმოგცემს, რომ სწორედ აქ, გელათში, ჩამოიყვანეს განსასწავლად შოთა რუსთაველი. დიდგვაროვანთა შთამომავალი შოთა — მშვენიერი ატლეთი, მონადირე, მხატვარი და პოეტი — აღ-





რიანად ესწრაფის ფილოსოფიას, უყვარს კითხვა, ერკვევა ძველის-ძველ ხელნაწერებში.

ჯერ კიდევ სულ ყმაწვილმა გამარჯვა მგოსანთა შეჯიბრებაზე, რამაც განაპირობა მთელი მისი შემდგომი ცხოვრების ბედი. საუკეთესო და ნიჭიერ ყმაწვილებთან ერთად იგი გელათში მოხვდა. იმხანად აკადემიაში მეფობდა მოძღვრება მეხუთე საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსის პეტრე იბერისა. აქ აღმერთებდნენ ყველაფერ ელინურსა და ყველაფერ კლასიკურს. თვითონ პეტრე იბერმა გადაამუშავა პანთეისტური მატერიალიზმის მთელი სისტემა. არსად მსოფლიოში, გელათის გარდა, არ დამუშავებულა ამ იდეათა სისტემა, რომელიც შემდგომ ბრწყინვალედ ათვისა რუსთაველმა და საფუძვლად დაუდო თავის უკვდავ პოემას. მართალია, IX საუკუნეში პარიზში ითარგმნა პეტრე იბერის „წიგნი მიზეზთა შესახებ“, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა, ხოლო თვითონ „მიზეზთა წიგნი“ 1210 წელს პარიზის სამღვდელოებამ გაასამართლა და უარყო...

აქ, გელათში შოთა გაეცნო მუსიკალურ ნოტებს, საქართველოს საუკეთესო მხატვრებთან სწავლობდა ფერწერას, ხუროთმოძღვრებას, ხოლო ბექა და აშქენ ოპიზირების საოცარმა ნამუშევრებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე. განსაკუთრებით მოსწონდა ამ ოსტატების უკვდავი „ხახულის ღვთისმშობელი“.

ლამით იგი დიდხანს იდგა მონასტრის გალავანზე და ფანტაზიურად გართული იყურებოდა შორს, ძირს. მოღურჯო ბურუსში, რიონის გარდიგადმო ნაპირებზე, გადაშლილიყო კოლხეთის მდიდარი დაბლობი, თავისი მოკამკამე ნაკადულებითა და ასწლოვანი ხეებით, ხშირი ტყეებითა და მწვანე ვაზებით. ალბათ, „ოქროს ვერძის“ ძებნაში სწორედ აქ, მზის სხივებით დასერილი რიონით ამოატარა თავისი ზომალდი იაზონმა...

შოთას ეჩვენებოდა, რომ ხედავდა ზღვის უსაზღვრო სივრცეს.

ზღვა!.. მას ბავშვობიდანვე უყვარდა ზღვა, ბევრსაც კითხულობდა ზღვაზე მოგზაურთა შესახებ, კითხულობდა ბერძენ ისტორიკოსთა ჩანაწერებს. ჯერ კიდევ იქ, პონტოს ზღვის ნაპირებთან, სცადა მან დაეწერა პირველი ლექსი: იქ პირველად აჟღერდა მისი პოეტური ჩანგი, და მას შემდეგ თავის ღმერთად აპოლონი დასახა...

გრძელი ღამეების შემდეგ, რომლებიც მას თეთრად უთენებია დროისაგან შეყვითლებული ფოლიანტების კითხვაში, იგი ხშირად საათობით მდგარა აქ, ამ გალავანზე და დამტკბარა სანახაობით.

მაგრამ მესხი ჭაბუკი არ ყოფილა სქიმოსანი. და თუმცა აკადემიის მესვეურნი არ გამოირჩეოდნენ სიმკაცრით, ზოგჯერ მაინც აშინებდათ ჭაბუკის აღუვსებელი წყურვილი სიცოცხლისა.

უყვარდა ნადირობა. არავინ არ ხმარობდა მშვილდ-ისარს ისე, როგორც შოთა. ხშირად მთელ ღლე-

ებს ტყეში ატარებდა, დასდევდა  
ნადირს, ცურავდა, ტყებოდა ბუ-  
ნების სილამაზით...

\* \* \*

...აკადემიის დამთავრებისას გან-  
სწავლულ რაინდთა შორის შეჯი-  
ბრება გამოცხადდა, რომელსაც  
ესწრებოდა თვით მზეთამზე, მეფე  
საქართველოსი თამარ.

და ლეგენდა გვიამბობს:

ჟამი იღვა გაზაფხულისა. გელა-  
თის მთა აღმართულიყო, როგორც  
ეული, ამაყად მდგომი ნაძვი თვა-  
ლუწვდენელ დაბლობზე. თითქოს  
ტაძარს ატმისა და ნუშის ყვავი-  
ლების მანდილი მოესხა. მზე ანა-  
თებდა ლაქვარდოვან ცაზე და ოდ-  
ნავ ლილისფერი, მსუბუქი ნისლის  
ფარჩა გადაფარებოდა მინდვრებსა  
და ბორცვებს. გაისმა საზეიმო ზა-  
რების რეკვა, რომლებიც შეჯიბ-  
რების დაწყებას იუწყებოდნენ.  
თამარ დიდგვაროვანთა ამაღის  
თანხლებით იჭდა მეწამულ კარავ-  
ში. ძოწისფერი საოცარ მიმზიდვე-  
ლობას მატებდა მის ფერმკრთალ  
სახეს.

შეჯიბრება ცხენოსნობით, შუ-  
ბის ტყორცნით და ჭიდაობით დაი-  
წყო. ამას მოჰყვა ქნარზე და სხვა  
მუსიკალურ ინსტრუმენტებზე შე-  
ჯიბრება. რუსთაველს ბაღალი არ  
ჰყავდა. იგი იყო საუკეთესო მოჯი-  
ბრითე, ცხენოსანი და ქნარზე დაკ-  
ვრითაც მოხიბლა დამსწრენი.

როცა ლექსების კითხვაზე მიდ-  
გა ჯერი, რუსთაველმა გააოცა  
მსმენელები. ჯერ აქამდე არავის  
აეჯღერებინა აგრე გრძნეულად  
ქართული ლექსი; იგი მიედინებო-

და მსუბუქად, ძალზე მუსიკალუ-  
რად. მგოსანთა შორის მან პირველი  
ლმა შეძლო ეჩვენებინა ზღაპრული  
ტელი სიმდიდრე მშობლიური  
ენისა, მთელი სიძლიერით მიეტანა  
მსმენელამდე ჟღერადობა ქართუ-  
ლი მეტყველებისა... და თვით რუ-  
სთაველი ჰგავდა ანტიკურ ჭაბუკ  
მითიურ ღმერთს.

თამარი აღფრთოვანებული იყო  
და ხმამაღლა გამოთქვამდა ქებას.  
როცა გამარჯვებულთ გადაეცათ  
პირველი ჯილდოები — ხანჯლები  
და ხმლები უძვირფასესი თვლე-  
ბით მოვარაყებულ ქარქაშში, ხა-  
ვერდის ტანსაცმელი და მრავალი  
სხვა, თამარმა უბრძანა მაცნეთ  
გამოეცხადებინათ. რომ ყველაზე  
უმაღლეს ჯილდოს — ოქროს გვი-  
რგვინს მიიღებს ის, ვინც ისრით  
გახვრეტს ვაშლს, რომელსაც დე-  
დოფალი დაიჭერს ხელში.

როცა ეს სურვილი გამოაცხა-  
დეს, ხალხში ჩოჩქოლი ატყდა —  
დედოფალმა არ უნდა ჩააყენოს  
საფრთხეში თავისი თავი, მიზანს  
აცდენილი ისარი უსათუოდ იმს-  
ხვერპლებს მეფეთ მეფესო.

საუკეთესო მეისრეებმა ერთად  
მოითათბირეს, შემდეგ მივიდ-  
ნენ დედოფალთან, მუხლი მოიყა-  
რეს მის წინაშე და შეევედრნენ,  
შესცვალე განზრახულიო. თუ დე-  
დოფალი თავისას დაიჩემებს, მა-  
შინ ისინი წინდაწინვე უარს ამბო-  
ბენ ამ შეჯიბრებაზე.

თამარმა გაიღიმა და უპასუხა:  
— ეს ახირებული სურვილი  
არაა. არც რაიმე საფრთხეა მოსა-  
ლოდნელი, — მაგრამ რაინდები



დაჯინებით მოითხოვდნენ შეჯიბრების პირობის შეცვლას.

მაშინ წინ წარსდგა შოთა და გაბედულად თქვა:

— მზადა ვარ, მზეთამზეო! მე შემიძლია შევასრულო ყველა პირობა!

დიდად გაოცდნენ რაინდები. ისინი დიდხანს ევედრებოდნენ შოთას უკან წაეღო თავისი სიტყვა, მაგრამ იგი არ უსმენდა, იგი ჟჷურებდა ვაშლს, რომელიც დედოფალს საჩვენებელი და ცერა იითით აღემართა თავს ზემოთ.

ნუთუ რუსთაველი შეეცდება გაისროლოს ისარი? მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად რუსთაველმა მშვილდი მომართა, შემდეგ მივიდა დედოფალთან. მარცხენა ხელით შეიმაგრა ვაშლი, ხოლო მარჯვენათი ისარი შეასო ვაშლში. დედოფალმა გაიღიმა.

მაშინ ყველანი მიხვდნენ, რომ დედოფალმა რაინდებს გამოცანა მისცა, რომელიც მხოლოდ შოთამ ამოხსნა.

— გაიმარჯვა რუსთაველმა! — გამოაცხადა დედოფალმა, — თანაც დაიმსახურა ოქროს გვირგვინი. მე ხომ გეტუზნებოდით, ძვირფასო და კეთილო რაინდებო, რომ შეჯიბრებაში არაფერი არაა-მეთქი სახიფათო. თქვენ გამოგრჩათ, რომ წინადადება მოგვეცით ისრით გაგებოთ ვაშლი, სასროლი ადგილი კი არ დამინიშნავს...

ამის შემდეგ თვით დედოფალმა დაჰსურა თავზე რუსთაველს დაუნის ოქროს გვირგვინი და ამ-

ბორისათვის გაუწოდა ხელი. მაღალი ბუკი რაინდი შეიშმუნა და დაეხმარა მას, მუხლი მოიყარა ზედა ლის წინაშე და ძალზე ფრთხილად შეახო ბაგენი მზეთამზის ხელს. შემდეგ მხოლოდ წამით, მხოლოდ წამით ჩაიხედა მის თვალთა სიღრმეში და სამუდამოდ დაკარგა მოსვენება...

მან იმ დღესვე მიიღო მიწვევა სასახლის კარზე. ამიერიდან იგი დედოფლის მგოსანი გახდა.

განა შეეძლო უარი ეთქვა?

ასე მოვიდა რუსთაველთან დიდი ბედნიერება და დიდი მწუხარება...

\* \* \*

სასახლის კარზე ცხოვრება საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. რუსთაველს ბედი წყალობდა. იგი დაიბადა ისეთ ეპოქაში, როცა ნიქს ფართო ასპარეზი ეძლეოდა, ყოველმხრივ ვითარდებოდა, როცა მისი გენია, მთელ საქართველოსთან ერთად, ისრუტავდა ანტიკურ კულტურას. ელინთა პოეტურ და ფილოსოფიურ ქმნილებებს.

იმხანად საქართველომ მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს. ბევრი გააკეთა იოანე პეტრიწმა და მისმა ფილოსოფიურმა სკოლამ. პეტრიწის სწავლება გამოირჩეოდა აზრთა დამოუკიდებლობით, სიღრმითა და საეკლესიო დოგმატიზმის უარყოფით.

დღითიდღე დიდი და უსაზღვრო ხდება პოეტი-ფილოსოფოსის მსოფლმხედველობის. არე, მისი ნიჭი ვითარდება მდიდარ საფუძველზე,

საუკეთესო პოეტებსა და მოაზროვნეთა შორის.

... სახელმწიფო მდივნად თამარ მეფის დროს შავთელი გახლდათ: „ფილოსოფოსი, მკვერმეტყველი, ლექსთა მთხრობელი“. არა ერთი ღამე გაუტარებია შოთას მისი „აბდულ-მესიის“ კითხვაში.

კამათობდნენ და მსჯელობდნენ დავითის ფსალმუნზე, სოლომონ ბრძენზე, ბრძენ დასტაქარზე, ასკ-ლებიაზე, ფილოსოფოს-ნეოპლატონიკოს პროკლე დიადახოსზე, იტაცებდათ სოკრატესა და ზენონის, პლატონისა და ეპიკურეს ფილოსოფია... ასე და ამრიგად გადიოდნენ დღეები და ღამეები...

აქვე, სასახლეში იყო მშვენიერი ყმაწვილი, ოდების მთხველი ჩახრუხაძე, რომელმაც „თამარიანი“ შექმნა. მას არაჩვეულებრივი ბიოგრაფია ჰქონდა. ბევრი ნახა, იმოგზაურა დედამიწის გარშემო: იყო ირანში, ინდოეთში, ჩინეთში, თურქესტანში, რუსეთში, ეგვიპტესა და ბაღდადში... თამარის სილამაზე რომ აღეწერა, მან დასახმარებლად ჰომეროსსა და სოკრატეს მოუხმო... ჩახრუხაძესთან ყოფნა ძალზე საინტერესო იყო, საინტერესო იყო მისი მოსმენა, მასთან დავა, საუბარი.

სასახლის კარზე იყო აგრეთვე მოსე ხონელი, ავტორი რაინდული სათავგადასავლო რომანისა „ამირან-დარეჯანიანი“.

აქ შოთა შეხვდა ჭაბუკ მემატია-

ნეს და „დილარიანის“ ავტორს, სარგის თმოგველს...

ძნელი ჩამოსათვლელია ფილოსოფოსი და ბრძენი, პოეტი და ჟამთააღმწერალი, მხატვარი და ხუროთმოძღვარი...

დღეები გადიოდნენ სწრაფად: დარბაზობასა და შეჯიბრებებში, სახელმწიფო თათბირებსა და ბჭობაში, ნადირობასა და მოგზაურობაში, ქალაქთა მოედნებსა და კრებებზე, სახალხო ზეიმსა და „ყეენობაში“.

ზამთრის გრძელ ღამეებში შოთა რუსთაველი კითხულობდა, წერდა, თხზავდა ლექსებს... სტრიქონს ებრძოდა, სანამ უკანასკნელი სანთელი არ მიწავლდებოდა და ლალისფერი განთიადი ღიმილით არ შემოიჭვრეტდა სარკმელში... ზოლო სიყვარული, ღრმა და უსიტყვო, სიყვარული მზეთამზისა, რომელიც მაცოცხლებელი სინათლით მოსავდა შოთას, დღითიდღე იზრდებოდა და ღვიოდა, უბოლოო და უსაზღვრო ხდებოდა.

და, აი, ერთხელ...

ეს მოხდა ნადირობისას, მცხეთის მოსაზღვრე ტყეებში. სვეტიცხოვლის ხატის დაბრძანების დღეს დედოფალმა ნადირობა ისურვა და მხლებელ ქალწულთა ამალით ჭენებით მიამუშრა იმ ადგილს, სადაც მტკვარი და არაგვი უერთდებიან ერთმანეთს. მეფის ამაღლასთან რუსთაველი ახლდა. და უცებ დედოფალმა ერთ ადგილას გააქევა თავისი ქურანი. იგი აღტაცებით უცქერდა მაღალ მთას მოპირ-



დაპირე ნაპირზე; ამ მთის მწვერვალზე ჯვრის ეკლესია იყო აღმართული.

— ქედს ვიხრი იმ ხუროთმოძღვრის წინაშე, რომელმაც ასეთი ადგილი უბოვა თავის ქმნილებას... ეს ეკლესია კი არა, მთის გაგრძელებაა, თითქოს... მისი მწვერვალი.. — თქვა თამარმა.

— გვირგვინი მისი! — დაუმატა გვერდში მდგომმა შოთამ.

— შენ მართალი ხარ, მგოსანო... სწორედ რომ გვირგვინია, — და თამარმა ცხენით ტყეს მიაშურა. შოთა დაეწია. ისინი ერთმანეთის გვერდი-გვერდ მიდიოდნენ და არაფერი არღვევდა სიჩუმეს. დედოფალს ჯერ კიდევ არ ებრძანებინა ნადირობის დაწყება.

— მიაშვე ზღაპარი, რუსთაველო, — მოულოდნელად დაარღვია დუმილი მზის ასულმა.

— რომელი, დედოფალო?

— ყველაზე უმოკლესი... — არც გაუხედავს მისკენ, ისე ჩუმად თქვა თამარმა.

შოთა დაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი მოიბრუნა:

— ეს იქნება ყველაზე სევდიანი ზღაპარი, მზის სადარო.

ბასუხი არ მიუღია.

და რუსთაველმა დაიწყო:

„ერთ მეფეს მშვენიერი ასული ჰყავდა, აუწერელი სილამაზის ასული. მრავალი ქვეყნიდან მოდიოდნენ რაინდები და უფლისწულები მისი სიყვარულის საძიებლად. მაგრამ ამოდ... მეფის ასულმა გადაწყვიტა მხოლოდ მას გაჰყოლო-

და ცოლად, ვინც ნამდვილად შეყვარებდა და ასეთივე სიყვარულს გააღვიძებდა მის გულში“.

სასახლის ერთ-ერთ დარბაზში მალაქიტის მაგიდა იდგა არც თუ ისე დიდი ბროლის თასით, რომელიც სავსე იყო მეფის ასულის ცრემლებით. და ეს ცრემლები ცისკრის ცვარევით ციმციმებდნენ ბროლის თასში. მეფის ასულის ხელის მაძიებელი უნდა დამდგარიყო ამ მაგიდის წინ და შეეთხზა ლექსი სიყვარულზე. გადმოცემა გვიამბობს: თუ ლექსის სტრიქონები ძალზე გულწრფელი იქნებოდა, ცრემლები ბროლის ჭურჭელში აღუღლებოდა და ლექსის მთქმელს ისინი დედოფლის გამოჩენისთანავე უნდა გადმოეღვარა. დრო გადიოდა. ბროლის ჭურჭელში ცრემლები არც ირხეოდნენ და უფლისწულები გაცრუებული იმედებით ბრუნდებოდნენ უკან. მობეზრდა მეფეს თავისი ასულის ახირება და ბრძანა ცხრაკლიტულში ჩაესვათ იგი.

დანაღვლიანდა სასახლე. როგორ არ ცდილობდნენ სეფექალები მეფის ასულის გულის მოგებას, მაგრამ არ იქნა და არა—იგი ისევე ობლად გრძნობდა თავს, როგორც ოქროს გალიაში გამოწყვდიული ჩიტი. ბოლოს, განიზრახა დაეხატა თავისი სურათი. დაჯდა სარკის წინ და ქაღალდზე გამოსახა თავისი სახე. წნელი იყო გაგერკვია რომელი იყო უკეთესი — ნახატი თუ თვით მეფის ასული. სურათი მან

მტრედს გამოაბა ყელზე და გაუშვა სარკმლიდან.

ცხრა მთას იქით, ცხრა ზღვის იქით ცხოვრობდა მგოსანი ერთი; ქვეები რაა, ისინიც ქვითინებდნენ, როცა მის გალობას ისმენდნენ, მაგრამ მგოსანი ელოდა ნამდვილ სიყვარულს. და დღითიდღე უძნელდებოდა მას შეეთხზა დიდი გრძნობით აღსავსე ლექსები. ბოლოს სულ დადუმდა მისი ქნარის სიმები.

და... უცებ თეთრმა მტრედმა უცხო ქვეყნიდან მოუტანა მას მზეთუნახავის სურათი; სიყვარულის ალი აბობოქრდა მგოსნის მკერდში. მან გადაწყვიტა მზეთუნახავის საძებნელად წასულიყო.

დიღხანს იარა, იარა და მივიდა ჩვენთვის ცნობილ ქვეყანაში. აქ მან გაიგო მეტად უცნაური პირობა მეფის ასულისა და გადაწყვიტა, გართობის მიზნით, ეცადა ბედი — რა იცოდა მან, რომ ეს სწორედ ის მზეთუნახავი იყო, რომელსაც ეძებდა!

დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი დანიშნულ ჟამს. ეუცნაურებოდათ და უკვირდათ, რომ ვიღაც ღარიბი და უცნობი მგოსანი ცდილობდა მეფის ასულის გულის მოგებას. მგოსანი მივიდა ცრემლით სავსე ბროლის ჭურჭელთან, გაიხსენა მზეთუნახავის სურათი, რომელიც მტრედმა მიუტანა, და ამღერდა, ჩუმად ამღერდა, ისე უცნაურად და ლამაზად, როგორიც ჯერ არ მოესმინა კაცთაგან

არავის და მაგიდაზე მდგომი ცრემლიანი ჭურჭელი აშიშინდა; აღუდგა და სწორედ ამ დროს გაიხსენა მან მეფის ასული. მგოსანმა ერთხელ ჰკიდა თვალი და გაშეშდა: იცნო.

გადადგა მისკენ რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ ბინდი გადაეფარა თვალებზე, დაბრმავდა. მას დაავიწყდა აღუღებული ცრემლები გადაედგარა.

მეფის ასული არ შეუშინდა მამის რისხვას და ბრმა მგოსანზე დაიწერა ჯვარი. მას უყვარდა მგოსანი და არ ძალუძდა სხვანაირად მოქცეულიყო. მეფემ განდევნა ორივენი თავისი სახელმწიფოდან და დარჩნენ ისინი ღატაკნი, მაგრამ ბედნიერნი, რადგან ისე ძლიერად უყვარდათ ერთმანეთი...

თამარს სიტყვაც არ დაუძრავს. მეტად მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. და როცა რუსთაველმა მოიხედა, მან დედოფლის წამწამებზე მარგალიტის მძივებივით მოციმციმე ცრემლები დაინახა.

— რატომ მიაშვე ასეთი ზღაპარი, განა შენ არ იცოდი... — და აღარ დაამთავრა. შოთას მკვდრისფერი დაედო სახეზე. რა თქმა უნდა, მან ყველაფერი იცოდა! იგი მიხვდა თავის შეცდომას.

ანდა როგორ შეეძლო მას დაევიწყებინა, რაც დედოფალს გადახდა?

მამამისმა მძლეთამძლე მეფე გიორგი მესამე - ლომგულმა შეიძულა თავისი ნათესავი დემნა, რადგან ამ უკანასკნელმა გადა-



კვრით გაბედა სიტყვა ჩამოეგდო ტახტის კანონიერ მემკვიდრეობაზე და მეფის ერთადერთი ქალიშვილის შერთვაზე! გიორგი მეფემ თავისი ასული ქაჯეთის ციხეში გამოკეტა, ხოლო დემნამ ჯარი შეკრიბა და სცადა ბრძოლით მოეპოვებინა მეფობა; მაგრამ გიორგიმ დაამარცხა იგი, შეიპყრო და თვალები დასთხარა.

თამარს და დემნას ბავშვობიდანვე უყვარდათ ერთმანეთი.

როგორ შეეძლო შოთას ეს დავიწყებოდა?

მაშ, თამარს ისევ ახსოვს იგი? და შოთა კიდევ უფრო მეტი მოკრძალებით განიმსჭვალა მზეთამზისადმი.

ისევ სიჩუმე. მხოლოდ გულები ხმურობენ, ეჯიბრებიან თითქოს ერთმანეთს.

— მე არ მინდოდა გამენაწყენებინე, — ისევ თქვა თამარმა.

— მჯერა, ჩემო დედოფალო.

დიდხანს მიდიოდნენ ისინი ცხენდაცხენ. მერე დედოფალმა ისევ თქვა:

— გაემგზავრე საბერძნეთს, დაეწაფე მეცნიერებას.. აჰ, მე რომ დედოფალი არ ვიყო და ეს მძიმე გვირგვინიც რომ არ მეხუროს თავზე... რა სიხარულით ვეწვეოდი ელინთა მზიურ სამშობლოს, სიცოცხლით სავსე, მჭევრმეტყველებისა და ხალისის დიდ ქვეყანას. გაემგზავრე. მოგზაურობა — ეს იგივე უკვდავებაა. დამიჯერე... ჩემი ბედნიერება არაა შენს ბედნიერებაზე დიდი.

— შევასრულებ ჩემი მბრძანებლის სურვილს, — თავდახრით წარმოთქვა რუსთაველმა.

— და კიდევ ერთი თხოვნა... გრძნობა შენი გადაიტანე პერგამენტზე; სიყვარულზე დაწერე წიგნი.

— უსათუოდ დავწერ, დედოფალო!

\* \* \*

ხომალდი უახლოვდება ბოსფორს.

გემბანზე ჰაბუკი იდგა. მისი სხეული, როგორც ბრინჯაოს ქანდაკება, იხაზებოდა ჩამავალი მზის მეწამული სხივების ფონზე, იწვოდა მთელი ცის თალი.

ამბობენ, არაჩვეულებრივად ლამაზია მზის ჩასვლა ბოსფორზეო. შოთას არაერთხელ მოესმინა ეს მეგობრებისაგან. განსაკუთრებით მზის ჩასვლას მიმზიდველად აღწერდა ჩახრუხადე.

იგი მართალი გამოდგა. ნეტავ, ხანძარი ხომ არ წაჰკიდებია ბიზანტიის საუცხოო დედაქალაქს? მგონი, კონსტანტინეპოლი ცეცხლის ალშია გახვეული, თითქოს მზეს სურდეს შთანთქმოს იგი, თან წარიტანოს. რა კარგია, რომ მან ელადა აირჩია და არა ეს რომი თანამედროვე სამყაროისა.

მზე უკვე ჩავიდა... შოთა გაჰყურებდა მთვლემარე ტალღებს და მისი სული სავსე იყო ნაღველით. ძნელი იყო განშორება იმ ღვთაებრივ არსებასთან, რომელმაც ასე აავსო მთელი მისი სიცოცხლე... მთელი მისი არსება. გაახსენდა თა-

ვისი ბავშვობა... მესხეთი, მერე სწავლის წლები გელათში, გაახსენდა მწყემსები და გლეხები — მისი თანატოლნი. გაახსენდა მოხეტიალე მესტირე, რომელიც მეტად მოსწრებულ და მსუბუქ შაირებს ამღერებდა. გაახსენდა სახალხო მთქმელები და მეზღაბრენი...

... როგორ თქვა მზეთამზემ? დაწეროს სიყვარულზე?... მართალი იყო პეტრე იბერი, როცა ამტკიცებდა, რეალურია მხოლოდ სიკეთე, ხოლო ბოროტება — არ არის ხანგრძლივი, ცვალებადია, წარმავალი და ასე თანდათან თვითონაც ვერ ატყობდა, როგორ დაიბადა პირველი სტრიქონები. იგი ვერ ხედავდა ირგვლივ ვერავის, ვერაფერს ამჩნევდა, მუზას მიენდო...

რუსთაველი საბერძნეთში ჩავიდა უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით. იგი აღზრდილი იყო თავისი საყვარელი მასწავლებლის იოანე პეტრიწის მოწინავე იდეებზე, რომელიც თავის დროზე თანამშრომლობდა ბიზანტიის აღორძინების ხანის ფილოსოფოს იოანე იტალთან ერთად.

ჰომეროსის, არისტოტელეს, პლატონისა და სოკრატეს ქვეყანასთან შეხვედრა, შეხვედრა მზიურ და ლაყვარდოვან ელადასთან, ათენთან და უკვდავ აკროპოლისთან დიდი სულიერი ზეიმი იყო. რეტდასხმულივით დააბიჯებდა შოთა ნანგრევთა შორის, გრძნობდა, როგორ იზრდებოდა, როგორ მძიმე ტვირთივით აწევბოდა მის

ჭაბუკ მხრებს სიბრძნე და აზროვნება, გაახსენდა მზეთამზის სიტყვები, გაახსენდა მზეთამზის ასულის სიტყვები, ვის სახელსაც ასე სათუთად ინახავდა და ვისი სახელის წარმოთქმაც ეშინოდა.

... გავიდა წლები. რუსთაველი — ბრძენი, ფილოსოფოსი და პოეტი — დაბრუნდა საქართველოში. იგი უკვე ადვილად იოკებდა თავისი ფიციხეს; ეს კი ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ღირსებაა დიდ ადამიანთა.

ეს იყო დრო, როცა ქართული ჰუმანიზმი ავიდა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილზე.

საქართველო სულ სხვა იყო უკვე. ფართო საზღვრებით, ძლიერი, დიდების მოყვარე, ამაყი. რუსთაველს მოეჩვენა, რომ იგი ცოტათი ცივი გახდა. იქნებ, ეს მხოლოდ მოეჩვენა? მას ხომ დიდებითა და აღტაცებით შეხვდნენ, ისევ მიიხმეს სასახლის კარზე? და მოგზაური პოეტი კვლავ გახდა სასახლის მგალობელი. ქვეყანას მართავდა დედაკაცი, რომელსაც პოეზიად ხელოვნება უყვარდა. რუსთაველი ხელცარიელი არ ჩამოსულა. მან თან ჩამოიტანა ახალი პოემა — შეასრულა დედოფლის თხოვნა. ასე დაიბადა გენიალური „ვეფხისტყაოსანი“.

იგი მაშინვე გავრცელდა, მას ხაზბად ეწაფებოდნენ...

„ვეფხისტყაოსნის“ გამოჩენას ისე შეხვდნენ, როგორც მეხის გავარდნას. დიდგვაროვანებმა მასში არსებული წესწყობილების და-



ცინვა დაინახეს, ხოლო ეკლესიამ — ქრისტიანული რელიგიის მტერი.

თამარი, ეს პირველი თაყვანისმცემელი შოთას გენიისა, დიდხანს ცდილობდა არ დაენახა რუსთაველში პოლიტიკური მტერი... მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დამორჩილებოდა დიდგვაროვანთა ნებას.

სულ რამდენიმე წელი დაჰყო რუსთაველმა სამშობლოში... არსებობს გადმოცემა, თითქოს ქართველმა კათალიკოსმა იოვანემ თამარის სიცოცხლეშივე დაიწყო შოთა რუსთაველისა და მისი გენიალური ქმნილების დევნა.

მაგრამ მგოსნის სიმღერამ ადვილად გაიკაფა გზა ხალხის გულისაკენ. და შორს, ძლიერ შორს წავიდა დიდება მისი, შეიჭრა სასახლეებსა და ციხეებში, ქალაქებსა და სოფლებში. ხალხმა შეიყვარა იგი.

ამ დროისათვის კი შოთა ფერწერული გაუდგა გზას იერუსალიმისაკენ და მიაღწია ქართულ მონასტერს, წმინდა ჯვრის მონასტერს.


სასახლეში ამის შემდეგ აღარ ყოფილა მისი ლექსები, გა-

დამწერებმა აღარ უთენებდნენ მის მუშაობას. მისი ლექსები სულელოდ წოდებამ უაზროდ მიიღო იდეები. არავინ იცოდა შოთას შემდგომი ბედი. არავინ იცოდა როდის მოკვდა იგი...

„ქართლის ცხოვრება“ დუმილით უფლის გვერდს რუსთაველის სახელს. მაგრამ ხალხური სიმღერები და ლეგენდები მოგვითხრობენ მგოსნის სევდიან ბედზე.

ისტორიკოსები ვარაუდობდნენ, რომ იგი 1174 წელს დაიბადა. მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ იგი ათას ასსამოციან წლებში, დაახლოებით 1166 წელს დაიბადა. საქართველოს ბევრი ძეგლი, შესანიშნავი ქმნილებები მეცნიერებსა დაიწვა და გავერანდა მომთაბრეთა შემოსევის დროს; ისინი სამუდამოდ დაიკარგნენ კაცობრიობისათვის... თუმცა დღემდე შეუსწავლელი და დაუთვალიერებელია ბიბლიოთეკა-არქივები ათენსა და სინას მთაზე, იერუსალიმში... მაგრამ ყველაზე დიდ საბუთად მაინც იმდროინდელი პოემა-ენციკლოპედია დარჩა, სიმღერათა სიმღერა სიყვარულისა — „ვეფხისტყაოსანი“.






## ჩვევს აკთილავს ზოთა რუსთაველს

დგას საქართველო ისე, ვით  
რაინდი ქედმოუხრელი.  
დგას საქართველო ისე, ვით  
ღევგმირი მუხლმოუყრელი,  
დგას საქართველო ისე, ვით  
ვაჟკაცი მკლავმოუღლედი,  
დგას საქართველო ამაყად  
და შენს დიდებას უმღერის.  
შენა ხარ აღორძინება  
მიწის მრავალგზის ნამუსრის,  
შენა ხარ ჩვენი საუნჯე  
და ჩვენი ერის ნამუსი.  
სად არ გეძებდით, სად არა,  
ყველგან მყოფსა და უჩინარს,  
რვა საუკუნის ჭირ-ვარამს  
შენი გზა გადაუჩრდილავს.  
და შენი კვალის ძეგნაში  
ღავლაშქრეთ ყველა შორეთი,  
ფიქრს — გულთან ახლოს გვეოლოდი —  
ვერა და ვერ ვიშორებდით.  
გეძებეთ, სად არ გეძებეთ  
ყველამ — ცალკე თუ ერთადა,  
მიწაზე რომ ვერ გიპოვეთ,  
ლამის ჩაგთვალეთ ღმერთადა.  
და როცა კვალი ვერ ვნახეთ,



მარტო რომ ველარ ავთავდით,  
ძებნაში ვიშველიებდით  
ფრიდონს, ტარიელს, ავთანდილს;  
და შენზე ფიქრებს ყველანი  
ოქროს ძაფებად ვართავდით,  
ვერ გპოულობდით, თან პოვნის  
იმედს მაინც არ ვკარგავდით.  
ვიშველიებდით, ვკითხავდით  
ასმათს, ნესტანს თუ თინათინს,  
და მოხიბლული ვრჩებოდით  
მათი თვალების ღინათლით.  
თუმც ისე გაუჩინარდი,  
კვალიც კი არ დაგვიტოვე,  
მაგრამ ჩვენ მაინც მოგნახეთ,  
მაგრამ ჩვენ მაინც გიპოვეთ.  
გიპოვეთ ჩვენსავე სულებში  
და ჩვენს გულებში გიპოვეთ,  
გიპოვეთ ჩვენსავე სისხლში და  
ჩვენსავე ხორცში გიპოვეთ.  
გიპოვეთ, ჰაი, გიპოვეთ,  
სიბრძნის დამალვა ვინ ნახა.  
ჩვენ ახლა ვიცით სადა ხარ  
ჩვენ ახლა ვიცით ვინა ხარ,  
და გულზე უფრო სათუთად  
ჩვენ შენს ხატებას ვინახავთ.  
სიცოცხლე გვიყვარს, შენს სახელს  
იმიტომ შევესისხლებორცეთ,  
შენი სიკვდილით მოვკვდებით,  
შენი სიცოცხლით ვიცოცხლებთ.



## შოთა შარიძე

### მკის სუნიერი საუნჯე

დედამიწაზე არ არის ერი, რომელსაც არ ჰქონდეს თავმოსაწონებელი სულიერი საუნჯე. ამ მხრივ გამოჩაღისს არც ჩვენ, ქართველები, წარმოვადგენთ. პირიქით, შეგვიძლია კიდევაც ვიამაყოთ, რომ სულიერი საგანძურის სიმდიდრით ბევრ ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვან ერს არ დაეუდებთ ტოლს.

იმ სულიერ საუნჯეთა შორის, ქართველებს რომ მრავალი საუკუნის მანძილზე შეუქმნიათ, გამოჩნევით დგას და ფერმატებით ელვარებს შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენ ვერ დავასახელებთ მეორე წიგნს, ესოდენ დიდი და ყოვლისმომცველი ზეგავლენა რომ ჰქონოდა ჩვენს წინაპრებზე. იგი ერთადერთია, რომელსაც დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, აგერ უკვე „შვიდას-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეჰხარის“ ქართველობა, როგორც თავისი „ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარს“.


ქართველმა ხალხმა „ვეფხისტყაოსანში“ თავიდანვე დაინახა საკუთარი სახე, თავისი ყველაზე სანუკვარი იდეალები და ცხოვრების სახელმძღვანელოდ, განუყრელ თანამზავრად გაიხადა იგი. ქალი

თუ კაცი, დიდი თუ პატარა — ყველა ცდილობდა რუსთაველის გმირებს დამსგავსებოდა, ყოფილიყო ისეთი, როგორიც ტარიელი და ავთანდილი, ნესტანი და თინათინი, ფრიდონი და ასპათი იყვნენ. „ვეფხისტყაოსნის“ ცოდნა უდიდეს ღირსებად ითვლებოდა და ბევრმა ზეპირად იცოდა თუ მთელი პოემა არა, უმეტესი ნაწილი მაინც, ხოლო ცალკეულ სტროფებსა და აფორიზმებს ყველა ქართველი იყენებდა საუბარში, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კიდევ მეტი. „ვეფხისტყაოსანი“ იმდენად პოპულარული იყო, რომ ხალხის ყოფაში, მის ზნე-ჩვეულებებში შეიჭრა და მტკიცედ დაისადგურა. საკმარისია გავისენოთ, რომ მშობლები მას მზითევად ატანდნენ ქალიშვილს, რაც უპრეცედენტო მოვლენად უნდა ჩაითვალოს: არა გვეგონია მსგავსი ხედრი ხელომოდეს რომელიმე სხვა მხატვრულ ნაწარმოებმა მსოფლიოში.

ფრიად საგულისხმოა, რომ ამის თაობაზე ხალხმა არაერთი თქმულება თუ გადმოცემა შემოგვინახა. ერთი მათგანი აქაი წერეთელმა მოგვითხრო თავის ლექციებში „ვეფხისტყაოსანზე“.





ერთმა სახელგანთქმულმა რაინდმა თურმე ქალი სთხოვა არგვეთის თავადს, მაგრამ ზრდილობიანი უარი მიიღო: შენისთანა სახელოვან კაცს ქალი როგორ დაეპირება, მაგრამ რა ექნა, რომ საუთარი არც ეკლესია-მონასტერი გაქვს, არც ციხე და არც „ვეფხისტყაოსანი“. გულნატკენ სასიძოს უარის ერთადერთ ანგარიშგასაწევ საბუთად მხოლოდ რუსთაველის პოემის უქონლობა მიუჩნევია და სასიამბოროსათვის შეუთვლია: „სანამ ჩემი მარჯვენა მაგრათა მაქვს და გულმკერდი არ გამტეხია, მე სხვა ციხე არ მეპირებოაო. ჩემი წმინდა ტაძარი ჩემი გული და სვინდისიაო... რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, მართალია, არა მაქვს, ჯერ ახალშენი ვარ, მაგრამ ამასაც უქმელათ შევიძენო“.

არანაკლებ საინტერესოა ერთი ფართოდ ცნობილი ხალხური ლექსი. იგი სატირული ნაწარმოებია და მწვავედ დასცინის იმ ადამიანებს, რომლებსაც არ ესმოდათ, თუ რა განძია „ვეფხისტყაოსანი“. ხალხური მთქმელი აშკარა სარკაზმით გვიამბობს:

„ქალი მყვანდა ედემს ზრდილო,  
ოქრო ხუტუტ თმოსანი,  
გვათხოვე, მზითვათ მივეც  
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“,  
მაგრამ ისევ დამიბრუნდა,  
თურმე იყო ვიროსანი“.

ორივე ეს მაგალითი — ერთი პოზიტითი, მეორე — ნეგატიური ცხადყოფს, თუ რა სათაყვანო ყოფილა ძველ საქართველოში „ვეფხისტყაოსანი“ და რა „ხელის-ხელ საგომანებელ მარგალიტად“ მიაჩნდათ იგი. ასე იყო არა მარტო შორეულ, არამედ უახლოეს წარსულშიც. მოთხრობაში „გლახის ნაპიბობი“ ილია ქაევავაიძემ შესანიშნავად გვიჩვენა, რომ მის დროშიც, ამ ასი წლის წინათ, „ვეფხისტყაოსანი“ აქტიურად ზემოქმედებდა ქართველი კაცის ფსიქიკაზე, მისი შეგნების ჩამოყალიბებაზე და ყმაწვილთა აღზრდის ერთი აუცილებელი და უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იყო. განსაკუთრებით ფარ-

თოდ იყენებდნენ მას აღსაზრდელთა, მორალური გასპეტაკებისათვის, მისი სიკეთის ჩასაწერავად. „ვეფხისტყაოსანი“ რომ აჩუქა, პეტრემ ასე განუმარტა გაბრიელს მისი მნიშვნელობა: „აი ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა“ და დასძინა: „ბევრგან იმის (რუსთაველის — შ. ქ.) სიტყვები გაჟირებაში გულს მოგვხანენ, ჭირს გაგიაღვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრითან და სიკეთისათვის წაგახალისებენ“.

ჩვენი საუკუნის დამდეგს აღმოჩნდნენ ლიტერატორები, აგრეთვე პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქმის ახალ ისტორიულ ვითარებაში „ვეფხისტყაოსანს“ მოჰქამა თავისი დრო და დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა ჩვენი ერის ცხოვრებაში. დღეს ძნელად თუ იპოვით ვინმეს, ვისაც აინტერესებდეს უსაქმო მეფე-ფეოდალების ზღაპრული თავგადასავალი, ყოველ შემთხვევაში იგი არ გამოადგება რევოლუციონერს, რომელიც ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნისათვის იბრძვის\*.

ცხოვრებამ, მასების რევოლუციურმა პრაქტიკამ სავსებით გააქარწყლა ვულგარულ სოცოლოგთა ეს უნიადაგო და ნიპილისტური მტკიცება. „ვეფხისტყაოსანს“ ახალ ისტორიულ ეპოქაშიც არ დაუკარგავს და არც შეძლო დაეკარგა თავისი მნიშვნელობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რადგან ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები ყველა დროში ცოცხლობს და მუდამ ინარჩუნებს იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალას. „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ სწორედ იმიტომ მიგვაჩინა ეროვნულ სიამაყედ, რომ მან საუკუნეებს გაუძლო და ვინ იცის ქართველთა რამდენი თაობა აღიზარდა მის ჰუმანისტურ-პატრიოტულ იდეებზე, რა-

\* ჩვენ დღეს მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ ეს შემთხვევა, რომ ძლიერ მოგვაგონებს ყოველივე იმას, რაც სამწუხაროდ, ამჟამად ზდება ჩინეთში ე. წ. „კულტურული რევოლუციის“ სახელით.

მდენ ქალიშვილს და ჭაბუკს იდეალად დაუსახავს რუსთველური მეგობრობა და სიყვარული.

„ვეფხისტყაოსანი“ გველევებს და გვიტაცებს ჩვენც, სრულიად ახალი. სოციალისტური ეპოქის აღმანიშნებს. მასში პოეტმა ისეთი ლამაზი სამყარო შექმნა, ისე ამალღებულად გვიჩვენა ცხოვრება, ისეთი მომხიბვლელი მხატვრული სახეები გამოძერწა, რომ შეუძლებელია აღმანიშნით გაეცნოს და მთელი არსებით არ შეიყვაროს ისინი, სამაგალითოდ არ გაიხადოს პოემის გმირები. მართალი იყო აკაკი წერეთელი, როცა ხაზგასმით აღნიშნავდა, რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ სურდა „დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდუმლო გმირი, როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაც“. ასეც იყო. რუსთაველის გმირები მართლაც იდეალური, რომანტიკული გმირებია, მაგრამ ამავე დროს საესეებით მიწიერი, რეალური, „ჩვეულებრივი“ აღმანიშნები.

რუსთაველი ბრძენი იყო და მშვენივრად იცოდა, რომ ისევე, როგორც ბუნებაში არ არის მხოლოდ ორი — თეთრი და შავი ფერი, არ არსებობენ არც აბსოლუტურად „დადებითი“ ან „უარყოფითი“ აღმანიშნები, ერთი ყოველთვის შეიცავს მეორეს. ეს რუსთაველის მტკიცე მხატვრული პოზიციია. რა ვუყოთ, თუ ფატმან-ხათუნი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ნამდვილ სიყვარულს და სიძვას, სამაგიეროდ იგი უადრესად გულკეთილია და ნესტან-დარეჯანს მშობლიური მზრუნველობით მოეკიდა. შემთხვევით როდი სწერს მას ნესტან-დარეჯანი ქაჩეთის ციხიდან: „დედისა მჯობო დედაო“. მეორე მხრივ, რუსთაველის დადებითი გმირები ყოველთვის იდეალურად როდი იქცევიან, გარკვეულ ვითარებაში ისინი ისეთსავე შეცდომებს სჩადიან, როგორსაც საცხებით „ჩვეულებრივი“ აღმანიშნები. პოეტის უსაყვარლესი გმირი ტარიელიც კი ამ მხრივ არავითარ გამოწადისს არ წარმოადგენს, პირიქით, სხვებზე მეტი აღმანიშნური ნაკლი

სწორედ მას აქვს. მას შემდეგ, რაც ნესტანის კვალი დაკარგა, იგი გულგატეხილობამ შეიპყრო და „ვეფხისტყაოსანში“ აღმანიშნებს განერდა, მაშინდელი მსოფლიოდ მათთან მჭიდრო ურთიერთობით შექმნილი მიზანს სწეოდა. ფიქრით ავთანდილი, რომელიც უპირატესად გონების კარნახით მოქმედებს და თავშეკავებულობით გამოირჩევა, ყოველთვის როდი იჩენს სიბრძნეს და საჭირო დაკვირვებას. გავიხსენოთ თუნდაც ეპიზოდი გამოქვაბულში, როცა იგი პირველად შეხვდა ასმათს. „უცხო მოყმის“ ვინაობა რომ გაეგო, ავთანდილი არ მოერიდა დანის აღმართვასაც კი უმწეო ქალზე და მხოლოდ რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ მიაღწია სასურველ შედეგს.

ფრიალ დამახსიათებელია, რომ რუსთაველი სრულებით არ ცდილობს მიჩქმალოს თავისი საყვარელი გმირების ნაკლი, პირიქით, ყოველთვის მოურიდებლად ამხილავს მათ და გმობს, კიცხავს ჩადენილი შეცდომისათვის. დანა რომ აღმართა ასმათზე, პოეტმა აშკარად არ მოუწონა ავთანდილს საქციელი და ასმოს ათქმევინა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი“. მეორე შემთხვევაში რუსთაველმა თვით გაიკიცხა ავთანდილი, როცა მან მოუფიქრებლად, პირდაპირ მიახალა ტარიელს, ნესტანის კვალს მივაგენიო და თავისი აჩქარებით კინაღამ იმსხვერპლა მეგობარი. „მის ამბისა დაყოვნება ველარ გასძლო, აუჩქარა“, შენიშნავს რუსთაველი, მაგრამ ეს შენიშვნაც არ ემარა, თვით ავთანდილს დაავლობინა თავისი საქციელი: „არაა ვქმენო, არ უქნია არცა შმაგსა, არცა რეტსა, წყალი სწრაფით რად დავასხი ცეცხლსა ძნელად დასაშრეტსა“. ამით რუსთაველი თითქმის ხაზს უსვამს, რომ ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი და სხვები მხოლოდ იმდენად პრიან იდეალური გმირები, რამდენადაც ისინი ესწრაფიან კეთილს, ამალღებულს და, ზოგჯერ თუ „სცოდავენ“, თუ მათი საქციელი ყოველთვის არ არის იდეალური, ეს იმიტომ, რომ ისინი აღმანიშნები არიან და არა ანგელოსები.



ასეთი ღრმა ადამიანურობა წითელი ძაფით გასდევს მთელ პოემას და დამაჯერებლობას, იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალას მატებს მას. ჩვენ გვიყვარს რუსთაველის გმირები, რადგან ისინი უპირველეს ყოვლისა ადამიანები არიან და მათთან ერთად ჩვენც ვფიქრობთ, რომ ადამიანს ამალღებს კეთილშობილური მიზნები, ზნეობრივი სიფაქიზე. მხოლოდ სიკეთისათვის ბრძოლაში, ამალღებულის სამსახურში ყალიბდება ნამდვილი ადამიანი, ლამაზდება და მდიდრდება მისი სულიერი სამყარო. რა იქნებოდა, ავთანდილს რომ უყურადღებოდ დავგდო „უცხო მოყმე“. არ წასულეოა მის დასახმარებლად და უკანმოზრუნებულს თინათინთან ერთად ბოლომდე დაეცალა სიყვარულისა და ბედნიერების ფილა? განა ჩვენ შეგვიყვარდებოდა ტარიელი, ნესტანი, ფრიდონი და სხვები, მარტო თავისი თავისთვის რომ ეზრუნათ და განრიდებოდნენ სხვათა ბედნიერებისათვის, სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას? ჩვენ სწორედ იმიტომ გვიტაცებს რუსთაველის გმირები, იმიტომ მიგვაჩნია ისინი მისაბამად, რომ მათთვის ადამიანის ღირსება, მისი უმწიველო სახელი გაცილებით მეტად ღირს, ვიდრე ყოველგვარი მატერიალური განძი, და ჩვენც მათთან ერთად ვიმეორებთ: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“

სახელის მოხვეჭა, თავისთავად ცხადია, არც რუსთაველს და არც ჩვენ თვითმიზნად არ მიგვაჩნია. იგი გულისხმობს მხოლოდ ადამიანის მორალურ სისპეტაკეს, რომელიც ისე ამალღებს და განადიდებს ადამიანს, როგორც არაფერი სხვა. მწვენივრად თქვა ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობში“: „იქნება გევონოს — ვინც კი საქმესა ჰშვრება, სახელისათვის ჰშვრება? არა, სახელი თავის-თავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება“. განა ავთანდილს ან ფრიდონს, ტარიელს რომ ძმურად ეზმარებოდნენ, სახელს ეძებდნენ? ნესტანს რომ დედობრივი მზრუნველი ხელი გაუ-

წოდა, ფატმან-ხათუნი განა სახელზე ფიქრობდა? რა თქმა უნდა, არა. ისინი მხოლოდ კეთილ საქმეს აკეთებდნენ, იმეორებდნენ გულწრფელად და უანგაროდ, სახელი კი მათ კეთილ საქმეს ისევე „თავისთავად ზედ გამოება“, როგორც ხეს ნაყოფი.

მაშასადამე, სახელი — ეს კეთილი საქმეა, მაგრამ კეთილ საქმეს წინ მუდამ ბევრი დაბრკოლება ედობება, ბევრი სიძნელე და გაჭირვება. ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ადამიანს არაფერი ეძლევა უბრძოლველად, უშრომლად და უზრუნველად. „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“, ამბობს რუსთაველი და დასძენს: „მამა ლხინსა ვინ მოიქის პირველ ჭირთა უმუშაკო?“ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, რომლებსაც წილად გვხვდა გადაგვეშალა კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის პირველი ფურცლები და გავგეჟვალა ახალი გზები, ძალიან კარგად ვიცით, თუ რაოდენ დიდი ცხოვრებისეული სიმართლე და სიბრძნეა რუსთაველის ამ ბრწყინვალე აფორიზმებში! ვარდს მუდამ თან ახლავს ეკალი, ლხინს მართლაც ვერვინ ეწევა, თუ მასზე აღრე ჭირი არ გამოსცადა, სადაც კეთილია, იქ ბოროტიცაა. და, რაკი ასეა, ადამიანი აქტიური და უშიშარი მებრძოლი უნდა იყოს. თუ სურს ქვეყნად ბედნიერება დამკვიდრდეს და თვითონაც ბედნიერი იყოს, მან ვაჟკაცურად უნდა გადაიტანოს ყველა გაჭირვება, გამოიჩინოს ხასიათის სიმტკიცე და სულიერი მხნეობა. ჩვენ კანონიერად ვამაყობთ, რომ რუსთაველის გმირები სწორედ ასეთი ადამიანები არიან. „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკრისა“, ამბობენ ისინი და უბადლო მამაცობასა და შეუპოვრობას იჩენენ. ასე იქცევიან არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც. ქაჯეთის ციხეში ჩამწყვდეული ნესტანი, თუმცა ყოველ წუთს სიკვდილს მოეღის, მაინც არ კარგავს მხნეობას, კიდევ მეტი, თავის თავში პოულობს ძალას იფიქროს სხვებზე, თავის მრავალტანჯულ სამშობლოზე. „სიკვდილამდის ვის მოუკლავს

თავი კაცსა მეცნიერსა? რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებაში გონიერსა, ამბობს იგი და ვაჟკაცივით იტანს ყოველგვარ გაჭირვებას.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დიდად ვაფასებთ რუსთაველის გმირთა ამ შესანიშნავ თვისებებს: ბედის შეუღრეგებლობას, ჭირთა თმენას, სხვათა ბედნიერებისათვის თავგანწირვას, მაღალ პასუხისმგებლობას ხალხისა და სამშობლოს წინაშე. და სავსებით ბუნებრივია, რომ ესოდენ გვიყვარს ისინი და გულთა გვწაღია ვიყოთ ისეთივე აქტიური, შეუღრეგელი და მამაცი მებრძოლები, როგორიც რუსთაველის გმირები არიან.

მართალია, რუსთაველის ზოგიერთი გმირი ყოველთვის ვერ იჩენს სულიერ მხნეობას და გამარჯვების იმედსაც კარგავს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი ადამიანები არიან და არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არ არის. რუსთაველი მშვენიერად იცნობდა ადამიანის ბუნებას და იცოდა, რომ შეუძლებელია ადამიანი მუდამ და ყველგან კლდესავით უდრეკი და გაუტეხელი იყოს. ზოგჯერ იქმნება ვითარება, როცა თვით ყველაზე მამაცა და გულადი ვაჟკაცებიც კი იღრბებიან და გამარჯვების რწმენას კარგავენ, მაგრამ ეს მათი ცხოვრების ხანმოკლე, წარმავალი მომენტებია. და სწორედ ამ დროს, ასეთ მომენტში სჭირდება ადამიანს დახმარება, მეგობრის მზრუნველი ხელი, ანუ როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამი, „ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“. აი რატომ აფასებენ ესოდენ დიდად რუსთაველის გმირები მეგობრობას და რატომ მიაჩნიათ, რომ „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.“


რუსთაველის უდიდესი დამსახურებაა, რომ მან იშვიათი მხატვრული ოსტატობითა და იდეური სიღრმით გვიჩვენა მეგობრობის ძალა და მომხიბვლელობა, როგორ ამალღებს და აკეთილშობილებს იგი ადამიანს, რა ბედნიერებაა გყავდეს უანგარო და ერთგული მეგობრები. საუკუნეები, წლები გადის, ხოლო ტარიელის,

ავთანდილისა და ფრიდონის, ავთანდილისა და შერმადინის, ნესტანისა და ასმათის, ასმათისა და ტარიელის მეგობრობის ისევე და ისევე რჩება ნამდვილი მეგობრობის ეტალონად, ისევე და ისევე სამაგალითო და შთამაგონებელია. ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები სიამაყით იმეორებენ სიბრძნით აღსავსე რუსთაველის ბრწყინვალე აფორიზმს: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრღიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხილად“ და ოცნებობენ ისევე მეგობრებზე, როგორიც ტარიელი, ავთანდილი და სხვები არიან.

„ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული მეგობრობა ღრმად ეროვნული, ქართულია და ხშირად ძმადნაფიცობის ფორმით არის წარმოდგენილი. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ასმათი და სხვები არა მარტო მეგობრები, არამედ ძმობილები და დობილებიც არიან. ამავე დროს რუსთაველურ მეგობრობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ შეზღუდულობასთან, იგი ისევე ღრმად ინტერნაციონალურია, როგორც ეროვნული. ტარიელი ინდოელია, ავთანდილი — არაბი, ფრიდონი — მულ-ლაზანზარელი, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს მათ იყვნენ გულითადი მეგობრები, ძმობილებიც კი. ავთანდილი და ფრიდონი პირველი შეხვედრისთანავე ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს და რუსთაველი აღტაცებას არ მალავს, რომ მათ არად ჩაადგეს ეროვნული სხვაობა. „უცხოობა“ და პატივი სცეს მხოლოდ პირად ადამიანურ ღირსებებს. „მოგხვიენეს ერთმანეთისა, უცხოობით არ დაპრიდონ“, წერს რუსთაველი და აღფრთოვანებით დასძენს: „მომაკლ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა, ან გაყიდონ“, ე. ი. მათზე ძვირფასი ამქვეყნად არაფერიაო.

კიდევ მეტი, რუსთაველის გმირთა მეგობრობა არ იზღუდება პირადი ურთიერთობით, პირადი მეგობრობით და სავსებით ბუნებრივად გადადის ხალხთა მშობა-მეგობრობაში, მაღლდება ამ დიდ კეთილშობილურ იდეამდე. ტარიელმა, ავთანდილმა, ფრიდონმა არა მარტო თვი-





თონ მისცეს ერთმანეთს გული გულისათვის და „სიყვარული ზხად და ხიდად“, არამედ თავისი ხალხებიც დააქვეშაურეს და დამეგობრეს. მათ შვერთებული ძალებით იავარპყვეს მიუვალა ქაჯეთის ციხე, გაანადგურეს მტრები და შემუსრეს ბოროტი. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა თანადროულად ჟღერს ხალხთა მეგობრობის იდეა, რომელსაც რუსთაველმა ჯერ კიდევ რვათა წლის წინათ უძღუა მთელი გატაცებითა და შთაგონებით.

მეგობრობასთან ერთად „ვეფხისტყაოსანში“ ისე ყოველმხრივ და ისეთი სწორ-უპოვარი მხატვრული ოსტატობითაა წარმოსახული მეორე დიდი ადამიანური გრძნობა — სიყვარული, რომ სწავულებზე დღემდე ღაბობს და ვერ გადაუწყვეტიათ, რომელ მათგანს ეუთვნის პოემაში პირველობა, წამყვანი ადგილი — სიყვარულსა თუ მეგობრობას. ჩვენთვის, მკითხველებისათვის, ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ ჩვენ გვაოცებს რუსთაველის გმირთა სიყვარულის ზნეობრივი სიწმინდე, მისი სიღრმე და ამაღლებულობა. მათი სიყვარული მთის წყაროსავით სუფთაა და „ძლიერი, ვითარცა სიკვდილი“. მართალია, რუსთაველური სიყვარული ხორციელია, მაგრამ „შეუტყვევლი და არაფერი აქვს საერთო სიძვასთან, „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი: იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“, ამბობს რუსთაველი და საგანგებოდ გვაფრთხილებს, მიჯნურობას, ნამდვილ სიყვარულსა და სიძვას, ე. ი. გარყვნილებას „ნურვინ გარევეთ ერთმანერთსაო“. მეორე მხრივ, რუსთაველური სიყვარული ამაღლებულია, მაგრამ სრულებით არ ჰგავს დასავლურ რაინდულ ან „უხორცო“ პლატონურ სიყვარულს. იგი ჰეშმარიტად ადამიანური გრძნობაა—ხორციელიც და ზნეობრივად სპეტაკიც ერთსა და იმავე დროს. პოეტის რწმენით, სიყვარულში მთავარია მისი სიწმინდე, სიწმინდე კი ყოველთვის ერთგულებას გულისხმობს. ამიტომ მიჯნურობა უნდა „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხედეს, თუნდა ქუში“ და, თუ ამას

ვერ აღწევს, თუ „დღეს ერთი უნდა სხელი სხვა“, ეს უკვე სიყვარული აღარაა, სიძვა და მრუშობაა. „მძულს მრუშობა, ღმერთი სიყვარული, ხევნა, კოცნა, მტლუშობა, მტლუში“. ამბობს რუსთაველი და მიჯნურობას ურჩევს: „ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში“.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები საქმიონებად გვიჩვენებენ ზნეობრივად უმწიკველო სიყვარულის უპირობელობასა და მთელ მომხიბვლელობას. ტარიელისა და ნესტანის, ავთანდილისა და თინათინის სიყვარული იმდენად შეუბღალავი და შეუტყვეველია, რომ დღესაც რჩება იდეალად, სამაგალითოდ და საკვირველი არ არის, თუ ჩვენი დროის ჰაბტუები და ქალიშვილები მისაბამად თვლიან მას ოცნებობენ ისე უყვარდეთ ერთმანეთი, როგორც ტარიელსა და ნესტანს, ავთანდილსა და თინათინს.

ზნეობრივ სიწმინდესთან ერთად რუსთაველური სიყვარული გვხიბლავს თავისი ამაღლებული ხასიათით: იგი ადამიანთა პირადული ურთიერთობით კი არ ისაზღვრება, საზოგადოებრივ ცხოვრებასაც უკვეშორდება და მოწოდებულია ადამიანთა ალფატროვანოს გმირობისა და მამაცობისათვის. ზოოტუე კეთილის გამარჯებრსა და სამშობლოს ბედნიერებისათვის საბრძოლველად. „ბედითი ბნელა, სიკვდილი რა მიჯნურობა გვონია? სჯობს სიყვარულსა უჩვენე საქმენი საგმირონია“, სწერს ახალგაიფურებული ნესტანი ტარიელს და ავლებს დალაშქროს ხატებით, ხელახლა შემოუტყიცოს ინდოეთს ეს ქვეყანა. ბრძოლის წინ ნესტანი ფიცით უმტკიცებს თავის ერთგულებას და ლოცავს ტარიელს, „ღმერთმა ქმნას და გაგიმარჯედესო“. თავის მხრივ, ტარიელიც ეფიცება ნესტანს სიყვარულს და პირობას აძლევს, რომ ომში თავს გამოიჩენს: „აჲ შევება ხატაელთა, მუნ გამოვჩნდე ლომი ქველად“. გამოხინდა კიდევაც და სამშობლოს ერთგული სამსახურით, გაჯკაცობითა და გმირობით დაუმტკიცოს სატრფოს, რომ იგი იყო მისი დიდი სიყვარულის ღირსი. არანაკლები გმირულ

საქმეებით მოიბოვა ავთანდილში მშენი-  
ერი თინათინის გული და სული. თავის  
მხრივ ნესტანმა და თინათინმა აგრეთვე  
ცხადყვეს, რომ ისინი ნამდვილი მიჯნუ-  
რები არიან და დღესაც წარმოადგენენ  
ქვეშარიტი სიყვარულის თავისებურ  
ეტალონს. მათ საესვებით გაამართლეს  
რუსთაველის სიტყვები, რომ სიყვარული  
ამაღლებული გონობაა, რომ „იგია საქმე  
საზეო, მომცემი აღმაფრენათა“.


თავისთავად ცხადია, „ვეფხისტყაოს-  
ნის“ გმირები ამ მხრივაც მისაბამი არიან  
და ჩვენი ეპოქის აღმაინები სამართლია-  
ნად თვლიან თავის თავს მათ მემკვიდ-  
რებად. ჭერ კიდევ ცნობილმა ქართვე-  
ლმა მწერალმა ჯოლა ლომთათიძემ მიუ-  
თითა, რომ რუსთაველური ამაღლებული  
სიყვარული სიცოცხლეს განაგრძობდა  
ქართველ რევოლუციონერთა ახალ თაო-  
ბაში, უბრალო მშრომელ აღამიანებში.  
მოთხრობაში „უბის წიგნიდან“ (1910 წ.)  
ჯოლა ლომთათიძე წერდა: „მე ვუცქე-  
რი იმ სურათებს, რომელთაც ერთ დროს  
უცქეროდა პოეტი რუსთაველი, ვფიქრობ  
იმის გმირებზე. ის ბელნიერი კაცი იყო,  
მისი ნაცნობი ქალი ასე ეუბნებოდა სატ-  
რფოს: „ბედითი ბნედა, სიყვდილი რა  
მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა  
უჩვენო საქმენი საგმირონია...“. მაგრამ  
არც მე ვარ უბედური. მეც მინახავს  
ასეთი ქალები, მე ვიცნობ მათ, მე მეგობ-  
რები მყავს იმათი რიცხვიდან, მაშ, —  
ისინი გმირებს ეძებენ, — ჩემი მეგობრე-  
ბი! ისინი როდი მისტირებენ ომში მიმა-  
ვალ ვაჟკაცებს, კალთაში როდი ეკიდებო-  
ან, არამედ მხარდამხარ უდგებიან, ეხმა-  
რებიან. ისინი იზიარებენ ჭირსა და  
ლხინს, ისინი ცოცხლობენ და კვდებიან  
მათთან ერთად. ხმალით ხელში ნახავ  
იმათ, და ბორკილებით ფეხებზე კიდევ-  
საწერ მაგიდასთან და პაწია ბეშვებთან  
ანაბანით ხელში, ფაბრიკა-ქარხნებში და  
ტრიბუნებზე გადაყვრები მათ.“ შესანი-  
შნავი სტრიქონებია! ისინი ცხადყოფენ,  
რომ ნესტანის გმირული სული არასოდეს  
ჩამკედარა ქართველ ქალში, თაობიდან  
თაობაში გადადიოდა, დღეს კი სამყაროს

გარდამქმნელთა, კომუნიზმის მშენებელ-  
თა კუთვნილება გახდა. და არის — რაღაც  
სიმბოლური იმ ფაქტში, რომ ნესტანმა  
საქართველოს დელაქალას ზეგზავნიდა  
რებს შესანიშნავი მონუმენტი ქართველი  
ქალისა, რომელსაც ცალ ხელში ხმალი,  
ხოლო ცალ ხელში თასი უჭირავს, და  
იმაშიც, რომ მის ავტორს — მოქანდაკე  
ელგუჯა ამაშუელის რუსთაველის სახე-  
ლობის პრემია მიენიჭა!

სიყვარული, რომელსაც რუსთაველმა  
უმღერა, გარდუვალად მოითხოვს ქალის  
ერთგვარ თავისუფლებას; იგი შეუძლებე-  
ლია არსებობდეს იქ, სადაც პატივს არ  
სცემენ ქალს, სადაც იგი უფლებრივად  
არ არის მამაკაცის თანასწორი. რუსთავე-  
ლმა მშენიერად იცოდა, თუ რა დიდი  
ბოროტებაა ქალის აღამიანურ ღირსება-  
თა ყოველგვარი დამცირება, მისი მოქა-  
ლაქობრივი უფლებების ყოველგვარი  
იგნორირება და. პირიქით. პოემაში ეს  
შესანიშნავად ჩანს ორი სახელმწიფოს —  
ინდოეთისა და არაბეთის და ორი ხელმ-  
წიფის — ფარსადანისა და როსტევის  
სახით. ამიტომ რუსთაველის ცნობილი  
აფორიზმი „ლევკი ლომისა სწორია, ძე  
იყოს თუნდა ხედიან“ შეუძლებელია გა-  
ვიგოთ სხვაგვარად, თუ არა როგორც მა-  
მაკაცისა და ქალის თანასწორუფლები-  
ანობის მოთხოვნა. მერედა რა თანადრო-  
ულად ელერს რუსთაველის ეს უბრწყი-  
ნალესი აფორიზმი ჩვენს დღეებში!

არანაყლებ, თუ უფრო მეტად არა, ვა-  
ფასებთ ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ პატრი-  
ოტულ იდეას, სამშობლოსა და საზოგა-  
დოებრივი მოვალეობისადმი ერთგულე-  
ბის იდეებს. რუსთაველი გენიოსი იყო  
და არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ  
აღამიანს, რაკი იგი საზოგადოებაში  
ცხოვრობს, არა აქვს მხოლოდ პირადუ-  
ლი ინტერესები, ნესტანსა და ტარიელს  
ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ფარსადა-  
ნმა მოულოდნელად გადაწყვიტა თავისი  
ქალიშვილი მიეთხოვებინა უცხოელისა-  
თვის და ინდოეთის ტახტიც გადამოე-  
ლისათვის დაეთმო. ეს ბღალადა ინდო-  
ეთის სუვერენიტეტს, ამცირებდა მის





ღირსებას და ბუნებრივია, ტარიელი და ნესტანი აღსდგნენ ფარსადანის უგუნური გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ასე სავსებით ბუნებრივად ნესტანისა და ტარიელის პირადული ინტერესები გადაეხლართა საზოგადოებრივს. და რუსთაველმა ჩვენ მოგვცა იმის შესანიშნავი მაგალითი, თუ როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში ნამდვილი ადამიანი, თავისი ქვეყნის ჰუმანიტარული მოქალაქე. ნესტანმა და ტარიელმა თავის პირადულ ინტერესებზე მაღლა უყაყმანოდ დააყენეს ქვეყნის ინტერესები და მტკიცედ განაცხადეს: „ესე ამბად არ ეგებოს, მე სპარსნი გაგვიხსდნენ“ ნესტანმა მაშინვე დაავალა ტარიელს, დაუყოვნებლივ მიეღო ზომები ინდოეთის გადასარჩენად. რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე ქაჭეთის ციხეში დატყვევებული ნესტანი კვლავ ემუდარება ტარიელს, ჩემს განთავისუფლებას ნუ ცდილობ, წადი, ინდოეთს ილაშქრე. მისი მტრები შემუსრეთ: „წადი, ინდოეთს მიმართე, არ გერა ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეიწირებულსა, ყოვლენით ხელ-აუპყრობელსა“.

და ტარიელმა თავის ძმადნაფიცებთან ერთად მართლაც იხსნა ინდოეთი. როგორც სწორეუბოვარი მეომარი და ბრძენი მხედართმთავარი, იგი ყველაფერს აკეთებდა თავისი საყვარელი სამშობლოსათვის, ხოლო ინდოეთის ტახტის დაპყრობის შემდეგ იქ ისეთი წესრიგი დაამყარა, რომ „თბა და მგელი ერთად სძოვდეს“. სამშობლოს ასეთივე მგზნებარე პატრიოტები არიან ავთანდილი, ფრიდონი და რუსთაველის სხვა გმირები. ფრიად დამახასიათებელია, რომ ცნობილ წერილში „თავის ყმათა თანა“, ტარიელის საძებრად წასვლის წინ, ავთანდილი მათ უპირველეს ყოვლისა სთხოვს ფიზიკურ დაიცვან სახელმწიფოს უშიშროება, არ მისცენ იგი მტრებს: „გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი, მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაუღწევი“. რუსთაველის გმირების პატრიოტული მისწრაფებანი იმდენად წარ-

მატავი და ძლიერია, რომ იგი დღესაც კი აღგვაფრთხილებს და შეგვახსენებს ახალ-ახალი სასახელო ეპოსების ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

რუსთაველის გმირები შეტრფიან ცხოვრებას, თავდავრწყებით უყვართ სიცოცხლე და მტკიცედ სჯერათ, რომ ეს ქვეყანა თავისი „უთვალავი ფერთა“ და მომავალდებელი სილამაზით ადამიანისათვის, მისი ბედნიერებისათვის არსებობს. მაგრამ ნამდვილ ადამიანს როდეს შეეფერება იცხოვროს მხოლოდ თავისთვის, არ იფიქროს სხვებზე. სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ აქვს მაღლი, მხოლოდ მაშინ არის იგი მიმზიდველი, როცა გაციკროვნებულია ამაღლებული იდეებით, შთაგონებულია დიდი მიზნებით.

სიცოცხლისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა დამოკიდებულებასაც სიკვდილისადმი.

სიკვდილი — ეს აუცილებლობაა ყოველი სულიერის გარდუვალი ბოლოა. მაშასადამე, ადამიანს არ უნდა ეშინოდეს სიკვდილისა, არ უნდა ცახცახებდეს მის წინაშე და ყოველ წუთს მზად იყოს თავი გასწიროს. დამოშოს ეს ქვეყანა, თუ კი ამას მოითხოვს სხვათა ბედნიერება, სამშობლოს კეთილდღეობა. „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაზად და მიჩანს მღერად“, ამბობს ავთანდილი და ასე ფიქრობს არა მარტო იგი, არამედ რუსთაველის ყველა გმირი. სიცოცხლე უნდა დათმო მაშინაც, თუ სიკვდილი უფრო საპატიოა, ვიდრე სიცოცხლე, თუ ადამიანს იხსნის შერცხვენისაგან და აამღლებს ხალხის, მეგობრების თვალში. „არამ სიცოცხლე უშენოდ!“, წერს ქაჭეთის ციხეში ჩამწყვდეული ნესტან-დარეჯანი ტარიელს და არწმუნებს, მოგვედები, მაგრამ თავს არ შევირცხვენო.

მთელი თავისი მოსაზრებანი სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პარობლემავზე, რუსთაველმა შეაჯამა საოცრად ლაკონიურ და ბრძნულ აფორიზმში: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სხე-

ლოვანი!“ ვის შეუძლია უარყოს, რომ გენიალური პოეტის ეს უკვდავი აფორიზმი დღესაც რჩება ყველა პატიოსანი ადამიანის დევიზად დედამიწაზე?!

ასევე თანადროულად ჟღერს რუსთაველის სხვა აფორიზმებიც, სხვა იდეებიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველს ბადალი არ მოეპოვება მთელ მსოფლიო პოეზიაში, როგორც აფორიზმის ოსტატი. მისი ყველა აფორიზმი საოცრად მოკლე, სხარტი და უაღრესად პოეტურია, ამასთან ცხოვრებისეული გამოცდილებითა და სიბრძნით დატვირთული. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ თითქმის ყველა მათგანი ხალხში გადავიდა და ხალხის საკუთრება გახდა.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დიდად ვაფასებთ რუსთაველის აფორიზმებს, რადგან ისინი მოგვიწოდებენ ვიყოთ პატიოსანი, გულმართალი, მამაცი და აქტიური მოღვაწეები, ვემსახუროთ დიად ამაღლებულ იდეალებს. ბრძენი პოეტი

დღესაც გვირჩევს, გვარიგებდნენ როგორ ავიცდინოთ შეცდომები ცხოვრებაში, როგორ ვიცხოვროთ და ვიშროოდეთ. გვხუჭუნა შეიძლება არ აღფრთოვანდეს, არ მიჰყვე რუსთაველს, როცა ეცნობი მის თუნდაც ისეთ აფორიზმებს, როგორიცაა: „რაი ათასა აჯობებს, თუ გამორჩევი შექმნილია“, „არას გარგებს სწავლელება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარებ, რა ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?“. „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“, „ყოკასა შიგან რაცა სდგას. იგივე წარმოსდინების“ და სხვ. ოდესღაც დიდი ფრანგი მწერალი ონორე ბალზაკი შენიშნავდა: „წიგნი სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ მაშინ, თუ იგი თავისი სულისკვეთებით მომავლისაკენ ისწრაფის“. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ერთი ასეთი წიგნია და ამიტომ მარადიულად იცოცხლებს, მისი დიდება არასოდეს გაფერმკრთალდება და მუდამ ღარჩება როგორც ადამიანის გენიის გვირგვინი.





აპელე ჯორბენაძე

## „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრობრივი თავისებურებანი

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მეტად ორიგინალური. თავისთავადი ნაწარმოებია, რაც გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას ქმნის ერთი შეხედვით ისეთი თითქოს არაართული საკითხის გადაწყვეტაშიც კი, როგორც მისი ჟანრობრივი ფორმაა.

მკვლევართა ერთი ნაწილი (ალ. ბარამიძე, გ. ნადირაძე) იზიარებს გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელ ჰუგო ჰუბერტის აზრს და „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს რაინდული რომანის (რიტერრომან) ანალოგიურ ჟანრად.

გ. ნადირაძე წერს: „ვეფხისტყაოსანი“ რაინდული რომანია, თავის მნიშვნელოვან ნაწილში რაინდული სიყვარულის, სიქველის, ზნეობის, ცხოვრების წესისა და გემოვნების გამოხატულება“ (რუსთაველის ესთეტიკა, 1958, გვ. 104).

ჩვენი აზრით, ეს სწორი არ არის. რუსთაველის გენიალური პოემა არ ჰგავს რაინდულ რომანს არც იდეური შინაარსით და არც ფორმით.

რაინდული რომანის საფუძველი კურტუაზიული სიყვარულია, რომელიც მკიდრად უკავშირდება ამ ჟანრს

აუცილებელ ელემენტს — ფანტასტიკას. მისი მთავარი კომპოზიციური ხერხია რაინდის თავგადასავალი (ფათერაქები, ავანტიურები). ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ რაინდად ნაკურთხ გმირს დაემტკიცებინა თავისი რაინდობა. ამასთან რაინდები უფრო ფათერაქების საძებრად მიდიან, ვიდრე სატრფოს დასახსნელად.

„ვეფხისტყაოსანში“ სულ სხვა სურათია. რუსთაველური სიყვარული კურტუაზიული კი არა, სავსებით მიწიერი, ამქვეყნიური გრძნობაა. ამავე დროს პოეტს ტარიელი ფათერაქების საძებრად როდი მიჰყავს, არამედ გვიჩვენებს თავისი გმირის, როგორც ადამიანის, ტრაგედიას, ადამიანისა, რომელიც ძალით დააშორეს თავის საყვარელ არსებას. არც ნესტან-დარეჯანს იტაცებს ჯაღპარი ან უცნობი რაინდი; იგი პიროვნების შემოქმადი ფეოდალური საზოგადოების მსხვერპლი ხდება. ნესტან-დარეჯანი მამამ სასტიკად დასაჯა იმის გამო, რომ გაბედა და მშობლების დაუთხოხავად აირჩია საქმრო.

რაინდული რომანების წარმოშობა და განვითარება დაკავშირებული იყო რაინ-

დღულ იდეალებთან და ესთეტიკურ-ეთიკურ ნორმებთან, რომლებიც ფეოდალურ სასახლეებში მუშავდებოდა. ისინი, როგორც წესი, გასართობად იქმნებოდნენ და სრულიად არ ჰქონდათ თანამედროვეობის ასახვის პრეტენზია. რაინდული რომანის ცენტრში რაინდობის იდეალი იდგა, მაგრამ ეს იდეალი წარმოდგენილი იყო როგორც აბსოლუტური, უცვლელი კატეგორია, რომელიც არ ექვემდებარებოდა არც ეპოქისა და არც ეროვნულ თავისებურებებს და რომელიც მისაბამი ნიმუში უნდა ყოფილიყო ყველა ეროვნებისა და ყველა ქვეყნის რაინდებისათვის.

რაინდული რომანის იდეალები ძალიან შორს იდგა ხალხის ინტერესებისაგან. ამიტომაც ჯერ კიდევ XIV საუკუნიდან დაიწყო რაინდულ რომანთა პაროდირება, ხოლო ბიურგერული ლიტერატურა პირდაპირ დასცინოდა რაინდულ იდეალებს („მელას რომანი“, ფაბლიოები, შეანკები). ზედმეტია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორი მომაცდინებელი ლახვარი ჩასცა სერვანტესმა თავისი „დონ კიხოტი“ რაინდულ რომანებს. რაინდული რომანი სისულელედ, ზღაპრად მიაჩნდათ როგორც აღორძინების, ისე შემდგომი პერიოდის მწერლებსა და მოაზროვნეებს (ვოლტერი, სმოლტი, ლომონოსოვი და სხვ.)

აღორძინების ეპოქაში, განსაკუთრებით კი სერვანტესის „დონ კიხოტის“ შემდეგ რაინდული რომანები მივიწყებას მიეცა. მათ ჩვენი დროისათვის ნაქლები ესთეტიკური მნიშვნელობა აქვთ. ერთადერთი რაინდული რომანი, რომელიც დღესაც იქცევს ყურადღებას, არის „ტრისტანი და იზოლდა“ და ისიც გვჩვენავს არა იმდენად რაინდული განცდით, რამდენადაც სიყვარულის ადამიანური გრძნობით, თანაც ამ რომანს ეიცნობთ ყოველზეუ (1900 წ.). ღრმად ფილოსოფიური, პუშკინიზმით გამსჭვალული „ვეფხისტყაოსანი“ კი დღითიდღე სულ უფრო და უფრო იპყრობს ფართო მკითხველთა ყურადღებას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში,

არამედ მის ჟარგონს გარეთაც. მარტოსით კოსმოპოლიტური რაინდული რომანის საწინააღმდეგოდ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ღრმად ეროვნული ნაწარმოები, ფესვები ხალხში აქვს გადგმული. იგი მთელი ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრის გამოხატველია და ისევე უბერებელია, როგორც „ილიადა“ და „ოდისეა“, როგორც „ღვთაებრივი კოქედია“ და „ფაუსტი“.

შემადადამე, „ვეფხისტყაოსანი“ თავისი ჟანრობრივი თავისებურებებით არ განეკუთვნება „ძველ რომანს“, კერძოდ, რაინდულ რომანს.

ამ ბოლო დროს გამოითქვა აზრი, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ რომანია თანამედროვე გაგებით. მაგალითად, ნ. ნათაძე წერს: „ვეფხისტყაოსანი“... რომანია ამ სიტყვის ყველაზე უკომპრომისო თანამედროვე აზრით, ე. ი. ნაწარმოები, რომელიც მანამდე ცნობილი ჟანრების ტერმინებით რომ ვთქვათ, ტრადიციისა და ეპოსის თვისებებს აერთიანებს... მაშ რას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“ როგორც რომანი? პირველ რიგში საკითხი, რა თქმა უნდა, პერსონაჟებს შეეხება. რუსთაველს ადამიანი აინტერესებს არა მარტო როგორც საინტერესო ამბის მოქმედი პირი, არამედ როგორც ადამიანი თავისთავად, როგორც რეალური ადამიანი მისი რთული ბუნებითა და მკვეთრი, სხვა ტიპის ადამიანთაგან განსხვავებული ვინაობით“ („ცისკარი“, 1963 წ., № 8).

მკვლევარს მახვილი თვალით დაუნახავს „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, მაგრამ ეს რომანის ერთ-ერთი, მაგრამ არა გადამწყვეტი ნიშან-თვისებაა, იგი საერთოდ ახასიათებს რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურას. „ადამიანი თავისთავად, როგორც რეალური ადამიანი“ აინტერესებს არა მარტო რომანს. ასევეა ისეთ ნაწარმოებებშიც, როგორიცაა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, ბოკაჩოს ნოველები, შექსპირის ტრაგედიები და სხვ. თავისთავად ცხადია, რომ ფრანკესა და რიშინი და ჰამლეტი ისეთივე „რეალური ადამიანებია“, როგორიც, ვთქვათ, ემა ბოვარი ან ანდრეი



ბოლკონსკი, შორენა ან თარაშ ემხვარი. რომანის, როგორც ჟანრის, წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ევროპულ რენესანსთან, ხოლო რომანის პირველ ნიმუშს წარმოადგენს სერვანტესის „დონ კიხოტი“. ევროპული რომანი ესპანურ პიკარესკულ ჟანრსა და „დონ კიხოტზე“ დაყრდნობით განვითარებას იწყებს XVII საუკუნეში, ხოლო საბოლოოდ ყალიბდება XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამის შემდეგ ყველა ქვეყნის (მათ შორის ქართული) რომანი ვითარდება ევროპული რომანის უშუალო ზეგავლენით.

რომანმა, როგორც ჟანრმა, თავის თავში ორგანულად შეიწოვა ეპოსის, დრამისა და ლირიკის ელემენტები. ამიტომ რომანის ელემენტების პოვნა შეიძლება რომელიც გნებავთ ჟანრში, მით უმეტეს ისეთ ეპიკურ პოემაში, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ ცალკეული, თითო-ორთა ელემენტი რომანს ვერ ქმნის. რომანი — ეს არის ამ ჟანრის ყველა ძირითადი ნიშან-თვისების ერთიანობა და არა ცალკეულ ელემენტთა კონგლომერატი.

„ვეფხისტყაოსანში“ რომანის ელემენტად მიაჩნიათ რეალიზმი, რომელიც მართლაც არის რომანის ერთ-ერთი გადამწყვეტი ნიშან-თვისება. მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ მაინც ვერ მივიჩნევთ თანამედროვე გაგებით წმინდა რეალისტურ ნაწარმოებად, „უაღრესად რეალისტურ ნაწარმოებად“, როგორც ამას პროფ. კ. კეკელიძე ფიქრობდა (ეტიუდები... ტ. IV, გვ. 35). „ვეფხისტყაოსანი“ არსებითად რეალისტურ ნაწარმოებად მიაჩნია აგრეთვე პროფ. ალ. ბარამიძეს. იგი წერს: „რუსთაველი თავისუფალ გასაქანს აძლევს თავის მდიდარსა და ლალ ფანტაზიას, მაგრამ მისი მხატვრული აზროვნება მაინც ყოველთვის სინამდვილეს, რეალისტურ საფუძვლებს ემყარება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალისტურია რუსთაველის მხატვრული ასახვის მეთოდი... ვეფხისტყაოსანი რეალისტური ნაწარმოებია, მაგრამ მას აღბეჭდილი აქვს ავტორის რომანტიკული განწყობილების ელ-

ფერიც“ (შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 172-173). მაგრამ ცნობილია, რომ რეალისტურ ნაწარმოებში მწერლის სინამდვილეს „პროზით“. სწორედ ისეთ ამაღლებულ, რომანტიკულ პოემაში, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“, რუსთაველს შეეძლო თავისუფალი გასაქანი მიეცა თავისი „მდიდარი და ლალი ფანტაზიისათვის“. რაც შეეხება დებულებას, რომ რუსთაველი „ყოველთვის სინამდვილეს, რეალისტურ საფუძვლებს ემყარება“, ეს საერთოდ მხატვრული აზროვნების ნიშან-თვისებაა. ვერ შეხვდებით ხელოვნებაში, კერძოდ, ლიტერატურაში უაღრესად ფანტასტიკურ სახესაც კი, რომელიც სინამდვილეს არ ემყარებოდეს. ხალხური ზღაპრების საფუძველიც ხომ სინამდვილეა.

ისეთი გენიალური პოეტის მხატვრული მეთოდი, როგორიც რუსთაველია, რომელიმე ერთი მხატვრული მეთოდის ვიწრო საზომით არ გაიზომება. რუსთაველის მხატვრული მეთოდი — ეს არის ამაღლებულის, იდეალურისა და რეალურის ორგანული შერწყმა, ესაა მეთოდი, რომელიც, შეიძლება ითქვას, მართო რუსთაველისთვისა და მამახსიათებელი და რომელიც არაერთგზის გახდება სერიოზული კვლევის საგანი.

რომანის ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა „პროზაული“ სინამდვილის ასახვა, საზოგადოების, ადამიანის ცხოვრების სურათების ჩვენება რეალური, გაუზიადებელი მასშტაბით. „ვეფხისტყაოსანი“ კი დაწერილია რომანტიკული (ამაღლებულის გაგებით) სულისკვეთებით და ცხოვრებისეული სიმართლე გადმოცემულია არა უშუალოდ სინამდვილის რეალური მასშტაბის შენარჩუნებით, არამედ ფსიქოლოგიურად გამართლებული მხატვრული სიმართლით. წინააღმდეგ შემთხვევაში პოემა დაკარგავდა თავის მხატვრულ ღირსებას. რომანში წარმოუდგენელია, რომ ცამეტი წლის ბიჭი ზოცავდეს ლომებს („ვით კატას ვხოცდი ლომსა“), ან უკვე დავაჟიკებუ-

ლი გნოლებივით მუსკას ავლებდეს მტრებს, ხელით ახრბოდეს ვეფხს და ა. შ. მაგრამ ჩვენს წინაშე ხომ არაჩვეულებრივი, იდეალური გმირია. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის გმირობა არც უხერხულობას ქმნის და არც მკითხველის გაოცებას იწვევს. პირიქით, მთელი პოემის სულისკვთების მიხედვით ტარიელი სწორედ ასეთი უნდა იყოს და არა სხვაგვარი. ფეხმარდი აქილევსი ისეთი უნდა იყოს, როგორიც პოპეეროსმა და ხატა და არა სხვაგვარი. ამ გმირების პროზაულ სინამდვილემდე დაყვანა და ცხოვრებისეული რეალური მასშტაბი მათ ყოველგვარ მიმზიდველობას დაუკარგავდა. ისინი რეალისტურია მხოლოდ იმ აზრით, რომ მათში შეერწყმულია სინამდვილე და იდეალი.

როცა ხაზს უსვამენ „ვეფხისტყაოსნის“ რეალისტურობას, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ გაჭართა ყოფის რეალისტური აღწერა, განსაკუთრებით კი ფატმანის რეალისტური სახე. მაგრამ რუსთაველს ვაჭარი არ შეეძლო აეყვანა თავისი იდეალური გმირების რანგამდე. პოემის ამდლებული პათოსის ფონზე ვაჭართა წრე (უსენი, ფატმანი) უფრო „პროზაული“, ამდენად უფრო რეალისტურია თანამედროვე გაგებით. მაგრამ განა ვაჭართა წრე, ფატმანის რეალისტური სახე გადამწყვეტია „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკისათვის?

„ვეფხისტყაოსანს“ ახასიათებს ეპიკური პოემის ყველა ნიშან-თვისება. როგორც ყველა ეპიკურ-საგმირო პოემაში, „ვეფხისტყაოსანშიც“ მოქმედი პირები გმირები არიან ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. „რუსთაველის ესთეტიკური თვალთახედვის ცენტრშიც რომ ადამიანი დგას, ადამიანი ღვთაებასავით განდიდებული, უკვე სრულიად უღავოდ გვიჩვენება“, წერს პროფ. გ. ჯიბლაძე. პოეტმა ისე აიდეალეს თავის გმირებს, რომ მნათობებს აღარებს. თინათინი „მზეს წუნობს“; ფატმანსა და უსენს მშვენიერი ნესტანი პირველი ნახვისას ღვთაებრივ არსებად წარმოუდგათ: სამი ძმა ხატელ-

ნი ტარიელზე ამბობენ: „ჯერ მისი მსგავსი შევენება კაცთაგან უნახავია“; აქილეს დილიც „სააროსა მკობი, ნაზარდუნი მკობი“ სი მზიხა და მთვარისა“ ასევე მშვენიერია. რუსთაველი ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს ლომს აღარებს. რომანისათვის კი უცხო იყო გმირული იდეალი. სწორედ ამ იდეალის გამო დასცინა ასე მწარედ მსოფლიოში პირველმა რომანისტმა სერგანტესმა თავის გმირს, პროზაულ სინამდვილეში გმირული მანით შეპყრობილ დონ კისოტს.

ლიტერატურული ტერმინი — „გმირი“ სწორედ კლასიკური ეპოსიდან მომდინარეობს. ამიტომაც ამ ტერმინმა რომანში ანაქრონიზმის ხასიათი მიიღო. რომანის მოქმედი პირები სინამდვილეში ანტიგმირები ან ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებიც ვერ სცილდებიან პროზაულ სინამდვილეს. როგორც ცნობილია, სოციალისტურ რეალიზმამდე რომანმა ფაქტიურად ვერ გადაწყვიტა დადებითი გმირის პრობლემა. ამდენად გასაკვირი არაა, რომ თეკერეიმ თავის რომანს „ამაოების ბაზარი“ ქვესათაურად უწოდა „უგმირო რომანი“.

რომანის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია (განსაკუთრებით მის პირველ ნიმუშებში) ცხოვრების სიმახინჯის, ცხოვრების „პროზის“ ჩვენება. უპირისპირებს რა ერთმანეთს ეპოსს და რომანს, ჰეგელი რომანის — „თანამედროვე ბურჟუაზიული ეპოპის“ შესახებ წერს: „რომანი თანამედროვე მნიშვნელობით გულისხმობს პროზაულად მოწესრიგებულ სინამდვილეს“. მასში ესთეტიკური იდეალი ხორციელდება შემოვლითი გზით, ცხოვრების სიმახინჯის ჩვენებისა და უარყოფის გზით. „ვეფხისტყაოსანში“ კი ესთეტიკური იდეალი ნაჩვენებია პირდაპირ, გაიდეალიზებულ, ჰიპერბოლიზებულ მხატვრულ სახეთა სისტემით.

განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ზღვარი ეპიკურ პოემასა და რომანს შორის დროისა და ადგილის კატეგორიაში. რომანს ახასიათებს დროისა და ადგილის კონკრეტულობა, ხოლო ეპიკურ პოემას —



არა. ეპიკური პოემისა და რომანის დროის განსხვავების კლასიკური განმარტება ჯერ კიდევ შპილჰაგენმა მოგვცა. იგი წერდა: „ღიახ, ეს „ოდესღაც“ უკვე აღარ არის ზოგადი ცნება, გაურკვეველი საერთო წარმოდგენა, როგორც ეს ძველი ხალხებისათვის „მათი „ოდესღაც“ ან ბავშვებისათვის მათი ზღაპრების „იყო და არა იყო რა“ წარმოადგენდა. პირიქით: ჩვენ შეგვიძლია დროის მსვლელობაში ჩამოეთვალათ და გამოვყოთ საუკუნეთა მონაკვეთები, და არა მარტო საუკუნეთა, არამედ თვით ცალკეულ წელთა მონაკვეთები; რომანისტს არ შეუძლია აზრად მოუვიდეს დაწეროს რომანი, რომლის მოქმედება ოდესღაც ხდებოდა“ (სტატიები რომანის თეორიისა და ტექნიკის შესახებ, ლაიპციგი, 1893, გვ. 57. გერმ. ენაზე).

რუსთაველი ასე იწყებს ამბავს: „იყო არაბეთს როსტევან“. „იყო არაბეთს როსტევან“ ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისის „იყო და არა იყო რას“ გამოძახილია. მაგრამ „იყო არაბეთს როსტევან“ დამატებულობის ერთ-ერთი მხატვრული ხერხია. მსმენელმა და მკითხველმა უნდა „დაიჯეროს“, რომ ეს ამბავი „ნამდვილად“ იყო. მაგრამ „იყო არაბეთს როსტევან“ — ეს არ არის დროის კონკრეტული მითითება. იყო, მაგრამ როდის? პოემაში ასახულია ფეოდალური ეპოქა, ე. ი. მთელი ეპოქა, მთელი საუკუნეები და არა ისტორიული განვითარების რომელიმე ეტაპი. ამრიგად, ეპიკურ პოემაში დრო მთელ საუკუნეთა, ეპოქათა მომცველია, რაც მეტად ხელსაყრელია ისეთი მარადიულ მორალურ ჭეშმარიტებათა საჩვენებლად, როგორიცაა, მაგალითად, მეგობრობა, სიყვარული, ძმადნაფიცობა, პატრიოტიზმი, კეთილშობილება, ერთგულება და სხვ. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანში“ ეპიკურ ნორმათა მთელ კრებულსაა გადაშლილი.

რომანში მოქმედების დრო მეტად კონკრეტულია, ზუსტადაც კი არის აღნიშნული მოქმედების წელი ან წლები. ისეთი რომანი-ეპოპეა, როგორიცაა ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ ძირითადად ეხება 1812 წლის სამამულო ომს, ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გეორგი“ — ორიოდ წლის ამბავს გადმოგვცემს, ხაროვის „ობლომოვის“, რომელსაც ლეონოვის ათწიგნიანი რომანის „ქან კრისტოფის“ მოქმედების დრო მოიცავს ერთი ადამიანის ცხოვრების პერიოდს და ა. შ. გიორგი წერეთლის რომანი „პირველი ნაბიჯი“ ასახავს საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრის პირველ წლებს და ა. შ.

ეპიკური პოემისაგან განსხვავებით, რომანში მაშინვე მოიკიდა ფეხი ისტორიზმმა. რომანში აწმყო, თანამედროვეობა განხილულია როგორც წარსულის შედეგი, ამბები ერთმანეთს ისტორიულად, მიზეზობრივად უკავშირდება. სწორედ ამ ისტორიზმის გამო იყო, რომ ბელინსკი ასე დიდად აფასებდა პირველ რომანისტს სერვანტესს და განსაკუთრებით ისტორიული რომანის შემქმნელს ვალტერ სკოტს.

კლასიკური ტიპის ეპიკური პოემა დიდ სივრცეს მოიცავს. მისი მოქმედების არე საყოველთაოა. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ყოფნა უწყვეტ არაბეთში, ინდოეთში, მულაზანზარში, გულანშარში, ხატაეთში და სხვაგან. ტარიელის საძებრად წასულმა ავთანდილმა მთელი ქვეყანა მოიარა, „ასრე რომე ცასა ქვეშე არ დაურჩა“ უნახავი. ეპიკურ რომანტიკულ-პეროიკულ პოემაში სხვანაირად წარმოდგენილია. ისეთი ტიპის გმირებისათვის, როგორიც არიან ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, ერთი ქვეყანა, ერთი კონკრეტული ადგილი მეტად ვიწროა. შემოზღუდულია. რომანში ასე არ არის. მოქმედება იქ ხდება ძირითადად ერთ ქვეყანაში, ერთ კონკრეტულ ქალაქში და სოფელშიც კი. „დონ კიხოტის“ მოქმედება ძირითადად მიმდინარეობს ლამაზის მიდამოებში, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისა“ — პარიზში, „კოლხეთის ცისკრისა“ — იმერეთში და ა. შ.

კლასიკური ტიპის ეპიკურ პოემაში ასახვის ცენტრს წარმოადგენს სახელმწიფო, ხალხი, მთელი კაცობრიობა, მაგრამ კაცობრიობა, სხვადასხვა ერთი ერთი ხალ-



ნის ყოფითა და ამ ხალხის ენითაა ასახული. „...ეპიკური პოემა სრულყოფილი სახით არის თხრობით შესრულებული პოეტური ასახვა კაცობრიობისა იმდენად, რამდენადაც ეს ასახვა რომელიმე ხალხის ფარგლებში ნაჩვენებია მოცემულ ენაზე“, წერს შპილჰაგენი (იქვე, გვ. 50). ასეა, კერძოდ, „ილიადაში“, სადაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლები (ბერძენები, ტროელები) ერთი ხალხის (ბერძენი ხალხის) ყოფას გამოხატავენ და ამ ხალხის ენით (ბერძნული ენით) ლაპარაკობენ. ასევეა „ვეფხისტყაოსანში“, სადაც სხვადასხვა ერის პერსონაჟებში (არაბი, ინდოელი, ხატაელი და სხვ.) ქართველი ხალხია წარმოდგენილი, სადაც არაბი, ინდოელი, ხატაელი და სხვა მშვენიერი ქართული ენით ლაპარაკობენ. „ილიადაში“ ჰომეროსი გამოხატავს მთელი საბერძნეთის ინტერესებს; ვირგილიუსის „ენეიდაში“ ასახულია რომის იმპერიის საერთო მიდრეკილება, დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ — იტალია და საერთოდ მთელი კაცობრიობა და ა. შ. „ვეფხისტყაოსანშიც“ გაუცხოებული ფაბულის საშუალებით ნაჩვენებია მთელი საქართველო. მთელი ქართველი ხალხი თავისი კეთილშობილებით და გმირული სულისკვეთებით. ასეთი პოემები ამავე დროს უაღრესად ეროვნული ხასიათისაა, მაგრამ როგორც ბელინსკი აღნიშნავს, „უღრესად ნაციონალური ეპოპეა ამავე დროს მხატვრული ქმნილებაც რომ იყვეს, — აუცილებელია, რომ ინდივიდუალური ცხოვრების ფორმა შეიცავდეს თავის თავში იდეებს, რომლებიც შემდეგ მთელი კაცობრიობის კუთვნილება გახდნენ“. მართლაც, ჩვენი ეროვნული სიამაყე „ვეფხისტყაოსანი“ დღეს ზომ თავისი ჰუმანიტარული იდეებით მთელი კაცობრიობის საკუთრება გახდა.

კლასიკური ეპიკური პოემების გმირები განსახიერებენ მთელ საზოგადოებას, თავის თავში კონცენტრირებული სახით ატარებენ ამ საზოგადოების ძირითად, არსებით ნიშნებს. ასეთია აქილევსი, აგამემნონი, ჰექტორი და ოდისეისი, ასე-


თია ტარიელი, ავთანდილი, თინათინი და სხვები, თუმცა ძალზე განზოგადებული ბუნებიც კი ისინი არ კარგავენ გრძელყოფიერებას.

როგორც ჰეროცულ-ეპიკური პოემა, „ვეფხისტყაოსანი“ ოპტიმისტური ნაწარმოებია („ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“). იგი ქაჯეთის ციხის აღებით, ბედნიერებით, ჰარმონიითა და საყოველთაო სიკეთით მთავრდება. რაც შეეხება რომანს, სოციალისტურ რეალიზმამდე მასში, ჩვეულებრივ, პესიმისტური, ტრაგიკული განწყობილება ჭარბობდა და, თუ ზოგიერთი რომანი (მაგალითად, დიკენსისა) მაინც ოპტიმისტურად მთავრდება, ესაა ყალბი ბედნიერი დასასრული (ჰები ენდ), რის წინააღმდეგაც ასე სასტიკად ილაშქრებდა თეკერეი.

კლასიკური ეპიკური პოემა იყენებდა უკვე მზა სიუჟეტს, ან ტრადიციულ ფაბულას. „ვეფხისტყაოსანშიც“ ტრადიციულია მიჯნურის ველად გაჭრა, ზღვაში კიდობნით გადადგება და სხვ. ტრადიციულია აგრეთვე ზოგიერთი, თუმცა არააშენილი შენელოვანი ზღაპრული ელემენტი (დევეები, მათი სიმდიდრე, ჯადოსნური აბჯანები და მახვილი, გრანეული ზანგი მონა და ა. შ.). ასევე ტრადიციულია ქალ-ვაჟის ერთად გაზრდა, მათი სიყვარული (ეისი და რამინი, ლეილა და მაჯნუნი, თაჰირი და ზოჰრა; „ვეფხისტყაოსანში“ — ნესტან-დარეჯანი და ტარიელი), მკადნაფიცობის მოტივი (ამირანი, ბადრი იამანის ძე; ზიგფრიდი და გუნტერი; როლანდი და ოლივიე; ილია და სვიატოვორი; „ვეფხისტყაოსანში“ — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი).

ტრადიციულია „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულური აგებულებაც: ამას თვით რუსთაველიც აღნიშნავს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“, ე. ი. სპარსული ეპიკური პოემის სქემის მიხედვით აგებული ნაწარმოები. მაგრამ სხვაგან რუსთაველი პირდაპირ ამბობს: „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“, ე. ი. პოეტურად შეთხ-





ზულ-შემგობილი. აქ უკვე ლიტერატურულ მისტიფიკაციასთან გვაქვს საქმე. მზა სიუჟეტის პოეტური დამუშავება იმდენად დაკანონებული და აუცილებელი იყო ებოსისათვის, რომ რუსთაველმა საპიროდ მიიჩნია მიემართა ლიტერატურული მისტიფიკაციისათვის, თითქმის იგი მიჰყვებოდა ძველ ტრადიციას: იყენებდა მზა სიუჟეტს, მზა ამბავს. მაგრამ რუსთაველმა, როგორც ცნობილია, თვითონ შექმნა ორიგინალური სიუჟეტი, თუმცა პოემის კომპოზიციის სქემა მაინც დაცვა. ეპიკოსი პოეტებისაგან განსხვავებით, რომანისტებმა მაშინვე გაწყვიტეს კავშირი ტრადიციონალიზმთან და ქმნიდნენ საესეებით ორიგინალურ სიუჟეტებს. რომანის ცნობილი თეორეტიკოსი აიან უატი წერს: „ლიტერატურული ტრადიციონალიზმი პირველად და საბოლოოდ უარყო რომანმა, რომლის უპირველესი კრიტერიუმი იყო მართებული ჩვენება ინდივიდუალური ცხოვრების გამოცდილებისა, რომელიც მუდამ განუყოფელი და თავისთავად ახალი იყო. ამიტომაც რომანი იყო იმ კულტურის ლოგიკური ლიტერატურული გამოხატვის საშუალება, რომელმაც უკანასკნელ საუკუნეებში მიიღო ორიგინალურობის, სიბრტყის უპრეცედენტო ხასიათი. და მართლაც, მას კარგი სახელწოდება\* შეუღწიეს“ (კრებული რომანის ახსნის ცდები, სან-ფრანცისკო, 1961, გვ. 59, ინგლ. ენაზე).

რომანში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეალისტურ დეტალს, ხოლო ეპიკურ პოემაში ოსტატურად მონახული რამდენიმე შტრიხით იქმნება მხატვრული სურათი. თუ რომანი თავისი რეალისტური დეტალებით რეგმბრანდტის ფართო ტილოებს მოგვაგონებს, ეპიკური პოემის, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთა გამა რუბენსის ფუნჯის მოსმას ჰგავს. თუ რომანისტები, ვთქვათ, ლიტერატურული პორტრეტის შექმნას მთელ გვერდებს უთმობენ, ეპიკურ პოემაში,

კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე გენიალურად მონახული შტრიხი მთელი გმირის დასამახსოვრებელი სახე (თუნდაც წყლის პირის ანგარიშით) ან ლის სკულპტურული პორტრეტი). ამიტომაც კლასიკური პოემა საუკეთესო მასალას აძლევს ილუსტრატორებს (მაგალითად, დორეს ილუსტრაციები დანტეს „ჯოჯოხეთისა“ და მილტონის „დაკარგული სამოთხისა“). „ვეფხისტყაოსანზე“ შექმნილია საუკეთესო ილუსტრაციები. რაც შეეხება რომანს, კერძოდ, ქართულ რომანს, ვერ იპოვით მის ასე თუ ისე მნიშვნელოვან ილუსტრაციას („ღონ კიხოტის“, „მკედარი სულეზისა“ და ზოგიერთი თითო-ორი რომანის ილუსტრაციები იშვიათ გამოხატვის წარმოადგენენ).

რუსთაველი კმარაის ფსიქოლოგიურ განცდებს ვაზვიადებულად გადმოგვცემს, რაც ამ პოემის ერთ-ერთი მხატვრული ხერხია. პოემის გმირება ხშირად ღვრიან ცრემლს, ქვითინებენ, გული მისდით, რითაც პოეტი მკვეთრად უსვამს ხაზს მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მაგრამ ეს უხერხულობას არ ქმნის და ორგანულად ერწყმის რომანტიკულ-პეროიკულ პოემას, ხოლო რომანში ასეთი პასაჟები ყალბ პათეტიკურ, სენტიმენტალურ ხასიათს მიიღებდა.

„ვეფხისტყაოსანში“ სიმბოლიკას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი ამ ამალეზული პოემის ერთ-ერთი არსებითი მხატვრული ხერხია. რომანიც სიმბოლიკას ვერ ითავიკის.

რომანის გმირები მოქნილი, დინამიკური არიან. მაშინ როცა კლასიკურ პოემაში გმირის ძირითადი ნიშან-თვისებანი თავიდანვე მოცემული, რომანში მოქმედ პერსონაჟთა ხასიათი იცვლება, ვითარდება.

„ვეფხისტყაოსანი“ უიშვიათესი აფორისტული პოემაა, რომელიც ორგანულად ითავსებს მრავალმხრივ სიბრტყეს, რასაც რომანი, სქელტანიანაც კი, ვერ იტანს. აფორიზმები რომანში მშრალი სენტეციების სახეს მიიღებდა.

\* ინგლისურად რომანს ჰქვია „ნოველ“, რაც ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას „ახალი“.

დასასრულ, როცა „ვეფხისტყაოსანს“ რომანად მიიჩნევენ, ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ მის სამიჯნურო ხასიათს, ე. ი. სიყვარულის თემას. მაგრამ ჯერ ერთი, „ვეფხისტყაოსნის“ ყურადღების ცენტრშია ადამიანის ბუნება, ადამიანის ცხოვრების ფილოსოფიური გააზრება და არა სიყვარულის თემა. გარდა ამისა, სიყვარული არაა რომანის გადამწყვეტი ნიშანთვისება. ვინ იცის, რამდენი რომანია, რომლებშიც სიყვარულის თემა საერთოდ გვერდავლილია. ამასთან ერთად იგი არ არის რომანის პრიორიტეტი. სიყვარული ასევე უხვად და ღრმად არის ნაჩვენები ლირიკაში (ეგრეთწოდებული სატრფიალო ლირიკა), დრამაში (თუნდაც „რომეო და ჯულიეტა“).

ზოგიერთ მკვლევარს (პროფ. ალ. ბარამიძე) „ვეფხისტყაოსანი“ ლექსად დაწერილ რომანად მიაჩნია. არც ესაა სწორი. ეპიკური პოემა მუდამ ამოღებული ხასიათისაა, რომანი კი თავისებურ „შუალედურ ქანოს“ წარმოადგენს, სადაც ამოღებული, პოეტური შერწყმული პროზაულიან, ოპტიმიზმი — ტრაგიკულ განწყობილებასთან. რომანი ასახავს პროზაულ სინამდვილეს, რასაც ვერ დაუმეგებს ეპიკური პოემა. ბელინსკი წერს: „...უახლოეს პოეზიაში არის ეპოსის განსაკუთრებული გვარი, რომელიც არ უშეგებს ცხოვრების პროზას, რომელიც მოიცავს ცხოვრების მხოლოდ პოეტურ, იდეალურ მომენტს და რომლის შინაარსს შეადგენენ თანამედროვე კაცობრიობის უღრმესი მსოფლგაგება და ზნეობრივი

საკითხები. ეპოსის მხოლოდ ამ გავრცელებით შეინარჩუნა „პოემის“ სახელწოდება“.

ლექსად დაწერილი რომანი ეგვიპტეში ელენას წარმოადგენს. იგი, შეიძლება ითქვას, გადახვევაა ნორმიდან. ლექსად დაწერილ რომანთა რიგს, საერთოდ, მიაკუთვნებენ ბაირონის „დონ ჟუანს“, პუშკინის „ევგენი ონეგინს“, მიცკევიჩის „პან თადეუსს“, მაგრამ ისინი ფაქტობრივად პოემა-რომანებია მხოლოდ იმიტომ, რომ მათში ნაჩვენებია ცხოვრების პროზა. ბელინსკი თავის დროზე აღნიშნავდა: „პოემა ხატავს იდეალურ სინამდვილეს და ეხება ცხოვრებას მის უმაღლეს მომენტებში... რომანი და მოთხრობა, პირიქით, ასახვენ ცხოვრებას მთელი მისი პროზაული სინამდვილით, მიუხედავად იმისა, ლექსად თუ პროზად იწერებიან ისინი“.

მაშასადამე, ქანობრივი თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი“ „მძლავრი ლირიზმით გამსჭვალული ეპიკურ-რომანტიკული პოემაა“ (ალ. ბარამიძე), რომელშიც იგრძნობა ფართო რეალისტური ნაკადი. იგი არც რაინდული რომანია, არც ლექსად დაწერილი რომანი, არც რომანი-პოემა და არც რომანი თანამედროვე გაგებით. „ვეფხისტყაოსანი“ დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა“ და გოეთეს „ფაუსტის“ ტიპის ღრმად ფილოსოფიური, მხატვრულ მარგალიტებად ჩამოსხმული, მეტად თავისთავადი ნაწარმოებია, რომელიც ატარებს ეპიკური პოემის ყველა ნიშანთვისებას.





## შოთა ჩიჯავაძე

# „ვეფხისტყაოსნის“ ორი სიწყვის განმარტებისათვის

სატრფოს დავალებით ავთანდილმა თითქმის სამი წელი ეძებდა „უცხო მოყმე“, მაგრამ მნახველი ვერ იპოვა. გულ-გატეხილმა რაინდმა თავს უთხრა:

„ყოვლინ არსნი ცათ ქვეშეთნი  
ერთობ სრულად მომივლიან,  
მაგრამ საქმე მის კაცისა  
ვერა სადა შემიგვიან“ (192).  
შემდეგ მთიდან ჩამოსული და წყალ-ტყეებ გამოვლილი ავთანდილი  
„მინდორს აცოვებს ტაიქსა  
შეუღრენით მონაწყენია,  
გასცუდებოდეს მკლავნი და  
მისნი სიამაყენია“ (193).

რას უნდა აღნიშნავდეს სიტყვა „შეუღრენა“? ამ სიტყვას პირველად თეიმურაზ ბაგრატიონმა მიაქცია ყურადღება და ასეთი ახსნა მოგვცა: „შეუღრენა უალს ალაგს შამბნარსა და ლერწმოვანში, შესვლასა და მას უვლელს ადგილში სიარულის ხმას ეწოდების, შენეღრევეც ესე-ვითარი ლექსი არის, ქართულია“ (თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის გამოც. 1961, გვ. 33). როგორც ვხედავთ, თეიმურაზის აზრით, „შეუღრენა“ და „შენეღრევა“

უვალ ადგილას სიარულის დროს გამოცემული ხმაა. ბროსესა და ჩუბინაშვილის განმარტებით, „შეუღრენა“ არის „ხმა ეტლის სვლისა“ (ვეფხისტყაოსანი, 1841 წ.). პროფ. აკ. შანიძე ამ სიტყვას „შრილოს“ აღმნიშვნელად თვლის, მაგრამ განმარტებას კითხვითი ნიშნით ტოვებს (ვეფხისტყაოსანი, 1957).

ჩვენი დავიკრებებით, ზემომოტანილ განმარტებათა გაზიარებას ხელს უშლის მრავალი გარემოება. პოემაში სიტყვა „შეუღრენა“ უნდა ნიშნავდეს „შენეღრევის“. ნეღრევა სულხან ორბელიანის განმარტებით არის „მძინარის კაცის რყევა“, ხოლო ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით „ნეღრევა (განეღრევა) არის „შეძრვა წყალთა და სხვათა ნოტიოთა...“ (ქართული ლექსიკონი, 1961, აღ. ლლონტის გამოც.). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გვითხულობთ: „ნეღრევა... ძლიერად ნძრევა, რყევა, ჯანჯღარი... ნძრევა, რხევა, ქანება, ტოკება, განძრევა (ტ. V, 1958). „შენეღრეული“ არის... ხშირი ხმარების გამო დაზიანებული, „დანეღრეული“ (იქ-ვე, ტ. VII, 1962).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ორი წლისა და ათი თვის განმავლობაში ცხენით სწრაფი მგზავრობის გა-

მო ავთანდილი მართლაც დანჯღრეული და რამდენადმე დაჟუსტებულიც უნდა ყოფილიყო, აგრეთვე პოეტის სიტყვებს: ღიდახანს მგზავრობისა და მოზანმიღღწელობის გამო ავთანდილს „გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია“ (ე. ი. მკვლავები დაღლილობით მოღუწნებოდა, მოშლოდა, სიამაყეც გაქრობოდა), მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „შეუღრენით მონაწყენი“ შენჯღრევით მოწყენილს და შეწუხებულს უნდა აღნიშნავდეს.

\* \* \*

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „მრუში“, დ. კარიკაშვილის განმარტებით, აღნიშნავს „დაქორწინებულს და სხვასთან კავშირის მექონს“ (ვეფხისტყაოსანი, 1903 1920 წლების გამოცემა). „მრუში“ თითქმის ასეთივე მნიშვნელობის სიტყვად არის მიჩნეული „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემაშიც: „მრუში ცოლ-ქმრის წესის გამტეხი კაცი“. იუსტიინე აბულაძის მიხედვით, „მრუში“ არის „მეძავი, ბოზი“ (ვეფხისტყაოსანი, 1951 წ.).

როგორც ქვემოთ ვნახავთ, პირველი და მეორე განმარტება დასაზუსტებელია. სიტყვა „მრუში“, რომელიც პოემაში ერთხელ გვხვდება, პოეტს გამოყენებული

აქვს მიჯნურის ანუ დასაქორწინებელი ვაჟის ან ქალის დახასიათებისას. „ხამს მიჯნური ხანიერი, ზიპლმირთქა არ მეძავი, ბილწი, მრუში“ (25)

აქ, როგორც კონტექსტიდან ჩანს, სიტყვა „მრუში“ ვერ იქნება დაქორწინებული და სხვასთან სქესობრივ კავშირში მყოფის და ვერც „ცოლ-ქმრობის წესის გამტეხი“ კაცის აღმნიშვნელი, ვინაიდან რუსთველური მიჯნურობის წესი დაუქორწინებელი ადამიანების ზნეობრივ იდეალს წარმოადგენს.

მოცემული ტაეპისათვის შეუფერებელი ჩანს სულხან ორბელიანის განმარტება: „მრუში ნაბოზვარი“ ან „მეუღლიანის ბოზობა“. ჩვენთვის არც ნ. ჩუბინაშვილისეული გაგება გამოდგება: „მრუშება ცოდვა წინააღმდეგომი შვიდი მცნებისა“ — „მემრუშე კაცი ცოლოსანი, გინა ქალი ქმროსანი, მცოდველი წინააღმდეგად 7 მცნებისა...“ (ქართული ლექსიკონი, 1961, აღ. ლლონტის გამოც.).

ზემოაღნიშნულის გამო მართებული ჩანს იუსტ. აბულაძის განმარტება, რომლითაც „მრუში“ პოემაში არის „მეძავის“, ბოზის“ აღმნიშვნელი სიტყვა.



## ვასილ კიკნაძე

### ჩუსთაველი და „მესამე ლექსი“...

ქართული თეატრის ისტორიაში გამოჩენილი ადგილი უჭირავს რუსთაველსა და მის პოემას. მან ბევრი რამ შემოგვინახა იმჟამინდელი თეატრალური ხელოვნების შესახებ. რუსთაველის აზრით, „მესამე ლექსი“ კარგი არს სანადიმოდ, საშლერელად... „მღერა“ კი ძველად თამაშობას, გართობას ნიშნავდა, როგორც ეს შენიშნა ი. ჭავჭავაძემ. „მღერა“ უმთავრესად ნადიმობის დროს იმართებოდა.

„შინა დაესხედით ნადიმად  
მას დღესა მინდორს რებულნი,  
მომღერალნი და მუტრბინი  
არ იყვნენ სულ-დაღებულნი“.

რაც შეეხება „სააშოოდ, სალაღობოდ, „ამხანაგთა სათრეველად“ თქმულს, იგი კომედიის ქანრზე მიგვანიშნებს. ეს აგრეთვე იმას „უნდა ნიშნავდეს, რომ ძველი ქართული დრამატული პოეზია ამ დროს შეიცავდა სატრფიალო გამართობი და სატირული ხასიათის ნაწარმოებებს“ (დ. ჭანელიძე).

ეს მეტად ძვირფასი ცნობაა. რუსთაველი გვაუწყებს, რომ იმჟამად თურმე დრამატურგიის სხვადასხვა ქანრებიც არსებობდა, ე. ი. დიფერენცირებული და ქანრულად გარკვეული იყო სახიობის ლიტერატურული საფუძველი. „სააშოკო“, „სალაღობო“ და „ამხანაგთა სათრე-

ველი“ თანამედროვე ტერმინოლოგიით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: სატრფიალო („სააშოკო“), ვოდევილი, ფარსი („სალაღობო“) და სატირული კომედია („ამხანაგთა სათრეველი“).

ის ფაქტი, რომ „მესამე ლექსი“ კარგია ხან სანადიმოდ, ხან სააშოკოდ, სალაღობოდ და „ამხანაგთა სათრეველად“ გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია რუსთაველი იცნობდა პლატონისა და არისტოტელეს აზრს კომედიის შესახებ. ამ ეჭვს აძლიერებს მეთორმეტე საუკუნის მოწარმე მწერლის (ე. ი. დრამატურგის) ბისტეკას არსებობის ფაქტიც. თეიმურაზ მეორე პოემაში „გაბაასება რუსთველთან“ დიდ პოეტს ათქმევინებს:

„ვინ არის ჩემზე მეტყველი? —

შეტყობა, დია, მსურისა:

თუ ვინმე დიდი კაცია,

მიგდება უნდა ყურისა,

არამც რომ დამკვრელი იყოს

სტვირისა, ჭიანურისა,

ზედან ამღერდეს შაირებს

ნათქვამს ბისტეკას ცრუისა“.

ე. ი. გამოდის, რომ გენიალური პოეტი ბისტეკას „მესამე ლექსის“ მწერლად მიიჩნევდა, მისი ნაწარმოებები კი სტვირისა და ჭიანურის დამკვრელთათვის განკუთვნილად მიაჩნდა. თუ რა იგულის-

ზმენა სიტყვაში „ბისტეცას ცრუისა“, ეფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ გასარკვევია. მაგრამ არ არის გამოირიცხული შესაძლებლობა, რომ აქაც კომედის პლატონისეულ განმარტებასთან გვაქვს საქმე. პლატონის აზრით, კომედია რყვნის ადამიანებს, იგი ხელს უწყობს ქვენა გრძნობების გაღვიძებასა და სიცრუეს. არისტოტელეს განმარტებით, „კომედია არის ასახვა მდარე ადამიანებისა“.

ძნელია კატეგორიული მტკიცება, მაგრამ რუსთაველის „საშეიკო“, „ამხანაგთა სათრეველსა“ და კომედიის ჟანრის ძველ პერძულ (ე. ი. პლატონი, არისტოტელე) განმარტებას შორის რაღაც შინაგანი მსგავსება რომ შეინიშნება ეს ამკარაა.

ნადიმობის ქამს სახიობის წარმოდგენა იმჟამად მეტად გავრცელებული ფორმა ყოფილა. ეს ჩანს სხვა წყაროებიდანაც. XIII საუკუნის ისტორიკოსი, ავტორი შრომისა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი“ წერს: „დაიდევს ნადიმი... იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მუშაითთა... იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა, ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგუარათა სახეობათა, მუტრბითა და მოთამაშეთა განწყობილობათა“.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ „მესამე ლექსი“, რომელიც დრამატულ პოეზიას გულისხმობს, ძირითადად თეატრალიზებული წარმოდგენისათვის იყო განკუთვნილი. თანამედროვე ტერმინოლოგიით რუსთაველი „მესამე ლექსში“ დრამატურგიას გულისხმობს. იგი პირდაპირ მიანიშნებს მის ორმაგ ბუნებას. „სახიობა“, როგორც ლექსი (ე. ი. ლიტერატურული ნაწარმოები) და როგორც თეატრალური ფაქტორი.

„მესამე ლექსის“ ანუ დრამატურგიული ქანრის არსებობის ფაქტი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჩვენს წინაშე იშლება კვლევაძიების ფართო პორიზონტი. შესასწავლია ის გარემოებაც, თუ რა შინაგანი კანონზომიერება არსებობდა უძველესი (V-IX საუკ.) პერიოდისა

და რუსთაველის ეპოქის თეატრალურ კულტურებს შორის, იყო თუ არა მათ შორის რაიმე უწყვეტი, ერთიანობა? ზოგადი მხატვრული პრინციპები, ან რა გზებით, რა ფორმებით ვითარდებოდნენ ისინი. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსთაველის ეპოქაში, როცა ასე აყვავდა ქართული კულტურა, სახიობა იქნებ მაინც თვალს ვერ უსწორებდა ერის საერთო შემოქმედებით წარმატებებს?


არის სხვა საფიქრალეო, მაგრამ ის მასალები, რომლებიც ჩვენ ხელთ გვაქვს, ზოგად წარმოდგენას მაინც იძლევა რუსთაველის ეპოქის თეატრალურ ცხოვრებაზე.

რუსთაველის პოემიდან ირკვევა, რომ XII-XIII საუკუნეთა საქართველოში დიდად განვითარებული ყოფილა სახიობა. ისევე, როგორც მაღალი კულტურის ყოველ ქვეყანაში, ჩვენშიც სახიობის განვითარებას ორი წყარო ასახრდებდა. პირველი იყო ეროვნული, თვითმყოფადი სანახაობითი ხელთაყვანა და მეორე — დიდი კულტურული ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყანასთან.

ქართველი ხალხი ყოველთვის ორგანულად ითვისებდა და ეროვნულ ნიადაგზე აფუძნებდა ყველაფერ იმას, რაც ახლობელი იყო მის სულთან. მისი ინტერესების მიღმა არ დარჩენილა იმჟამად განვითარებული კულტურული ქვეყნების არც ერთი დიდი მიღწევა. ასე იყო სავროთოდ, ასე იყო თეატრის სფეროშიც. სწორედ ამას გვიდასტურებს რუსთაველის პოემა. პოემაში პირდაპირ წერს: „მოვიდანი შესამკობლად ქვეყნით ყოვლინ სულთერნი, ინდო-არაბ-საბერძენით. მაშრეყით და მადრბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიბტლნი“.

როგორც ვხედავთ, თურმე საქართველოში მოდიოდნენ რუსეთისა და ეგვიპტის, საბერძნეთისა და ინდოეთის, არაბეთისა და საფრანგეთის სახიობნი. ეს ხომ თითქმის მთელი იმჟამინდელი მსოფლიოა! ამ ქვეყნებში მიდიოდნენ საქართველოდანაც „სავასტროლოდ“. მოგზაური ქართული დასის მეთაურის ვინაობა თი-





თქმის გარკვეულია. იგი უნდა იყოს პოეტის ბისტია. როგორც ჩანს, მის დასს მოუვლია ინდოეთი, სპარსეთი, ჩინეთი, იტალია, საბერძნეთი და სხვა მრავალი ქვეყანა. ასე, რომ XII-XIII საუკუნეების საქართველო დიდი თეატრალური ცხოვრების ასპარეზი ყოფილა.

სანახაობითი კულტურა უფრო იქ ვითარდებოდა, სადაც მეტა იყო სავაზრო ურთიერთობა, ქალაქის განვითარების კვალობაზე იზრდებოდა სახიობისადმი ინტერესი. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ვაჭრები უტილიტარული დანიშნულებისათვის იყენებდნენ სახიობის ხელოვნებას და ხელისუფლებას თავიანთ სათქმელს თეატრალიზებულად მოახსენებდნენ. ვაჭართუხუცესის მეუღლე ფატმანი ასე უამბობს ავთანდილს თავის გატაცებას სახიობობით:

„ბაღსა შიგან თამაშობად  
სალამოსა გავე ემსა,  
გავიტანე ხათუნები,  
მათი ჰმევა ჩემგან ხმასა;  
მომყვებოდეს მომღერალნი,  
იტყოდინ ტკიბლსა ხმასა;  
ვიმღერდი და ვყმაწვილობდი,  
ვიცვალედი რიდე-თმასა“.

„ვეფხისტყაოსანში“ არის სხვა ბევრი მაგალითი, რომელიც საესეებით გარკვევით მიუთითებს იქამინდელი თეატრალური ცხოვრების ხასიათზე. ჩვენ პოემიდან ვგებულობთ, თუ რა ადგილი ეჭირა რუსთაველის გმირთა ცხოვრებაში სახიობას.

მრავალგვარია თეატრალური პრობლემები, რომელიც რუსთაველის ეპოქასა და „ვეფხისტყაოსანს“ უკავშირდება. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მომენტი შევნიშნეთ „მესამე ლექსისა“ და რუსთაველის ეპოქის სახიობის ურთიერთობიდან. ამჯერად ასევე ზოგადი შტრიხებით უნდა აღვნიშნოთ, თუ რამ შეუწყო ხელი პოემის ხალხში გავრცელებას.

„ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად ვრცელდებოდა მრავალი საუკუნის მანძილზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოემის თავისი მხატვრული კითხვის ოსტატები ჰყავდა. ისინი უბრალო ადამიანები იყვნენ, მაგ-

რამ დიდებულად გრძნობდნენ ნაწარმოების პოეტურ ბუნებას. სწორედ ამიტომ თქმის წარმოუდგენელი იქნებოდა სქელტანიანი პოემის გაზეპირება. „ვეფხისტყაოსანი“ ურთულესი და უმშვენიერესი მუსიკალური ქმნილებაა. იგი შეიცავს სახეების, რითმების, მეტაფორების დაუსრულებელ მრავალფეროვნებას. ასეთი ღრმა პოეტური განცდისა და მხატვრული წყობის ნაწარმოების საჯარო კითხვა ბუნებრივად გულისხმობს შემსრულებლის მხატვრულ აღლოსა და წარმოსახვის ნიჭს.

იმის გამო, რომ გარკვეულ საუკუნეებში პოემა მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებობდა, აუცილებელი გახდა ხშირად მოწყობილიყო მართალი ლიტერატურული საღამოები. ამგვარ შეკრებებზე გამოჩენილი მკითხველები პოპულარული ხდებოდნენ და შემდეგ სხვა ადგილებზეც იწვევდნენ „სავასტროლოდ“. პოემა იკითხებოდა სხვადასხვა ფორმით. იყო წამღერებული სტილი, ზეგნული პათეტიკური და რეალისტური. იგი სრულდებოდა სიმღერის აკომპანემენტით და ზოგჯერ გარკვეული პლასტიკური გამოსახულებითაც. „ვეფხისტყაოსანი“ ყველგან იყო: ლიტერატურულ საღამოებზე, ქორწილში, გლოვაში, სოფლის თავყრილობაში, მოკლედ — „ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწყხს“.

ცნობილი პოეტი თეიმურაზ მეორე თავის ნაწარმოებში „სარკე თქმულთა“ აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების წარმოთქმა წესად ყოფილა ქორწილში. იგი წერს:

„მეფის წასვლის დროს ასტეონ  
ხმა-მაღლად თვით მაყრულები,  
თქვან ძუნასიბი ლექსები

ბრძენის რუსთაველისგან თქმულები“.

რუსთაველის სტრიქონები წარმოითქმოდა ქორწილის დასასრულსაც. ცალკეული სტროფები სრულდებოდა სიმღერით. მხატვრული კითხვის ეს ფორმები

ერთგვარი თეატრალური წარმოდგენის როლს ასრულებდა.

ი. მეუნარგიას ცნობით, „ქართულის ოსტატები იყვნენ სოლომონ დოდაშვილი და ეგრემ ალექსიევ-მესხიევი... ეკითხულობდით „ვეფხისტყაოსანს“ და მთელი ადგილები ზეპირად ვიცოდით“. პ. იოსელიანის სიტყვით, გიორგი მეცამეტეს „უყვარდა დიდად კითხვა „ვეფხისტყაოსნისა“ ზეპირად. ძველ დროთა ჩვეულებრივითა წესითა, წარმოთქმიდა ოცდაათსა და მეტთა მუხლთა, ეტრფოდა ლექსთაწყობასა და გულმხიარულებითა გასაგონად, ტკბილად აბოლოებდა მათას ტკბილთა ნათქვამთა“.

პ. იოსელიანის ცნობა მრავალმხრივ არის საყურადღებო. იგი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ძველითგანვე ყოფილა პოემის ხმამაღალი კითხვის ტრადიცია. აქ იმასაც ვგებულობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების თუ სტრიქონების ბოლო „ტკბილად“ (ალბათ, სიმღერით!) წარმოითქმოდა.

პოემის ზეპირად წარმოთქმა, ბუნებრივია, გარკვეულ აუდიტორიას გულისხმობდა, ე. ი. მსმენელთა გარკვეული ჯგუფისათვის იყო განკუთვნილი. ფუ გავითვალისწინებთ ნაწარმოებთა ხმამაღლა კითხვის მესხეთში დიდხანს შემორჩენილ ტრადიციებს, შეიძლება დავასკვნათ: „ვეფხისტყაოსანი“ მეტწილად რომანტიკულად ზეაწეულ სტილში (პროფესიულ ლიტერატურულ წრეებში კი უფრო სადად!) იკითხებოდა. ამის საბაზს იძლევა თვით ნაწარმოების ბუნება, პოემის სიუჟეტის სათავგადასავლო ხასიათი.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის ისტორია არ შეიძლება სტატისტიკურ ფორმაში წარმოვიდგინოთ. მას გარკვეული ევოლუცია უნდა განეცადა. ალბათ, სხვაგვარი იყო ხმამაღალი კითხვა და მსმენელი აუდიტორია XIV-XV საუკუნეებში და სხვაგვარი — მომდევნო პერიოდში. ეს გასაგებიც არის. მაგალითად, სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა პოემის ზეპირად დასწავლას და მის საჯარო კითხვას ქართული პროფესიული თეატრის შექმნამდე. სწორედ ამ ფაქტზე

მიანიშნებს ი. მეუნარგიაც. იგი წერს: „ჯერ კიდევ შორს არ წავსულხართ იმ დროიდან, როცა „ვეფხისტყაოსანს“ თუ შეიძლება ასე ითქვას, <sup>ქართულში</sup> ~~ვეფხისტყაოსანს~~ ჩვენში და არა კითხულობდნენ. ახალმა დრომ კითხვა დაუწყო „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ გალობის ტონი ჯერ კიდევ არ გამოწელებია და არც შეიძლება გამოწელებს ამ კითხვას, რადგანაც თვით ქართული ლექსთა წყობა დამყარებულია მხოლოდ მარცვლის რაოდენობაზე, როგორც ფრანგულში და არა ხმის აწევაზე, როგორც რუსულში. ქართული ლექსის კითხვას ბუნებრივად მონოტონურად შეიქმნენ; მაგრამ რამდენიც შეიძლება დადიანი „ვეფხისტყაოსანს“ მშვენიერად კითხულობს“. აქ მთავარი გრიგოლ დადიანის მშვენიერი კითხვა როდია. მეკლევარი პოემის კითხვის ევოლუციაზე მიუთითებს და ცდილობს ერთგვარად განმარტოს, თუ რატომ ღლიწებდნენ პოემას. ვფიქრობთ, რომ კითხვის ასეთი მანერა მართო ქართული ლექსის ბუნებით არ აიხსნება. აქ უმთავრესი როლი მაინც პოემის ხასიათს ენიჭება.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე ი. ჭავჭავაძეს პოემის ნაწყვეტები წაუკითხავს: „იმას მშვენიერი ხმა აქვს, მშვენიერი გამოთქმა, ჩინებული კილო. მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმების ელერა ისმის... რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას ეპოვებ ილია ჭავჭავაძის კითხვაში, როდესაც ის თავის ხმის სასიამოვნო ტემბრით შემოსიანებს: „მაგას ნუ ბრძანებ მეფეო, ჯერ ვარდი არ დავკნობია“... რაღაც გრძნობისათვის სასიამოვნო რამ ისმის ამ ხმაში, ამ ერის გულიდამ გამოსულ სიტყვების გამეორებაში“ (ი. მეუნარგია).

საუკუნეთა მანძილზე ისე პოპულარული გახდა პოემა, ისე ღრმად შეიჭრა ხალხის სულში, რომ არ შეიძლებოდა მას ერთგვარი შემფოთება არ გამოეწვია სამღვდლოებაში. აქაც წერეთლის აზრით, „ტყუილად კი არ სჩიოდა ძველად სამღვდლოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანასო. საუკუნეების განმავლობაში დიდი და პა-



ტარა ყველა იმას ესწრაფოდა: კაცები ტარიელ-ავთანდილს ჰბაძადნენ, ქალები ნესტან-თინათინობას სცილობდნენ, მეფე და კარისკაცები როსტევან-სოგრატობაზე სდებდნენ თავს, მსახურნი შერამდინობდნენ და მოახლე-გამდლები კი ასმათობას სჩემობდნენ.

ასე დიდი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ზემოქმედებითი ძალა. ამ საქმეში ცოტა როდი გააკეთა პოემის ხალხთან მიტანის საშუალებებმა (ზეპირსიტყვიანობამ, მხატვრულმა კითხვამ, თეატრალიზებულმა წარმოდგენამ).

ქართულ თეატრს დიდხანს აღლევებდა „ვეფხისტყაოსანი“. თეატრის მესვეურთა ოცნება იყო დრამატურგიულ ფორმაში ეხილათ ტარიელის, ნესტანის, ავთანდილის, თინათინისა და ფრიდონის ცოცხალი სახეები. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი და შეტად სერიოზული ნაბიჯი გადადგა ო. ბაგრატიონმა. მან 1853 წელს მოსკოვში გამოსცა ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“. პიესა ძირითადად რუსთაველის პოემის სიუჟეტურ ხაზს მისდევს, მაგრამ ბაგრატიონის ნაწარმოებში შეყვანილია ახალი პერსონაჟებიც. პიესაში სიმბოლურად არის მინიშნებული საქართველოს იმჟამინდელი ხედვრი. როგორც ჩანს, ეს გარემოება შეუნიშნავს ცენზურას. ანტითეოთმპყრობელურ ტენდენციებში შენიშნული ბაგრატიონის პიესა საგანგებო ზედამხედველობის საგანი გამხდარა. 1853 წელს, წიგნის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ორიოდე თვის შემდეგ, განათლების სამინისტრომ პეტერბურგის საცენზორო კომიტეტს მისწერა: „1853 წელს მოსკოვში ქართულ ენაზე გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ გამო საჭირო შეიქნა ვიცოდეთ: ცენზორებმა იციან თუ არა ყველა იმ წიგნის ენა, რომელთა დაბეჭდვის ნებართვასაც ისინი იძლევიან, თუ არა, მაშინ გვაცნობეთ, ვის ჰქონდა მინდობილი ამ პიესის განხილვა, რომლის მოწონებაზეც მათ ხელი მოაწერეს!“

პიესა სწრაფად გავრცელდა და გარკვეული პოპულარობაც მოიპოვა.

ო. ბაგრატიონი ყოველი აქტის დასა-

წყისში აღნიშნავს, თუ რა ხასიათისადგილი, სადაც გმირთა მოქმედება და გაიშალს. მინიშნებულია მხატვრულ-დეკორატიული გადაწყვეტაც. მაგალითად, მეორე მოქმედების შესახებ ავტორი წერს: „თეატრი წარმოადგენს მშვენიერ მდებარეობას, ველსა, ბორცვთა და ტყეთა: თავს ორი კარავი: ერთი როსტენ და ერთი თინათინისათვის, შორს წყლის პირს ზის ტარიელ ვეფხის ტყავით მოსილი“. ბევრის მოქმედება ის ფაქტიც, რომ მოქმედებას ქორო იწყებს გალობით. ეს ელემენტი ანტიკური თეატრიდან უნდა იყოს შემოტანილი.

მესამე მოქმედება „წარმოადგენს კლდეთა და შესაზართა ადგილთა და კლდეში გამოკვეთილს ტარიელის ქვაბს, წინ მდინარესა, შაბნარსა და დიდროვან ხეთა“. სცენის ამ მონახაზში მინიშნებულია ველად გაქრილი ტარიელის სულიერი განწყობილება.

ო. ბაგრატიონი პიესაში ხშირად საკუთარი ლექსით ცდილობს გმირთა სულიერი განცდის გადმოცემას. იგი გრძნობს, რომ მისი სტრიქონები არღვევენ ხოლმე რუსთაველის პოეტურ სამყაროს (მას შეაქვს პროზაული ელემენტები), მაგრამ ამას იგი სცენური მოქმედებით ასაბუთებს. ზოგჯერ თეატრალიზმის საზიანოდ კომპრომისზეც მიდის და შექანიურობად ინეროებს რუსთაველის პოემის გრცელ ნაწყვეტებს. იგი წერს: „ეს კარგი არ არის ტრადედიში, მაგრამ ვინაიდან მშვენიერი ლექსები არის და ქართველთ დიდათ მოსწონთ, ამისათვის ჩაეწერე“.

ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობდა ო. ბაგრატიონი, თეატრალურ ხელოვნებაში გამოირჩეოდა კლასიციზტური სტილის წარმატებით. „ვეფხისტყაოსანში“ დაცული არ არის კლასიციზტური დრამის კანონები. ეს თითქმის შეუძლებელიც იყო. როგორც ჩანს, არც პიესის ავტორს ჰქონია დიდი სურვილი მკაცრად დაეცვა კლასიციზტური დრამის ნორმები.

„ვეფხისტყაოსნის“ თემას მიმართა ქართული პროფესიული თეატრის ფუძე-

მდებელმა გ. ერისთავმა. მართალია, მის, როგორც დრამატურგის, ბუნებასთან უფრო ახლოს იყო კომედია, მაგრამ არც „გეფხისტყაოსნისათვის“ შეეძლო გვერდის ავლა. თეატრის მეთაური ბევრს ფიქრობდა ტრაგედიისა და დრამის ჟანრის განვითარებაზეც. გ. ერისთავის პიესაში უფრო მეტი დაკვირვებით არის შენიშნული გენიალური პოემის სცენური მხარეები. ამას თვითონ ო. ბაგრატიონიც აღნიშნავს.

რუსთაველი და მისი პოემა გამოჩნდა XIX საუკუნის ქართულ თეატრშიც. კ. მესხმა დაწერა პიესა „რუსთაველი“, რომელიც იმდენად დიდი წარმატებით იდგმებოდა, რომ ხშირად დ. ერისთავის „სამშობლოს“ აღარებდნენ. „ცნობის ფურცელის“ აზრით, კ. მესხის „რუსთაველის“ ზეგავლენა მეტი იყო „სამშობლოს“ 1903 წელს „ივერიამ“ ხოტბა შე-

ასხა კ. მესხის პიესას და რუსთაველის როლის შემსრულებელს (კოტე მესხი თამაშობდა!). „შოთა ამ პიესასთან უფრო ახლოს იყო, — თავგამოდებულ შემსრულებელად, თავისი დროისათვის კარგად განათლებულ რეფორმატორად არის გამოყვანილი“.

რუსთაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, აგრეთვე მისი პოემის თემაზე შეიქმნა არაერთი დრამატული ნაწარმოები (შ. დადიანი, ა. ფაღვა, ნ. შიუკაშვილი, დ. კასრაძე, გ. ყურული, ი. ვაკელი და სხვ.), მაგრამ ქართულ სცენაზე ჩვენ ჯერ არ გვინახავს დიდი პოეტის ღირსების საკადრისი სპექტაკლი. შესაძლოა ეს არც არის გასაკვირი, იმდენად რთულია მისი დადგმა. მაგრამ პოემა მუდამ დარჩება ქართული თეატრის ფიქრის, იმედისა და შთაგონების წყაროდ.





## ალექსანდრა ჩავლიუშვილი

### ჩავლიუშვილის ავტორიზებული აკადემიური შემოქმედებაში

სახელგანთქმული მწერლების, ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებებში ხშირად ვხვდებით ბრძნულ გამონათქვამებს, რასაც ავტორიზმებს უწოდებენ. ავტორიზმი სხარტი, მოკვეთილი გამოთქმა და მწერლის ღრმა ჭკუისა და გამოცდილების მაჩვენებელია. კარგი ავტორიზმი მკითხველს ზრდის და ამაღლებს იდეურად და ზნეობრივად.

უხვად გვხვდება ავტორიზმი უ. შექსპირის, ვ. ჰიუგოს, ლ. ტოლსტოის, მ. გორკის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვათა შემოქმედებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. პროფ. ალ. ბარამიძე წერს: „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ როგორც ავტორიზმებით მოაზროვნე პოეტს რუსთაველს ტოლი არ ჰყავს მსოფლიო ლიტერატურაში“. შოთას

ავტორიზმებს დიდი აღმზრდელობითი და შემეცნებითი ძალა აქვს.

რუსთაველის ავტორიზმების ეს შთამაგონებელი ძალა ჩანს აკაკი წერეთლის შემოქმედებაში. აკაკი საჭიროების მიხედვით არჩევს და იყენებს რუსთაველის ავტორიზმებს: „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ზვადია“, „სიყვარული აღგვამაღლებს“, „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“ და სხვ.

აკაკის ნაწერებში ყველაზე ხშირად მეორდება რუსთაველის ისეთი ავტორიზმები, რომლებიც მკითხველებს ჭირსა შიგან გამავრებასა და უსამართლობის წინააღმდეგ დაუნიშნებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებენ: „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“, „სჯობს სიცოცხლესა ნაზრასა სიკვდილი სახელოვანი!“, „ჭი-

რსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“ და სხვ.

აკაკის ლექსი „გლეხის ჩივილი“ მთლიანად აგებულია შოთას ცნობილ აფორიზმზე: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“. ეს ბრძნული გამოთქმა რამდენიმეჯერ მეორდება ლექსის სტროფებში და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მისი ხშირი განმეორებით ავტორი ხაზს უსვამს თვით აფორიზმს, წინ წამოსწევს და დასამახსოვრებელს ხდის: „ჭირი დღევანდელი, ნურც გაშინებს, ნურცა გიკვირს, „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“. ამ ლექსში ეს აფორიზმი შვიდჯერ მეორდება, რაც უნდა აიხსნას საქართველოს მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობით. საქართველო, ქართველი ხალხი მაშინ განიცდიდა მკაცრ ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას, დიდ გასაჭირში იყო და ასეთ ვითარებაში მეტად გამამხნევებლად გაისმოდა „ჭირსა შიგან გამაგრების“ გამომხატველი აფორიზმი, რომელიც სახალხო მგოსნის აკაკი წერეთლის ლექსით დაბეჭილებით ეუწყებოდა ქართველ მკითხველს.

შოთა რუსთაველის აფორიზმებს ხშირად იყენებენ აკაკის მხატვრულ ნაწარმოებთა პერსო-

ნაჟები და ამდენად ეს აფორიზმები იძლევიან სახე-ტიპების დიქტიონარული სამყაროს მართლმართლ ხასიათებას და ამასთანავე ხელს უწყობენ ხალხში შოთას ბრძნული აზრების გავრცელებას. მოვიტანო ამის ერთ მაგალითს:

აკაკის „ბაში-აჩუკში“ გვხვდება შოთას აფორიზმები. ზაალი, შალვა და ელიზბარი საუბრობენ. ელიზბარი ამბობს:

„საქრისტიანო უნდა იმხობოდეს და ჩვენ აქ უნდა ვისხდეთ გულხელდაკრეფილი?... „უგანგებოდ ვერას მიზმენ, გინდ შემებან ხმელთა სპანიო“. ჩვენც მივენდოთ განგებას!“


შალვა ეთანხმება ელიზბარს:

„— კახელების გულის გატეხა ქართლსაც გადაედება!.. ჯერ კიდევ, სანამ სასოება არ წარკვეთი-ათ და კიდევ რაღაც იმედი აქვთ კახელებს, ჩვენც უნდა მივეშველოთ!.. თუ ვერ გავიმარჯვებთ, სახელოვნად მაინც დავიხრცე-ბით: „სჯობს სიცოცხლესა ნადრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ (ტ. VII, გვ. 140).

ცხადია, რომ შოთას ამ აფორიზმით აკაკის მოთხრობის პერსონაჟი საქვეყნო საქმისათვის თავგანწირვას ქადაგებს და ამით ხელს უწყობს რუსთაველის აფორიზმის ღრმა შინაარსის კიდევ ერთხელ გამობრწყინებას.







## გიორგი ჯავახიშვილი

### ბათუმში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ენაზე იბეჭდებოდა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც. იგი დაბეჭდილა ბათუმშიც 1899 წელს და ასეთი წარწერა აქვს: „გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა № 75, ვეფხისტყაოსანი (სურათებით) შოთა რუსთაველისა, ბათომი. სტამბა კ. თავართქილაძისა. 1899“. წიგნი ლამაზად არის გაფორმებული, დართული აქვს შოთას ცნობილი სურათი და მიხაი ზიჩის ილუსტრაციები. პოემის ტექსტს წინ უძღვის „წინასიტყვაობისებური“ და დართული აქვს ლექსიკონი.

ცნობილია, რომ დედის მკერდს მოგლეჯილი აჰარა 1878 წელს დაუბრუნდა საქართველოს. ახალშემოერთებულ მოძმეთა გავითცნობიერება ითავა ქართვე-


ლთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის წევრები დიდი ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით აჰარაში ბევრი სასიკეთო საქმის მესვეურები იყვნენ. გამოჩნდნენ აჰარაში მუშაობის ენთუზიასტები, რომელთაც კულტურისა და განათლების სხივი შეჰქონდათ თურქთა ბატონობით დაბეჩავებულ ხალხში. ერთი ასეთი ენთუზიასტი იყო ცნობილი ქართველი მესტამბე კ. თავართქილაძე. მან ბათუმში გახსნა სტამბა<sup>1</sup> და ბევრი წიგნი გამოსცა, მათ შორის „ვეფხისტყაოსანიც“. იგი ორჯერ დაიბეჭდა ბათუმში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კ. თავართქილაძემ

1 ბათუმში სტამბა ჯერ კიდევ 1879 წელს დააარსა ალექსანდრე მახარაძემ, მას შემდეგ მუშაობდა რამდენიმე სტამბა, მაგრამ თავისი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა კ. თავართქილაძის სტამბა.

„ვეფხისტყაოსანი“ მის მიერ და-  
არსებულ სხვადასხვა ქალაქის  
სტამბებში სულ შვიდჯერ გამო-  
სცა.

კ. თავართქილაძეს სტამბები  
ჰქონდა ოზურგეთში, ახალსენა-  
ში, ბათუმში და თბილისში. მას  
სასტამბო საქმიანობაში მთელი  
ოჯახი ჰყავდა ჩაბმული. აი რას  
წერდა ცნობილი საზოგადო მოღ-  
ვაწე ზაქარია ჭიჭინაძე კ. თავართ-  
ქილაძის შესახებ თავის წიგნში  
„ნიკოლოზ ლოლობერიძე და ქარ-  
თული სტამბა“: „...დღედაღამ წი-  
გნების ბეჭდვით შრომობდა, ბეჭვ-  
ლის გარეშე, მას ეს წიგნები ზუ-  
რგითაც დაჰქონდა, დღეს ერთ ქა-  
ლაქში იყო, ხვალ მეორეში, ზეგ  
მესამეს; ღამე მგზავრობდა და მა-  
სთან ყოველ გადასატან წიგნების  
ტვირთს თვით ზიდევდა. ამის ას-  
ეთ შრომას ისეთი დაუფასებელი  
მნიშვნელობა აქვს, რომ მასზედ  
ვეება წიგნი დაიწერება და არა ეს  
პატარა წერილი, მაგრამ რას ვი-  
ზამთ, დრო ისეთი გახლავსთ,  
რომ აქ ესეც უნდა ვიკმაროთ,  
იქნება შემდეგ სხვებმა უკეთ ანუ-  
სხონ“ (გვ. 200).

„ვეფხისტყაოსნის“ პოპულა-  
რიზატორთა შორის (გამოცემის  
თვალსაზრისით) კ. თავართქილა-  
ძეს ერთ-ერთი პირველი ადგილი  
უკავია. მისი გამოცემები გამოირ-  
ჩეოდა როგორც იაფფასიანი. სწო-  
რედ ამის შესახებ 1890 წლის 4  
დეკემბრის გაზეთი „ივერია“ წერ-  
და, რომ „ერთი სასიამოვნო ამბა-  
ვი უნდა გავიზიაროთ: აქაური

სტამბის (ოზურგეთის)  საქმე კარგად მიდის... აქაური მესტამბეები  
„ვეფხისტყაოსანს“, რომელსაც  
მცირე ლექსიკონი ექნება ჩართუ-  
ლი და საგულისხმო ფრაზები გა-  
ნსაკუთრებული მოდიდო ასოებით  
იქნება დაბეჭდილი. წიგნი შემკუ-  
ლი იქნება ავტორის სურათებით.  
სასათაურო ასოების ამოჭრა ამ  
წიგნისათვის შეკვეთილი აქვს  
ტფილისში გ. ტატიშვილს. ერთი  
სიტყვით, უნდათ ეს გამოცემა  
რაც შეიძლება შნოიანი და ლაზა-  
თიანი გამოვიდეს და ფასიც ასე-  
თი უნდა დაედოს, რომ მისი მო-  
პოვება არავის გაუძნელდეს“. იქვე  
ვკითხულობთ: „...პირველი მაგა-  
ლითია, რომ ასე იაფად „ვეფხის-  
ტყაოსანი“ გაყიდულიყოს“. პოე-  
მის 1891 წლის გამოცემის წინასი-  
ტყვაობაში კი წერია: „იაფად არ-  
ის გამოცემული, რის გამო ყველა  
ლარიბ კაცს შეუძლია ამის შეძე-  
ნა“.

ბათუმში გამოცემული „ვეფხის-  
ტყაოსანიც“ იაფფასიანი იყო, რა-  
ზეც მაშინვე შეაჩერა ყურადღე-  
ბა გაზეთმა „ივერიამ“ (№ 184) და  
„ცნობის ფურცელმა“ (№ 896). ამ  
გამოცემის ტექსტი შეიცავს 1551  
სტროფს და წარმოადგენს გ. ქარ-  
თველიშვილის 1888 წლის გამო-  
ცემის განმეორებას.

ბათუმში გამოცემულ „ვეფხის-  
ტყაოსანს“ დართული აქვს წინა-  
სიტყვაობა, რომელიც კ. თავართ-  
ქილაძეს ეკუთვნის. ამ მოკლე  
წერილში ლაკონიურად არის გად-



მოცემული უკვდავს „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობის მიზეზები. „არც ერთ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებს, — წერს კ. თავართქილაძე, — არ სწევია „ვეფხისტყაოსანი“-სთანა ბედი იგი დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს. უდიდეს გენიოს შოთა რუსთაველისაგან, გადარჩა ისეთ ისტორიულ ქართველებს, რომლებმაც გაანადგურა, მიწასთან გაასწორა ქართველთა ეროვნულ კულტურულ ნაშთთა უმრავლესობა. ამ შვიდი საუკუნის განმავლობაში ვრცელდებოდა რა გადაწერ-გადმოწერით, გადარჩა შინაურ და გარეულ მტერთა დევნას, ქარცეცხლსა და განადგურებას და თავი ამოჰყო მეცხრამეტე საუკუნეში; კიდევ გაივლის მრავალი საუკუნე და „ვეფხისტყაოსანი“ დროთა წყვდიადში იმოგზაურებს მანამდე, სანამ ქართველები და მათი ენა იარსებებს. დიას. იგი არის და იქნება

ქართველების გონებრივი კულტურის სარწყავ-საზომი ემბლემა“.

„ვეფხისტყაოსნის“ გენიუზი გარდა, კ. თავართქილაძეს ბევრი უზრუნია პოემის ტექსტის შესწავლის გაადვილებისათვის. 1892 წელს მას ოზურგეთის სტამბაში დაუბეჭდავს ლოტო, რომელშიც გამოსაცნობ მასალად გამოუყენებია „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები. გაზეთი „ივერია“ (№ 132, 1892). მაშინვე „ახალი ამბავის“ განყოფილებაში აუწყებდა მკითხველს ამას. იქვე ახსნილია თამაშის წესები.

ბათუმში გამოცემულმა „ვეფხისტყაოსანმა“ დაამშვენა აჭარელის ოჯახი, ამ მხარეში „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობის შესახებ კი ჯერ კიდევ ადრე, 1883 წელს გაზეთი „დროება“ წერდა, რომ აჭარელმა ბეგმა ხუსეინ ბეგ ბეჟან-ოღლიმ „მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, კარგი მკითხველი და წესის მცოდნე იყო“ (№ 60).



## დავით კასრაძის დრამატული პოემა

1962 წელს ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დავით კასრაძემ (1885-1965) ბათუმში ცალკე წიგნად გამოაქვეყნა პეროიკულ-დრამატული პოემა „ლეგენდა რუსთაველზე“. წიგნის რედაქტორი პროფ. შალვა ნუცუბიძე თავის შესავალ წერილში აღნიშნავდა:

„რუსთაველის ცხოვრება და შემოქმედება ყოველთვის იზიდავდა დრამატურგებსა და კინემატოგრაფიისისტებს. მისი პოემის გასცენიურებასთან შედარებით თითქმის უფრო ადვილია თვით პოეტის ცხოვრების დრამატიზმის ასახვა. მაგრამ ეს იწვევს შემოქმედებითი ჩანაფიქრების აუცილებლობას, რაც არაა ადვილი საქმე, ყოველ შემთხვევაში, სინამდვილისა და შეთხზულის თანხმობის მოთხოვნას ვერ გაექცევა. არც არის გამორკვეული, სად უნდა დაიდოს საზღვარა რუსთაველის ცხოვრების დრამატული დასასრულისა.

„ასეთ ძნელ საქმეს მოჰქიდა ხელი წინამდებარე თხზულების ავტორმა დავით კასრაძემ. მან აირჩია ის გზა დრამატული გასცენიურებისათვის, რომელიც პოეტის ცხოვრებაზეა აგებული, და არც შეცდა თავის არჩევანში. შეთხზულისა და სინამდვილის მიმართება დამაჯერებლად გადაჭრა: „ლეგენდა რუსთაველზე“ არსად დაღატობს ამ აუცილებელ მოთხოვნას.

იგი სინამდვილის ჩარჩოში ჩასმული ლეგენდაა.

„ავტორი ერთბაშად იწყებს დიდუბის მეჯობრებით. სადაც ყაბახის ზეიმზე რუსთაველმა უნდა გაიმარჯვოს. ამდენად შიგნიდან და გარედან იწყება „ლეგენდა“.

„ღრამა უნდა გათავდეს (და თავდება კიდევ) განდევნილი პოეტით, რაც დრამატული მეორისათვის საკმაოდ მეტია, ხოლო ისტორიის ფარდის იქით რა მოხდება, ეს არქეოლოგის საქმეა და არა დრამატურგისა“.

თვით დავით კასრაძე შესავალ წერილში აღნიშნავდა:

„აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ამ წინამდებარე ნაშრომზე ვმუშაობ. რუსთაველის პრობლემაზე მუშაობა დავიწყე 1906 წლიდან, ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის რჩევით, რომელმაც მიმიითაცხეველ ისტორიულ წყაროებზე, თქმულებებსა და ლეგენდებზე. სამწუხაროდ, მანამდე არსებულ ისტორიულ წყაროებში იგრძნობოდა ჭარბი ფანტაზია, რაზეც დაყრდნობა არ შეიძლებოდა. ჩემს კვლევას ართულებდა სამიხეობელი დოკუმენტურ-რეალისტური ფაქტების სიმცირეც. განსვენებულმა ისტორიკოსმა ევროპაში გამგზავრების წინ მამაშვილურად მიჩრია ყურადღება მიმეცია და უცხოეთის წიგნსაცავებში მომეძებნა რჩარად ლომგულის და, საზოგადოდ, პალესტინაში ჯა-



როსანთა ცხოვრება-მოღვაწეობის პირველადი წყაროები.

„სახლმშენებელი, საფრანგეთში, 1903-1910 წლებში ინტენსიურად ვმუშაობდი პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, შემდეგ კვლავა გადავიტანე ბრიუსელში. ერთხანს მიტაცებდა ყუთლუ არსლანის დასის საკითხი, „ისნის კარავი“, უგვაროთა „აღზევება“ (ე. ა. წოდებრიობის გათანასწოება), ერთა შორის თანასწორობა, ქალთა და კაცთა გათანაბრება და სხვა თამარის ეპოქის საპარლამენტო ხასიათის კარდინალური საკვანძო საკითხები, მაგრამ მათ ფონზე ვერა და ვერ გამოჩნდა გენიალური ადამიანის, ბრწყინვალე ფილოსოფოსის, დიდი სახელმწიფო მოღვაწის, უდიდესი პოეტის, შესანიშნავი მხატვრის — შოთა რუსთაველის პორტრეტი. წყვილადი იყო მოცული ბიოგრაფიული ცნობები ამ უდიდესი პატრიოტისა, რომელიც იძულებული გამხდარა პოლიტიკური ინტრიგების გამო რამდენჯერმე გადახვეწილიყო საქართველოდან და საბოლოოდ სამარე ეპოვეა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

„ვიცოდით, რომ შემოქმედი მწერლის ფანტაზია თავისუფალია. დიდად ცნობილი რომანისტი ვალტერ სკოტი ზურგს აქცევდა ყოველ ისტორიულ წყაროს და თავისუფალ ფონზე შლიდა თავის უქონობა რომანებს (მაგ. „აივენგო“). ასევე იქცეოდნენ ებერსიცი („ასაზია“, „ნილოს ასული“), ჰერპარტ ჰაუპტმანი („კარლოს დიდი“), ჰენრიკ იბსენი („ტახტის მძიმებელი“, „კეისარი და გალილეელი“), გუსტავ ფლობერი („სალამბო“), ვიქტორ ჰიუგო („პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ და ათობით ისტორიული რომანი). მაგალითები შორს წაგვიყვანდა“.

შემდეგ ავტორი გვამცნობს, რომ ეს დრამატული პოემა მას ოცდაათზე მეტი ვარიანტის სახით დაუმუშავებია. ამ წიგნზე დ. კასრაძეს რამდენიმე წელიწადს უმუშავებია ბათუმშიც, სადაც ავტორს დიდად ახალისებდა და ფრთებს ასხამდა ჩვენი კულტურის მოამაგე მემდეგ აბაშაძე.

პიესაში მოქმედებს ხალხი, მხედრობა და იმდროინდელი საქართველოს მკაცრი ლეობის თითქმის ყველა ფენა. ავტორი ხაზს უსვამს, რომ უკვე პირველსავე სცენაში ჩანს ის კონფლიქტი, რაც არსებობდა მაღალ კლერიკალურ საზოგადოებასა და თავდაზნაურობას შორის. დიდი თამარი შორსმჭვრეტელურად წყვეტდა ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხს. იგი მიმართავს ხალხს:

„ვინც ღირსსახსოვარ გმირის სახელს წერს,

უკვდავია და ვერც დავივიწყებთ“.

მეფეს ესაყვედურებიათ, რომ მეტი-მეტად ახლოსაა ხალხთან. თამარი უპასუხებს მათ:

„თამარ და ხალხი ერთი გულია!

მე — და ჩემს ერსა არ შევეკითხოვ!“

პირველი სურათი მთავრდება რუსთაველის გამოჩენით. დიდმა შოთამ თამარ მეფეს გადასცა „ვეფხისტყაოსანი“ და თამარმა მხოლოდ ესლა უპასუხა:

„მაღალი აზრის შემოქმედება

შემოქმედს ამკობს შარავანდელით“

მეორე სურათში ჩვენს წინაა სსახლის ბალი; ვარდებით შემკული ჩარდახი, სეფე ქალები მღერიან „ვეფხისტყაოსანის“ სიტყვებს: „ზამთარი ვარდთა გააზმობს, ფურცელი ჩამოსცივიან.“ აქ ჩვენს თვალწინ მთელი სიდიადით წარმოსდგება დიდი შოთა რუსთაველი თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით. შეთქმულებს სურთ შეცვიფრდნენ სსახლში და ძალით აიღონ ხელისუფლება, მაგრამ ამ მიზანს ვერ ახორციელებენ.

შემდეგ ჩვენს წინაშეა ქალი-ხელმწიფე. იგი რუსთაველს აცნობს საქართველოს მძიმე მდგომარეობას. თამარმა იცის, რომ ღრთა განმავლობაში მრავალ მეფეთა საფლავი, ფარნავაზების, გორგასალეების, იქნებ თვით დავით აღმაშენებლის, თამარისაც და მათ მსგავსთა საფლავი მთლად წარიშლება მიწის პირისაგან. იქნებ უკუღმართმა ქართა ქროლვამ აღგავოს დიდი გელათი, გააცამტვეროს ვარძია, სიონის ნათელი სვეტები, მაგრამ შოთა მაინც ივლის თავისი

უკვდავი „ვეფხისტყაოსნით“. იგი მარად დარჩება დიდების ძეგლად და რუსთაველი იცოცხლებს თვით უკვდავების სა-  
ნუგეშოდ.

დიდმა მეფემ უმაღლეს აზრთა ფრთო-  
სნობის ნიშნად შოთას უბოძა მეჭურჭ-  
ლეთუხუცესის თანამდებობა, მუხლმოყ-  
რილ რუსთაველს ლალის ღილით ოქროს  
ფრთა მიაკრა ყალმუხის ქელზე. მეფემ  
იცის, რომ შოთას უსმენენ ზედტაცებით  
და ასევე მოუსმენენ მას მომავალი თაო-  
ბეები.

პოემის მეხუთე სურათი მთავრდება  
ქართველთა აბჯარასხმით: ყველანი მღე-  
რიან დიდებულ ლაშქრულს:

„ლურჯა ცხენი შეუკაზმოთ  
თამარ-ქალსა, დიელოდა!..  
მოწამეთ ხარ, შენ საქართველო...  
მტერთა ლეწვად წინ მიგვიძღვის  
თამარ-ქალი, დიელოდა!..“

დ. კასრაძის ნაწარმოებში კარგად არის  
გადმოცემული ქართველი ხალხის გმი-  
რობა-სიმაჟაცე ბასიანის ბრძოლაში.

პოემაში ჩანს, თუ როგორ შეაჩვენა და  
ცეცხლში დასწვა რეაქციონერმა კათა-  
ლიკოსმა შოთას უკვდავი „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ხელნაწერები. ცეცხლში დასწვა, მა-  
გრამ პოემის რამდენიმე ხელნაწერი გა-  
დარჩა და, რაც მთავარია, ხალხმა ზეპი-  
რად შეინახა პოემა, გულთ დაიმახსო-  
რა, თაობიდან თაობას გადასცა იგი.

პოემა მთავრდება იმავე პირველი სუ-  
რათით. დიდუბის მონასტერთან ქართვე-  
ლი მხედრიონი გამარჯვებას ზეიმობს.

დავითი ამბობს, რომ ქართველებს არ  
სურდათ ომი. მათ ომი ძალით მოახვიეს  
თავს. ამას ისიც თან დაერთო, რომ შოთა  
რუსთაველის უკვდავი წიგნი კათალიკო-  
სმა ცეცხლში დაბუჯა.

და ამ დროს დიდ სიხარულს იწვევს,

რომ მეფე თამარს ძღვნად მიართვის „ვე-  
ფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერი. მე-  
ფეთ მეფე ეამბორა წიგნს, <sup>გადასწავლა</sup> <sup>გადასწავლა</sup>  
დასცა, რომ კვლავ დაიწყოს პოემის გა-  
დაწერა-გამრავლება.

პოემა მთავრდება დიდებული აპოთე-  
ოზით. მარჯვნივ, კუთხეში, სინათლეში  
ხელაპყრობილი, თეთრვეროსანი, იასამ-  
ნისფერი თავსაბურავით საკუთარი პორ-  
ტრეტის წინ დგას მოხუცი შოთა და  
გრძნობით წარმოთქვამს:

„ღმერთო, ღმერთო, მოწყალო,  
არვინ მივის შენგან კიდე,  
შენგან ვითხოვ შეწევნასა,  
რაზომსაცა გზასა ვგლეჯ.  
ქართა ქროლვა, ზღვათა დელვა,  
მშობელ მიწას განარიდე.

თუ-ღა დაერჩე, გამსაურებდე,  
თქვენდა მსხვერპლად შეგვირვიდეთ“.

ისმის საყვირების საზეიმო ხმები, და-  
დდაფების განუწყვეტელი ცემა. ქართვე-  
ლთა ძლიერება ამოგვას აღწევს. ბრძოლა-  
გამოვლილი ხალხი გამარჯვებას ზეიმობს.  
ხელიხელაკიდებულნი აღიდეგენ გონი-  
ერ თამარს.

დ. კასრაძე მრავალი წლის განმავლო-  
ბაში მუშაობდა ამ ნაწარმოებზე, სრულ-  
ყოფდა მას, ცდილობდა კლასიკური ფო-  
რმა მიეცა მისთვის. მსცოვანმა მწერალ-  
მა მიზანს მხოლოდ რამდენადმე მიაღ-  
წია. პოემა დაწერილია გამართული კლა-  
სიკური სალიტერატურო ენით, თეთრი  
ლექსით, მოხდენილ, ბუნებრივი დია-  
ლოგებით, სახოვანი პოეტური სამკაულე-  
ბით.

ნაწარმოებს გააჩნია ნაყოვანი მხა-  
რეებიც. იგი ნაკლებ სცენურია და უფ-  
რო წასაკითხავი მხატვრული ნაწარმოე-  
ბია. ამით აისხნება, რომ ჩვენმა თეატრე-  
ბმა თავი შეიკავეს და არ დადგეს იგი.

პ. ხმალაძე.





ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IX, 1966 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.  
შეკვეთის № 5667, ემ 00836, ქაღალდის ზომა 60X90, ტირაჟი 1.800.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის  
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგი, 22).

5 21/66  
ფან 40 333.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„*ლიტერატურული ადჯარა*“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76118